

**გულნაზ ერქომაიშვილი**

**საქართველოს განვითარების  
ეკონომიკური პოლიტიკის  
პრიორიტეტული მიმართულებები**

**თბილისი  
2016**

გულნაზ ერქომაიშვილი

საქართველოს განვითარების  
ეკონომიკური პოლიტიკის  
პრიორიტეტული მიმართულებები



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2016

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. მასში განხილულია ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მისი განხორციელების შესაძლებლობები გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში: ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები, ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი**

**რევაზ გველესიანი**

თსუ პროფესორი

**რეცენზენტები: ეთერ ხარაიშვილი**

თსუ პროფესორი

**შალვა გოგიაშვილი**

თსუ ასოცირებული პროფესორი

ნაშრომი შესრულდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე

© **გ. ერქომაიშვილი**. საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, 2016.

**გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge  
ISBN 978-9941-22-717-2

**GULNAZ ERKOMAISHVILI**

**ECONOMIC POLICY PRIORITIES  
FOR DEVELOPMENT  
OF GEORGIA**



Publishing House **“UNIVERSAL”**

Tbilisi 2016

UDC (uak) 330.34(479.22)+338.2(479.22)

E – 825

The Book reflects Economic Policy priorities for development of Georgia. It discusses the economic policy objectives and their long and short term implementation opportunities: Economic policy of achieving national competitive advantage, Economic policies to attract Foreign direct investments, Economic policy of the development of small and average entrepreneurship, Environmental Economic Policies, Agricultural Policy Priorities in Georgia, Tourism Development Economic Policy.

It is developed for the students of higher education institutions specialized in Economics and Business and for the wide range readers in this field.

Editor           **Revaz Gvelesiani**  
Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Reviewers:   **Eteri Kharaishvili**  
Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Shalva Gogiashvili**  
Associate Professor Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University

© **G.Erkomaishvili**. Economic Policy priorities for development of Georgia.  
Tbilisi, 2016

## სარჩევი

შესავალი.....	7
<b>ნაწილი I. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მისი განხორციელების შესაძლებლობები გრძელვადიან პერიოდში.....</b>	<b>13</b>
1. ეროვნული კონკურენტული უპირატესობების მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა.....	13
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა .....	34
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა.....	45
<b>ნაწილი II. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მისი განხორციელების შესაძლებლობები მოკლევადიან პერიოდში.....</b>	<b>71</b>
4. გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა.....	71
5. აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები.....	88
6. ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა .....	98
ლიტერატურა.....	134
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....	141

## TABLE OF CONTENTS

Introduction .....	7
<b>Part I. Economic policy objectives and its implementation capabilities In the long term.....</b>	<b>13</b>
1. Economic policy of achieving National competitive advantage .....	13
2. Economic policies to attract Foreign direct investments .....	34
3. Economic policy of the development of small and average entrepreneurship in Georgia .....	45
<b>Part II. Economic policy objectives and its implementation capabilities in the short term.....</b>	<b>71</b>
4. Environmental Economic Policies .....	71
5. Agricultural Policy Priorities .....	88
6. Tourism Development Economic Policy .....	98
Bibliography .....	134
Economic Policy Priorities for development of Georgia (Summary) .....	141

## შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. ამ გამოწვევების გადასაწყვეტად აუცილებელ პირობას ეკონომიკის მდგრადი განვითარება წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებების სიღრმისეული დასაბუთებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვეყნოთ ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიზნები და მათი განხორციელების შესაძლებლობები გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში.

ნაშრომში გადმოცემულია ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია საქართველოში. შესწავლილი და გაანალიზებულია ეკონომიკის ის სფეროები, რაშიც შეუძლია ქვეყანას კონკურენტული უპირატესობის მიღწევა. აღნიშნულია, რომ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. აუცილებელია სახელმწიფოს ზრუნვა ქვეყნის მოსახლეობის განათლების მაღალ დონეზე, სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებთან ადაპტაცია და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება. სტაბილური ბიზნეს გარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძველი.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საინვესტიციო აქტიურობის დონით და საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბებით. პირ-



დაპირი უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ.

როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან სტიმულს არ წარმოადგენს, ისინი უფრო განვითარებადი ეკონომიკებისთვისაა მნიშვნელოვანი. საქართველოში არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია. ნაშრომში გაანალიზებულია აღნიშნული სფეროს მდგომარეობა და შემოთავაზებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა, ის ინსტრუმენტები და რეგულაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას. შესწავლილი და გაანალიზებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებული მდგომარეობა, მის ზრდასა და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები, სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში წარმოქმნილ ეკონომიკურ სუბიექტებს და მის ჩამოყალიბებას. აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას – მეწარმეთა ფენას სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს სწორი სამეწარმეო პო-

ლიტიკისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას.

ნაშრომში გადმოცემულია გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო რესურსის მტკნარი და მინერალური წყლების სამომხმარებლო ბაზარი, ის ინსტრუმენტები და საშუალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მტკნარი და მინერალური წყლების წარმოების და ექსპორტის ზრდას. შესაბამისად, შესწავლილია მტკნარი და მინერალური წყლების წარმოების სფეროში არსებული მდგომარეობა, აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის ზრდაზე და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები. აღნიშნულია, რომ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია თანამედროვე დიზაინით გაფორმებული მაღალი ხარისხის პროდუქციის უწყვეტი მიწოდება, ახალი ბაზრების ათვისებისათვის სადისტრიბუციო ქსელების გახსნა, სარეკლამო საქმიანობის ფართოდ გაშლა, ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია. ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან ბაზრების დასაცავად აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის.

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი ქვეყანაში აგრარული სექტორია.

აგრარულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სიღარიბის ღონის დაძლევისა და საყოველთაო კეთილდღეობის მიზნის განხორციელებას, კერძოდ, ჯანსაღ საკვებზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას.

საქართველო თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ვაწარმოთ. მსოფლიო ბაზარზე ასეთ

პროდუქტებზე მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება. ჩვენმა პროდუქტმა პოპულარობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი უცხოეთში უნდა მოიპოვოს.

საქართველოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების რეგულირებას არ გააჩნია სრულყოფილი ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზა. სურსათით უზრუნველყოფის და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები ეროვნული სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს.

აუცილებელია სწორი პოლიტიკის გატარება, აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ეტაპზე დარგში დაგეგმილია ინვესტიციები, დახმარებები, სუბსიდიები, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის განვითარებას, შეამცირებს უცხოეთიდან შემოტანილი კვების პროდუქტების იმპორტს.

ტურიზმი საქართველოში ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტული სექტორია. იგი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა და არ არის საქმიანობის მხოლოდ ერთი სფერო. მასთან დაკავშირებულია ტრანსპორტი, სასტუმრო, კვება, გასართობი, სამედიცინო და საინფორმაციო მომსახურება. ამ დარგების ერთობლივი ფუნქციონირება კი ეკონომიკის გაძლიერების საწინდარია.

ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმის შემუშავებაა, რომელიც მხარს დაუჭერს დარგის აღორძინება-განვითარებას. ამავე დროს ტურისტული პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიული პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

საქართველო ტურიზმის ტრადიციული ქვეყანაა. მას გააჩნია ბუნებრივ-გეოგრაფიული წანამძღვრები იმისათვის, რომ განვითარდეს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმი. შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სათანადო მენეჯმენტის პირობებში ქვეყანას რამდენიმე მლნ ტურისტის მიღება შეეძლება. მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა და განვითარება, რადგან ეს სფერო პირდაპირ უკავშირდება ტურიზმის განვითარებას. იმპორტულ პროდუქტზე დამოკიდებულმა ქვეყანამ, ნაკლებსავარაუდლოა ტურიზმის სათანადო განვითარებას მიაღწიოს.

ტურიზმის განვითარებისათვის სახელმწიფოს დახმარება საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაში და სწორი პოლიტიკის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს. ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. სახელმწიფო თუ შესაბამის გარემოს შეუქმნის ინვესტორებს, ტურიზმში ფულს დააბანდებენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორები.

დღეს მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება ველნეს ინდუსტრია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრია, რომელიც მომავალი მრავალმილიარდიანი ინდუსტრიაა. ველნესის კონცეფციაა – კარგი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შენარჩუნება სასიამოვნო მეთოდებით და არა საკუთარ თავზე ძალდატანებით.

საქართველოში არის უნიკალური ბუნებრივი პირობები ამ ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – გამაჯანსაღებელი კომპლექსების, ველნეს კურორტების მშენებლობისთვის. მსოფლიო ველნეს კურორტები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მცენარე-

ულ საშუალებებს, სპას, მინერალებს, მაგრამ ამ მხრივ საქართველო განსაკუთრებული აღმოჩნდა – ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილია იმაზე მეტი სამკურნალო თვისების მქონე მცენარე, რამდენიც მთელი ევროპის ტერიტორიაზე. ეს განსაკუთრებულობა ალბათ შემთხვევითი არაა, თუ ქვეყნის კლიმატურ ზონას, ბიომრავალფეროვნებას, მცირე ტერიტორიაზე თავმოყრილ კულტურულ და სოციალურ, ლანდშაფტურ განსხვავებულობას გავითვალისწინებთ.

საქართველოში თბილისთან ახლოს დაბა კოჯორში ფუნქციონირებს სამედიცინო ველნეს კურორტი „ბიოლი“. 2015 წელს ოზურგეთის დაბა ურეკში დაიწყო სამედიცინო ველნეს კურორტ „ჭელენესს ჩლინიც I“-ის მშენებლობა. აქ მომხმარებლები ველნეს მომსახურებას მიიღებენ უახლესი ტექნოლოგიებით, დასაქმდება დიდი რაოდენობით პერსონალი, გამოიყენება მომიჯნავე დარგების პროდუქცია და მომსახურება, რაც გაზრდის შემოსავლებს და პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი მიზნისა, რასაც საქართველოში „ველნეს ინდუსტრიის“ დანერგვა მოჰყვება. შემდეგ ეტაპზე კი შეიქმნება მსოფლიო სტანდარტის ქართული ბრენდი – „ჯორჯიან ველნესი“, რომელიც ქვეყნის სავიზიტო ბარათი გახდება.

# ნაწილი I. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მისი განხორციელების შესაძლებლობები გრძელვადიან პერიოდში

## 1. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამაში ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი ეკონომიკურ პოლიტიკას ეკისრება. ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტია [3, გვ.13].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის განმარტებით, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ინსტიტუტების განვითარებაში, პოლიტიკასა და ბუნებრივ ფაქტორებში, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის დონეს. ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორი მაიკლ პორტერი პროდუქტიულობას ხსნის, როგორც ბუნებრივი რესურსების, შრომის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის დონეს – რესურსებიდან მიღებული შემოსავლის სიჭარბეს ხარჯებთან მიმართებით.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ( *OECD* ) განმარტებით, კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება, და ამავე დროს სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის ისეთი

გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოქმედი ფირმების მიერ კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებას.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას მისი გლობალიზაცია წარმოადგენს. გლობალიზაცია და ბიზნესგარემოს სრულყოფა მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, რომელიც გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა, მსოფლიო საფინანსო ბაზარმა, ელექტრონული კავშირით ურთიერთდაკავშირებულმა ტრანსნაციონალურმა ბანკებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, საინვესტიციო და საპენსიო ფონდებმა ქვეყნები უფრო მჭიდროდ დაუკავშირეს ერთმანეთს. ხშირად ტრანსნაციონალური კომპანიები ახორციელებენ სხვა ქვეყანაში საწარმოო პროცესით დაკავშირებულ ადგილობრივ საწარმოებში მოწინავე ტექნოლოგიების და თანამედროვე მმართველობითი უნარ-ჩვევების დანერგვას. ისინი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იძულებულნი არიან იზრუნონ ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ვინაიდან ამაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათი ფილიალების საქმიანობის ეფექტიანობა. მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს მეორე უკიდურესობა, ადგილობრივი ფირმების გამოდევნა უფრო კონკურენტუნარიანი უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ.

ამდენად, გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ და მამოძრავებელ ძალას თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაცი-

ებზე ორიენტირებული ეროვნული ბიზნესი წარმოადგენს. კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად აქვს ქვეყანას ექსპანსირებული ან ტრანსნაციონალიზებული საკუთარი ბიზნესი. კონკურენტული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით აუცილებელია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნა, რომლის პირობებში ბიზნესის წარმატება დამოკიდებული იქნება სტაბილურ კანონებზე და მართლმსაჯულების სამართლიან სისტემაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიები კიდევ უფრო აძლიერებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალაუფლებას და სხვა ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხს. სწორედ ასეთი ქვეყნებია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი. დღევანდელი შეზღუდული რესურსების პირობებში თითქმის არცერთ ქვეყანას არ შეუძლია კონკურენტუნარიანი იყოს ყველა პოზიციაში.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (ჭორდლ ცონომიც ორუმ) 2015-2016 წლების ანგარიშის მიხედვით საქართველო კონკურენტუნარიანობის რეიტინგით 140 ქვეყნიდან 66-ე ადგილზეა (2014-2015 წწ. – 69-ე ადგილი, 2012-2013 წწ. -77-ე ადგილი, 2011-2012 წწ.- 88-ე ადგილი, 2009-2010 წწ. -90-ე ადგილი). უკვე მეხუთე წელია საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს აღნიშნულ ინდექსში. იგი წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორცაა – სლოვაკეთი (67-ე ადგილი), მონტენეგრო (70-ე ადგილი), ხორვატია (77-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საბერძნეთი (81-ე ადგილი), სომხეთი (82-ე ადგილი), მოლდოვა (84-ე ადგილი), ალბანეთი (93-ე ადგილი), სერბეთი (94-ე ადგილი). აღნიშნული ფორუმის მიხედვით პირველი ექვსეული ასე



გამოიყურება: შვეიცარია, სინგაპური, აშშ, გერმანია, ნიდერლანდები და იაპონია [80].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (შვეიცარია, ქენევა) ყველაზე ცნობილი და დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ფორუმის ანგარიში ქვეყნების ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტური და დამოუკიდებელი ანალიზის საფუძველზე ემსახურება პრაქტიკული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი განვითარებისათვის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს 1979 წლიდან აქვეყნებს. ყოველწლიური ანგარიში ადარებს 140-ზე მეტი ქვეყნის ბიზნეს გარემოს და კონკურენტუნარიანობას. კვლევას საქართველო 2004 წელს შეუერთდა.

აღნიშნული რეიტინგები გავლენას ახდენენ ინვესტორების განწყობაზე. ინვესტორის დადებითი განწყობა ქვეყნის მიმართ ხელს უწყობს საინვესტიციო ნაკადების ზრდას, რაც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს საკითხი მწვავედ დგას საქართველოში. უმუშევრობა და სიღარიბე ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემებია.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 12 მაჩვენებელს შეიცავს (ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ტექნოლოგიური მიღწევები, განათლება, შრომის ბაზრის მდგომარეობა და სხვა).

2011-2012 წლებში საქართველოს მიღწევები იყო შემდეგი: ინფრასტრუქტურის ეფექტიანი განვითარებისათვის 53-ე ადგილი, ინსტიტუციების მიხედვით – 61-ე, (2009-2010 წლებში ორივე მაჩვენებლის მიხედვით 72-ე ადგილი), ტექნოლოგიური მიღწევებისათვის – 76-ე (2009-2010 წწ. –

მე-100-ე), ბაზრის გაფართოებისათვის – 99-ე (2009-2010 წწ. – 101-ე), ფინანსური ბაზრის განვითარებით – 93-ე (2009-2010 წწ. – 95-ე). რაც შეეხება დანარჩენ მაჩვენებლებს მდგომარეობა გაუარესებულა, კერძოდ, უმაღლესი განათლება და პროფესიული გადამზადება – 93-ე (2009-2010 წწ. – 84-ე), სასაქონლო ბაზრის ეფექტურობა – 82-ე (2009-2010 წწ. – 74-ე), ინოვაციების მიხედვით 126-ე (2009-2010 წწ. – 119-ე). ბიზნესის განვითარების მაჩვენებელი – 113-ე ადგილი დარჩა უცვლელი (2009-2010 წწ. – 113-ე).

2015-2016 წლებში საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან 1 ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან – 58 ქვეკომპონენტში. კერძოდ, ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები (77-ე ადგილი), უმაღლესი განათლება და ტრეინინგი (87-ე ადგილი), სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა (48-ე ადგილი), შრომის ბაზრის ეფექტიანობა (32-ე ადგილი), საფინანსო ბაზრის განვითარება (68-ე ადგილი), ბაზრის მოცულობა (99-ე ადგილი), ბიზნესის განვითარება (112-ე ადგილი). გაუმჯობესებული ქვეკომპონენტებია: საკუთრების უფლება 58-ე ადგილი (გაუმჯობესდა 27 პოზიციით), ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (101-ე ადგილი), ნდობა პოლიტიკოსების მიმართ (77-ე ადგილი), სასამართლოს დამოუკიდებლობა (59-ე ადგილი), სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი (მე-7-ე ადგილი) და სხვ.

როგორც ჩანს, ინსტიტუციური რეფორმები საკმარისი არ აღმოჩნდა ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. მთავარ პრობლემებად მიიჩნევა დაფინანსების ხელმიუწვდომელობა, კვალიფიკაციის შეუსაბამობა, ინფლაცია, გადასახადების რეგულაცია,

პოლიტიკური არასტაბილურობა, ინფრასტრუქტურის არა-ადეკვატური უზრუნველყოფა, გადასახადების სიდიდე და სხვა ფაქტორები. მიუხედავად ამისა, „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი“ ინსტიტუციების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, უმაღლესი განათლების, შრომითი ბაზრის ეფექტურობისა და სხვა მიმართულებით საქართველოს პროგრესსაც აღიარებს. განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი (ფფიციენცყ რივენ) ქვეყნის სტატუსი აქვს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტთა კვლევები, ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედარებითი ანალიზი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ჩვენს ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას, დასაქმების დონის ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას.

ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოებაში მიღწეული წარმატებები, სტაბილური ბიზნეს გარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია. ამასთან სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების მაღალ დონეს, ხოლო სულ უფრო ნაკლები ბუნებრივ რესურსებს. ამის ნათელი მაგალითია იაპონია. ამდენად, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. აუცილებელია სახელმწიფოს ზრუნვა ქვეყნის მოსახლეობის განათლების მაღალ დონეზე, სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-

კვლევითი სამუშაოების დაფინანსება, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებთან აღაპტაცია და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

რაც შეეხება მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ ანგარიშს, ოინგ უსინესს 2013 წლის კვლევის მიხედვით, საქართველომ 185 ქვეყანას შორის, მე-9 ადგილი დაიკავა ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით. ოინგ უსინესს 2013-ის მიხედვით, საქართველო 2005 წლიდან არის პირველი რეფორმატორი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის და ასევე – მსოფლიოში. ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიხედვით ქვეყანა 2011-2012 წლებში მე-7 ადგილზე იყო.

მსოფლიო ბანკის 2014 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველო 189 ქვეყანას შორის მე-15, ხოლო 2015 წელს მე-16 ადგილზე იყო. თუმცა ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუარესების ნიშნები არ იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა 2014 წლის რეიტინგთან შედარებით 2015 წელს 1 საფეხურით დაქვეითდა. ოინგ უსინესს-ის შეფასების 10 კომპონენტის მიხედვით, 4 მათგანში საქართველოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში პოზიცია არ შეუცვლია, 1 კომპონენტში გაიუმჯობესა, ხოლო 5 კომპონენტში კი პოზიციები დათმო. აღსანიშნავია, რომ სარეიტინგო პოზიციის ცვლილება უკავშირდება არა ქვეყნის შიგნით მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებს, არამედ გლობალური ბიზნეს გარემოს კონიუნქტურის შეცვლას. „1 პუნქტით ცვლილება გამოწვეულია კვლევის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებებით, რომლის მიხედვით რეიტინგი განისაზღვრება არა პროცენტული რანგირების მეთოდით, არამედ ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებელს“.

ნებლიდან. გარდა ამისა, გადაიხედა რეიტინგის კალკულაცია და კვლევას მიემატა ახალი მონაცემები ქვეკომპონენტების სახით“, – აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

10 კომპონენტიდან საქართველო მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკას 5 კომპონენტში (ქონების რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვის მიღება, ელექტროსისტემებზე მიერთება, ბიზნესის რეგისტრაცია) დაუახლოვდა, 3 კომპონენტში (კრედიტების მიღება, მინორიტარული ინვესტორების დაცვა, კონტრაქტების აღსრულების უზრუნველყოფა) ვითარება არც გაუმჯობესებულა და არც გაუარესებულა, ხოლო 2 კომპონენტში (გადასახადების გადახდის პროცესი, საერთაშორისო ვაჭრობა) საქართველოს სარეიტინგო ქულა გაუარესდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არც გადასახადების რაოდენობა და არც საგადასახადო განაკვეთები არ გაზრდილა, გაზრდილია მხოლოდ გადასახადების გადახდისთვის საჭირო დროის მოცულობა წელიწადში 280 საათიდან 362 საათამდე, რაც ერთი კომპანიისთვის ერთ სამუშაო დღეზე საშუალოდ 1,5 საათი გამოდის, რაც არ არის დროის სერიოზული დანაკარგი. გარდა ამისა, გადასახადების რაოდენობის სიმცირით და საგადასახადო ტვირთის სიმსუბუქით საქართველო განვითარებულ ქვეყნებსაც უსწრებს.

პრობლემატურ საკითხებს მიეკუთვნება ელექტროსისტემებზე მიერთება (37-ე ადგილი), მინორიტარული ინვესტორების დაცვა (43-ე ადგილი), საერთაშორისო ვაჭრობა (33-ე ადგილი) და გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (122-ე ადგილი). ოინგ უსინესს რეიტინგის პირველ ათეულში შემავალი ქვეყნები სწორედ ამ კომპონენტების სიძლიერით გამოირჩევიან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნეს

საქმიანობისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ხსენებული კომპონენტები, ვიდრე ქონების, ან ბიზნესის დარეგისტრირების სიმარტივე. მაგალითად, დანია ბიზნესის დარეგისტრირების სიმარტივით მსოფლიოში 25-ე ადგილზეა, ხოლო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კუთხით მე-7-ზე, საერთო რეიტინგში კი მე-5 ადგილზეა (საქართველო ბიზნესის დარეგისტრირების კუთხით მე-5, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კუთხით 122-ე ადგილზეა).

აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კუთხით ბოლო რეიტინგში საქართველომ 8 საფეხურით წაიწია წინ, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, როგორც მსოფლიო ბანკის ანალიზი აჩვენებს, არის ყველაზე წონადი და გადამწყვეტი ფაქტორი ქვეყნის საერთო რეიტინგში და აქედან გამომდინარე, მისი გაუმჯობესება ყველაზე მეტად განაპირობებს ქვეყნის რეიტინგს.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კუთხით საქართველოს 122-ე ადგილი გამოწვეულია ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არაეფექტიანობით და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სირთულეებით (რეორგანიზაციის არასრულყოფილი პროცედურები, გაკოტრების პროცედურებში კრედიტორების მონაწილეობის დაბალი ხარისხი, სახსრების ამოღების დაბალი ნორმა და ა.შ.). ამ კუთხით საქართველო თითქმის 3-ჯერ ჩამორჩება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. თუ ამ კუთხით ვითარება გამოსწორდება, საქართველო რეიტინგში კიდევ უფრო მეტად დაწინაურდება. კვლევის მიხედვით, საქართველომ 2005 წლის შემდეგ რეგიონში ყველაზე მეტი, 36 რეფორმა განახორციელა, რაც რუანდის შემდეგ, მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ბიზნესმენტა დიდი უმრავლესობის აზრით ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველოს ლიდერობა რეალობას არ შეესაბამება, ფულად სახსრებზე წვდომა გართულებულია, რაც სწორედ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტები კრედიტებს მაღალი საპროცენტო განაკვეთებით გასცემენ. საქართველო კრედიტების სიძვირით მსოფლიოში მოწინავე ადგილზეა. მიუხედავად მაღალი პროცენტისა სესხის აღება მაინც გართულებულია. შედეგად, მომხმარებლები მიმართავენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, სადაც კრედიტი 2-ჯერ ძვირია.

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური სამეწარმეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით (საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში დახმარებები და ა.შ.). ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ-აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებები, რომლებმაც სწორედ ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია აირჩიეს და საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანობის მაღალ ხარისხს მიაღწიეს (სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი).

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ეტაპს სწორედ სავაჭრო საქმიანობის სფეროში ინტეგრაცია წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესის

განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო წარმოების განვითარებას მსოფლიო რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მსოფლიოს ყველა ქვეყნის სწრაფვა ექსპორტის ხელშეწყობა-განვითარებისაკენ. მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის ზრდის შედეგად ქვეყნები სპეციალიზდებიან სწორედ იმ საქონლის წარმოებაში, რომლის წარმოებაშიც ისინი ფლობენ კონკურენტულ უპირატესობას არამხოლოდ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად, გლობალურ დონეზე. ამდენად, ეკონომიკური გლობალიზაცია ხელს უწყობს საერთაშორისო რესურსების ეფექტიან განაწილებას და გამოყენებას, ქვეყნების ოპტიმალურ სპეციალიზაციას და საბოლოოდ, მსოფლიო ეკონომიკის წარმოების მოცულობის ზრდას.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რესურსების ექსპორტს, რომლებიც გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში და ისინი მნიშვნელოვან შემოსავალს იღებენ იმპორტიდან.

საქართველოში ექსპორტის ბოლო პერიოდის სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში ფარდობითი უპირატესობის მქონე სფეროებს. 2001-2009 წწ. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი ასეთი იყო: ფეროშენადნობები (17,8%), შავი ლითონის ჯართი (8,6%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (7,9%), მსუბუქი ავტომობილები (7,6%), აზოტოვანი სასუქები (7,0%), ოქრო დაუმუშავებელი და ნახევრადდამუშავებული (6,7%), ცემენტი (5,3%), სპირტი და სპირტოვანი სასმელები (4,9%), ყურძნის ნატურალური ღვინოები (2,5%), თხილი და სხვა კაკალი (2,1%). 2012 წლის მონაცემებით უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორ-



ტში ასე გამოიყურებოდა: მსუბუქი ავტომობილები – 24,7%, ფეროშენადნობები – 11%, აზოტოვანი სასუქები – 5,8%, სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 2,3%, ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული – 3,7%, თხილი და კაკალი – 3,5%, სპირტიანი სასმელები – 3,4%, ყურძნის ნატურალური ღვინოები – 2,7%, მინერალური და მტკნარი წყლები – 2,5%, ხორბალი – 2,2%, დანარჩენი – 38,3%. 2012 წელს 2001-2009 წლებთან შედარებით თითქმის 3-ჯერ გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების წილი, უმნიშვნელოდ გაიზარდა ღვინოების, მინერალური და მტკნარი წყლების წილი, ხოლო ყველა დანარჩენი შემცირდა [68].

2015 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში ასეთია: სპილენძის მადნები – 11%, ფეროშენადნობები – 9%, მსუბუქი ავტომობილები – 9%, რომელიც მკვეთრად შემცირდა 2012 წელთან შედარებით (24,7%), თხილი – 8%, სამკურნალო საშუალებები – 6%, დანარჩენი – 57% [68].

ამგვარად, ექსპორტში მაინც მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქციის წილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა ჰქონდეს ინდუსტრიულ სექტორში, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა) განვითარებას.

უცხოელი ექსპორტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ქვეყანას წლებია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. 2012 წელს იმპორტი ექ-

სპორტს 3,3-ჯერ ჭარბობდა. საგარეო სავაჭრო ბრუნვით, 2012 წლის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი პარტნიორები იყო: თურქეთი (15,1%), აზერბაიჯანი (12,3%), უკრაინა (7,5%), ჩინეთი (5,8%), გერმანია (5,7%), რუსეთი (5,1%), აშშ (4,3%), ბულგარეთი (3,3%), სომხეთი და იტალია 3,2% [68]. ქვეყნის სტაბილური განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება, თუ ექსპორტის წილი არ გაიზრდება.

2012 წელს საქართველოს ექსპორტის მოცულობა 2,4 მლრდ დოლარი იყო და ორჯერ გაუსწრო 2007 წლის მაჩვენებელს (1,2 მლრდ დოლარი), ხოლო იმპორტმა 7,8 მლრდ დოლარი შეადგინა და 1,5-ჯერ გაუსწრო 2007 წლის აღნიშნულ მაჩვენებელს.

2012 წელს საქართველოს 10 უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნები იყო: აზერბაიჯანი (26,4%), სომხეთი (11%), აშშ (9,5%), უკრაინა (7%), თურქეთი (6%), ბულგარეთი (2,9%), იტალია (2,2%), რუსეთი (1,9%), გერმანია (1,6%), ჩინეთი (1,1%).

2012 წელს საქართველოს 10 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი (17,8%), აზერბაიჯანი (8,1%), უკრაინა (7,6%), ჩინეთი (7,2%), გერმანია (6,9%), რუსეთი (6%), ბულგარეთი (3,5%), იტალია (3,5%), აშშ (2,7%), სომხეთი (0,9%) [68].


რუსული ემბარგოს უარყოფითი გავლენა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ განეიტრალებულა და მეტიც ნატურალური ყურძნის ღვინოების ექსპორტის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა (2005 წელს 81,3 მლნ დოლარი; 2006 წელს – 41 მლნ; 2007 წელს – 29,2 მლნ, 2011 წელს – 54,1 მლნ, 2012 წელს კი 64,8 მლნ დოლარი). აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად შეჩერდა საგარეო

ვაჭრობა და მათ შორის საქონლის ექსპორტიც. გარდა ამისა, შეფერხდა წარმოების განვითარება [68].


2015 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს 3,4-ჯერ ჭარბობდა, თუმცა 2007 წელთან შედარებით ეს უკეთესი მაჩვენებელია (აღნიშნულ წელს და წინა წლებში იმპორტი 4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს). ექსპორტის წილის გაზრდის გარეშე ქვეყნის სტაბილური განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება. საქართველოს ექსპორტის წილის გაზრდა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

2015 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, წინა წლებთან შედარებით შეიცვალა საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალიც და მათი ხვედრი წილიც წინა წლებთან შედარებით (იხ. დიაგრამა 1.1 და 1.2). ექსპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი (12%), ბულგარეთი (10%), თურქეთი (9%), სომხეთი (8%), რუსეთი (7%). იგივე პერიოდში საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი (17%), ჩინეთი (8%), რუსეთი (7%), აზერბაიჯანი (7%), უკრაინა (6%) [68].

**უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების  
წილი მთლიან ექსპორტში 2015 წლის  
იანვარ-ოქტომბერში**  
დიაგრამა 1.1.



**უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების  
წილი მთლიან ექსპორტში 2015 წლის  
იანვარ-ოქტომბერში**  
დიაგრამა 1.2.



საქართველოს ექსპორტის წილის გაზრდა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სტაბილური განვითარება შეუძლებელი იქნება, თუ ექსპორტის წილი არ გაიზრდება. ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით ყველაზე მეტი შანსი აქვს ხუთ სექტორს. ესენია: სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი და ფინანსური ინსტიტუტები.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს წარმატებული მონაწილეობა შეუძლია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის ტრადიციული სექტორების განვითარების ხარჯზე.

ქვეყნის ტრადიციული დარგებიდან უფრო ისეთი პროდუქცია გადის საერთაშორისო ბაზარზე, სადაც ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად უცხოელებიც თანამ-

შრომლობენ. უცხოელთა მიერ ადგილობრივ წარმოებაში ჩართვის ყველაზე პოპულარულ ფორმას წარმოადგენს ერთობლივი საწარმო, თუმცა გეხვედება საწარმოო პროცესში ჩართვის სხვა ფორმაც. ერთობლივ საწარმოს სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ის უპირატესობა აქვს, რომ რისკის განაწილება ხდება თანაბრად უცხოელ ინვესტორსა და ადგილობრივ მეწარმეს შორის, ამასთან ადგილობრივი პარტნიორის არსებობა უადვილებს უცხოელ პარტნიორს საქმიანობას და ანთავისუფლებს მას ბევრი ისეთი პრობლემისაგან, რომელიც ადგილობრივი თავისებურებებით არის განპირობებული.

კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის ასევე საინტერესო ფორმაა ფრანჩაიზინგის სისტემის გამოყენება. იგი დღეს ფართოდ გამოიყენება საცალო ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში და, შედარებით ნაკლებად, წარმოებაში. უნდა აღინიშნოს ის, რომ საწარმოო ფრანჩაიზინგის დროს ფრანჩაიზინგის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ფრანჩაიზიატი შედარებით ავტონომიური რჩება. საქართველოს კვების მრეწველობაში ფრანჩაიზინგული სისტემის გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება ჩაის და საკონსერვო მრეწველობაში.

მთელ მსოფლიოში განუხრელად იზრდება წყალზე მოთხოვნა. მსოფლიოს თითქმის არცერთ ქვეყანაში არ ვარგა სასმელი წყალი, საქართველო კი უმდიდრესი ქვეყანაა სასმელი წყლის რესურსებით. ამ მხრივ იგი 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპის და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე. ამასთანავე საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელ წყალს წარმოადგენს. საქართველოს შეუძლია მთელი მსოფლიო დააკმაყოფილოს წყლით. ყველაზე დიდი შემოსავალი შეიძლება მი-

დებულ იქნეს წყლის ბიზნესით. ამ სფეროში აუცილებელია სარეკლამო საქმიანობის ფართოდ გაშლა და თან ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია.

საქართველოში უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. ასეთია მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საექსპორტო პროდუქციის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი, შესაბამისად, იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობენ ფარმაცოლოგიურ კვლევებსა და ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში, დღესაც ფართოდ არიან გავრცელებულნი. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. 2015 წლის მონა-

ცემებით, სამკურნალო საშუალებები უკვე უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციაში შედის 6%-იანი წილით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწეოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას.

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომსახურების სფეროს ისეთ კონკურენტულ დარგებზე, როგორცაა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი და დაზღვევა. ბოლო პერიოდში ერთდროულად რამდენიმე ცნობილი საერთაშორისო სასტუმროს ქსელმა დაიწყო ოპერირება. მათ შორის 5 ვარსკვლავიანი სასტუმროები – „მერიოტი“, „ჰილტონი“, „რედისონი“, „ემპინსკი“ და ა.შ. ეს განაპირობა იმან, რომ 2005-2007 წლებში ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად 70-80%-ით იზრდებოდა. 2014-2015 წლებში ტურისტების რაოდენობამ წლიურად 5 მილიონს გადააჭარბა [68].

ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ლიბერალური პოლიტიკის გატარება. მაგ. თურქეთში ასეთმა მიდგომამ მკვეთრად შეუწყო ხელი ტურიზმის განვითარებას. სახელმწიფომ ტურიზმის სფეროში დასაქმებულ მეწამეებს, რამდენიმე წლით გარკვეული შეღავათები გაუწია: გასცა უპროცენტო და დაბალპროცენტიანი კრედიტები, გაათავისუფლა გადასახადებისაგან და ა.შ. ყოველივე ამან, სულ რამდენიმე წელიწადში თურქეთი ევროპაში

განვითარებული ტურიზმის ქვეყანათა პირველ ათეულში შეიყვანა [26, გვ.12].

სახელმწიფოს დახმარება საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაში და სწორი პოლიტიკის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს. ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. სახელმწიფო თუ შესაბამის გარემოს შეუქმნის ინვესტორებს, ტურიზმში ფულს დააბანდებენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორები.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მის რაციონალურად გამოყენებაზე.

საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლების მონაცემებით საქართველოს ჰქონდა შემდეგი მაჩვენებლები: საკუთრების უფლების დაცვით – 85-ე, დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა – 71-ე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა – 127-ე, ბაზარზე დომინირების მასშტაბები – 103-ე, ბიზნესის გავლენა ინვესტიციებზე – 28-ე, გადასახადების გავლენა სამუშაო სტიმულზე – მე-80-ე ადგილი.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2015-2016 წლების მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებლები გაუმჯობესდა, კერძოდ, საკუთრების უფლების დაცვა – 58-ე ადგილი (გაუმჯობესდა 27 პოზიციით), დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა – 54-ე (გაუმჯობესდა 17 პოზიციით), ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექ-



ტიანობა – 116-ე (გაუმჯობესდა 11 პოზიციით), ბაზარზე დომინირების მასშტაბები – 88 (გაუმჯობესდა 15 პოზიციით), ბიზნესის გავლენა ინვესტიციებზე – 21-ე (გაუმჯობესდა 7 პოზიციით), გადასახადების გავლენა სამუშაო სტიმულზე – 65-ე ადგილი (გაუმჯობესდა 15 პოზიციით) [80].

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები გავლენას ახდენენ საბანკო სისტემაზეც. მართალია, საქართველოს საბანკო სისტემა მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით ერთ-ერთ გამართულ სისტემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა დარგების ეკონომიკურ სისტემებს შორის, მაგრამ მათი ლიკვიდობის დონე და განხორციელებული ოპერაციები მაინც ვერ პასუხობენ გლობალიზაციის ეპოქის მოთხოვნებს. დღეისათვის კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე, რაც აჩვენებს საქართველოს კომერციული ბანკების სუსტ მონაწილეობას რეალური ეკონომიკის დაკრედიტებაში. ეს აისახება კიდევ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში. კერძოდ, კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2015-2016 წლების მონაცემებით ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა – 73-ე ადგილი, წინა წელთან შედარებით 2 პოზიციით გაუმჯობესდა, სესხებზე ხელმისაწვდომობა – 109-ე ადგილი, წინა წელთან შედარებით მხოლოდ 1 პოზიციით გაუმჯობესდა.

საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციების თანადგომით ქვეყანაში განხორციელდა მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო-ტელეკომუნიკაციო (შჭ1 თ) ცენტრალიზებული სისტემის დანერგვა. ამუშავდა ბანკომატების ვრცელი ქსელი და ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა პენსიო-

ნერთა და სხვადასხვა სტრუქტურაში მომუშავეთა პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების ცივილიზებული მეთოდი. დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ფულადი გზავნილების საერთაშორისო და ლოკალური სისტემები.

ქვეყნის საბანკო მომსახურების ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოდინება საბანკო სექტორის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა. ქართულ საბანკო სივრცეში უცხოური კაპიტალის შეუზღუდავად შემოდინებამ განაპირობა საბანკო მომსახურების ბაზარზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი ფინანსური პროდუქტების დანერგვა, საკრედიტო ორგანიზაციებში კორპორაციული მართვის კულტურის ამადლება, საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურენციის განვითარება და საბანკო საქმის სრულყოფა.

საქართველოს ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი უპირატესობა მისი სატრანზიტო ფუნქციაა, რომელმაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამადლება.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნების წარმოდგენის საშუალებას. კერძოდ, კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციური რეფორმები საკმარისი არ არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. მთავარ პრობლემებად მიიჩნევა:

- პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტური ზონების არსებობა;
- კრედიტებზე მაღალი საბანკო განაკვეთები;

- საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები;
- სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა;
- კვალიფიკაციის შეუსაბამობა;
- ინფლაცია.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი“ ინსტიტუციების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, უმაღლესი განათლების, შრომითი ბაზრის ეფექტურობისა და სხვა მიმართულებით საქართველოს პროგრესსაც აღიარებს.

ჩატარებული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

✓ უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის სისტემის შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.;

✓ ხელი უნდა შეეწყოს სასურსათო ბაზრის შევსებას ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით, რომელიც უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ ოჯახურ მეურნეობებში წარმოებულ სასურსათო პროდუქტებს, არამედ შედარებით მასშტაბური (მცირე და საშუალო) გადამამუშავებელი საწარმოებისა და ფერმების შექმნას;

✓ უნდა გაფართოვდეს დასაქმებულთათვის საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები, განხორციელდეს მათი დატრენინგება;

✓ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.;

✓ კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის რეკომენდირებულია ჩამოყალიბდეს განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემა;

✓ ინვესტირებისთვის აუცილებელია სტაბილური სამართლებრივი გარემოს არსებობა, რაც შეუქმნის მათი საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს;

✓ ქვეყნის სტაბილური განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება, თუ ექსპორტის წილი არ გაიზრდება.

## 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საინვესტიციო აქტიურობის დონით და საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბებით. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. საქართველოს დღეს ჰაერივით სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში საავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და სხვ.

როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან სტიმულს არ წარმოადგენს, ისინი უფრო განვითარებადი ეკონომიკებისთვისაა მნიშვნელოვანი. საქართველოში არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია.

საქართველოში საკმაოდ სერიოზული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელებული იქნა 1993-1994 წლებში, მაშინ როცა ქვეყანა ღრმა კრიზისულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება მოპოვებითი მრეწველობის დარგებს. ინვესტიციების დაბანდების ზრდის მაღალი ტენდენციები გრძელდებოდა 1996-1998

წლებში. 1998 წელს დაფიქსირდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაბანდების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები, მან მაქსიმალურ დონეს 288,04 მილიონ დოლარს მიაღწია. მაგრამ, ამავე წლის მეორე ნახევარში განვითარებულმა საგადამხდელო და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისმა, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და ინფლაციამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების პროცესს, დააბა სოციალური ფონი სახელმწიფოში. პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდას თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება. ამის მიზეზი იყო ასევე ბაქოსუფსის მილსადენისა და სუფსის ტერმინალის დამთავრება, რაც ქვეყანაში ბოლო პერიოდში განხორციელებულ ყველაზე ძვირადღირებულ პროექტს წარმოადგენდა. ინვესტიციების მოცულობამ 1999 წელს შეადგინა დაახლოებით 83,65 მილიონი დოლარი, ხოლო 2000 წელს 60,14 მილიონი დოლარი, ანუ ორი წლის წინანდელი მაჩვენებლის 21%.

ინვესტიციების რაოდენობა 2007 წელს 2000 წელთან შედარებით რამდენჯერმე გაიზარდა და საქართველოში შემოსული ინვესტიციების მაქსიმალურ დონეს მიაღწია. შემოსული უცხოური ინვესტიციების 36 პროცენტი ენერჯოსექტორის მოდერნიზებას მოხმარდა, თუმცა სხვა სექტორებში ჩადებული მსხვილი ინვესტიციები ქვეყნის მიმზიდველობის ზრდაზე მიუთითებს. 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთი მესამედი საქართველოს მეზობელი ისეთი მდიდარი ქვეყნებიდან შემოვიდა, როგორცაა ყაზახეთი (152 მლნ \$), თურქეთი (130 მლნ \$) და რუსეთი (34,2 მლნ \$). ამავე წელს დიდი რაოდენობის ინ-

ვესტიცია შემოვიდა გაერთიანებული სამეფოდან (186 მლნ \$) და აშშ-დან (183 მლნ \$).

2007 წელს ინვესტიციები კიდევ უფრო გაიზარდა და 1,7 მლრდ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი ოდენობის საინვესტიციო ნაკადები შემოვიდა ნიდერლანდებიდან (219 მლნ \$), ვირჯინიის კუნძულებიდან (151 მლნ \$) და კვიპროსიდან (136 მლნ \$). მკვეთრად იმატა ინვესტიციებმა დიდი ბრიტანეთიდან (103,9 მლნ \$), დანიიდან (92,6 მლნ \$), საფრანგეთიდან (37 მლნ \$) და იტალიიდან (15,2 მლნ \$). პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირიდან მეტწილად ენერგეტიკაში, სამთომომპოვებელ მრეწველობაში, ტურიზმსა და სამშენებლო ინდუსტრიაში იქნა განთავსებული.

აღნიშნულ წლებში არსებობდა მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოდინებას, რაც ექსპორტის ზრდის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა, მაგრამ ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართულ იქნა კაპიტალტეკად დარგებში, სადაც დასაქმების მოცულობა მცირეა. ამგვარად, ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, თუმცა ვერ მოხდა უმუშევრობის შემცირება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა.

2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ დაიწყო ინვესტიციების შემცირება. ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა 2009-2010 წლებში, თუმცა 2011 წლიდან დაიწყო მატება. 2014 წელს 2007 წელთან შედარებით ინვესტიციები 1,6-ჯერ არის შემცირებული. შეიცვალა უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებიც და მათი წილიც. კერძოდ, 2014 წლის წინასწარი მონაცემებით ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა ნიდერლანდებიდან (331 მლნ \$), აზერბაიჯანი-

დან (302 მლნ \$), ჩინეთიდან (195 მლნ \$), გაერთიანებული სამეფოდან (114 მლნ \$), სერიოზული ინვესტიციები შემოვიდა ლუქსემბურგიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, რუსეთიდან, პანამიდან და მალტიდან [68].

ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების განთავსების ფორმებსა და მიმართულებებს. უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვის მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად ტურიზმი, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და კვების მრეწველობაა. შედარებით ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვა საბანკო სფერომ, ენერგეტიკამ, ვაჭრობამ და სოფლის მეურნეობამ. მძიმე მრეწველობისა და მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარება მათი აზრით, პერსპექტიული არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა საქართველოში საბანკო, სადაზღვევო სფეროში, ასევე ტელეკომუნიკაციებში, ტრანსპორტში, სასტუმროებში, ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში, 2008 წელს კი ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, ასევე ენერგეტიკაში. 2012 წელს ინვესტიციების დიდი რაოდენობა განთავსდა დამამუშავებელ მრეწველობაში, რაც უდავოდ მისასალმებელია. დანარჩენ სექტორებში წინა წლებთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით რეკორდული აღმოჩნდა 2014 წელი, როდესაც წლიურმა მაჩვენებელმა 1 მილიარდ 758 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2007 წლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია. მათ შორის, განსაკუთრებით მსხვილი ინვესტიციები შემოვიდა ჩინეთიდან და აზერბაიჯანიდან.




2014 წლისათვის უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 27%; მშენებლობა – 23%, დამამუშავებელი მრეწველობა – 13%; ენერგეტიკა – 8%; უძრავი ქონება – 7%; საფინანსო სექტორი – 6%; სამთომომპოვებელი მრეწველობა – 3%; დანარჩენი სექტორი – 12% [68].

საინვესტიციო სააგენტოს მონაცემებით, 2015 წელს მოსალოდნელია ინვესტიციებმა საქართველოში 1,5 მლრდ დოლარს მიაღწიოს. სამი კვარტლის მონაცემებით იგი უკვე შეადგენს მილიარდზე (1 მლრდ 19 მლნ აშშ დოლარს) მეტს. ინვესტიციების ზრდა უკავშირდება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და მის შემადგენელ ნაწილს, ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას. აღნიშნულმა შეთანხმებამ გაზარდა საქართველოს მიმართ ნდობა საერთაშორისო ინვესტორებში.

2015 წლის სამი კვარტლის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 2.1.): პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი (173 მლნ აშშ დოლარი), მეორეზე ნიდერლანდები (55 მლნ აშშ დოლარი), მესამეზე თურქეთი (43 მლნ აშშ დოლარი). შემდეგ მოდის გაერთიანებული სამეფო (41 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი (40 მლნ აშშ დოლარი), ლუქსემბურგი (31 მლნ აშშ დოლარი) და ა.შ. [68].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში  
2015 წლის III კვარტალში (მლნ. აშშ დოლარი)


დიაგრამა 2.1.



საქართველოში 2015 წლის III კვარტლის მონაცემებით უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 2.2): ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 45%; საფინანსო სექტორი – 15%; მშენებლობა – 13%, დამამუშავებელი მრეწველობა – 7%; ენერჯეტიკა – 4%; უძრავი ქონება – 4%; სამთომომპოვებელი მრეწველობა -3%; დანარჩენი სექტორი – 9% [68].

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები  
 ეკონომიკის სექტორების მიხედვით  
 2015 წლის III კვარტალში

დიაგრამა 2.2.



2015 წელს 2014 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად გაიზარდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, საფინანსო სექტორში, შემცირდა მშენებლობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, უძრავ ქონებაში, ენერგეტიკაში, იგივე დარჩა სამთომომპოვებელ მრეწველობაში.

საპარტნიორო ფონდის მონაცემებით, 2016-2017 წლებში მნიშვნელოვანი კერძო ინვესტიციები მოსალოდნელია ენერგეტიკის სფეროში, სადაც უკვე განხორციელდა 10-მდე პროექტი, ხოლო 104 პროექტი განხორციელების სტადიაშია. ასევე გაგრძელდება ინვესტირება დეველოპმენტსა და მშენებლობაში, სადაც თვითღირებულება აშკარად

ძალიან დაბალი, შესაბამისად კი საინვესტიციო მიმზიდველობა მაღალია. ვინაიდან ტურისტული ნაკადები კვლავაც იზრდება, მოსალოდნელია პროგრესი სასტუმროების და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ბიზნესში. ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელების დაწყება, მნიშვნელოვნად შეცვლის ინვესტიციების სტრუქტურას სატრანსპორტო დარგის სასარგებლოდ. ასევე მოსალოდნელია მზარდი ინვესტიციები სამედიცინო სექტორშიც.

2016-2017 წლებში კერძო ინვესტიციებს ხელს შეუწყობს საერთაშორისო საფინანსო ბაზრების მზარდი ხელმისაწვდომობა: თუ პირობითად ათი წლის წინ მხოლოდ ერთი ქართული კერძო კომპანია იყო გასული ლონდონის საფონდო ბირჟაზე („საქართველოს ბანკი“), 2014-2015 წლებში მის რიცხვს ერთბაშად ორი კომპანია შეემატა („თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“). რამდენიმე სხვა კერძო ჯგუფიც ემზადება საერთაშორისო ბირჟებზე აქციების განსათავსებლად ანდა ბონდების გამოსაშვებად. პარალელურად, ჩვენს რეგიონში ტრადიციულად აქტიურ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ( ღ , I , , I ჩ) ახალი მულტილატერალური საფინანსო ინსტიტუტები და ექსპორტის ხელშემწყობი ბანკები შეემატა. მაგალითად, აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკი II , ჩინეთის განვითარების ბანკი, კორეის განვითარების სააგენტო, იტალიური შ ჩ , აღმოსავლეთ ევროპის ექსიმ ბანკები და სხვ. ამდენად, კარგად სტრუქტურირებული და კომერციულად მდგრადი პროექტების შეთავაზების შემთხვევაში ინვესტორებს შედარებით იაფ საფინანსო რესურსზე ექნებათ წვდომა. რაც შეეხება სახელმწიფო ინვესტიციებს, ისინი კვლავაც საგზაო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურაში, ასევე სოციალური პროფილის ობიექტებში ჩაიდება. ანუ, ისეთ

პროექტებში რომელთა კომერციალიზაციაც რთული ან შეუძლებელია. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ეგიდით მიმდინარეობს ე.წ. უბლიც-რივატე არტნერსჰიპ, ანუ საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპით განსახორციელებელი პროექტებისთვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. შედეგად ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ტრადიციულად სახელმწიფოს სახსრებით ხორციელდებოდა, დასტრუქტურირდება იმდაგვარად, რომ კერძო ინვესტორისთვისაც საინტერესო გახდეს. ასეთი მოდელის დანერგვა სტიმულს მისცემს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის რისკების გადანაწილებას და კერძო ინვესტიციების წილის ზრდას სახელმწიფო ინვესტიციებთან შედარებით.

2016 წელს მოსალოდნელია აბრეშუმის გზის ქვეყნების შემდგომი გააქტიურება. განსაკუთრებით ჩინეთი, რომელიც ინვესტიციების თვალსაზრისით 2014 წლის ლიდერი იყო, ეცდება გაზარდოს თავისი პორტფელი რეგიონში. თურქეთი (მათ შორის რუსეთთან გართულებული სავაჭრო ურთიერთობების გამო) სავარაუდოდ შეეცდება მონახოს პროდუქციის ალტერნატიული გასაღების არხები საქართველოში ბიზნესების გადმოტანის გზით. უახლოეს 2-3 წელიწადში ასევე გააქტიურდებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათ შორის, როგორც სტრატეგიული ინვესტორების, თავიანთი ექსპორტის ხელშემწყობი ბანკების მხარდაჭერით, ისე სხვადასხვა საინვესტიციო ფონდების მეშვეობით.

როგორც ვხედავთ, ინვესტიციები ნაკლებადაა მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს აქვს შედარებითი საგრძნობი უპირატესობები. ისინი ნაკლებადაა გამიზნული სამუშაო

ადგილების შექმნისა და პროდუქტიულობის ამაღლებისაკენ, მაგრამ უზრუნველყოფს ხანგრძლივ დროში აღმავლობას და ეკონომიკურ განვითარებას.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა.

საქართველოში ინვესტიციების მარეგულირებელი კანონი მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1991 წლის 25 ივლისს, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1995 წლის კანონის „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ მიღების შემდეგ. აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში.

1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელი ინვესტორისათვის მეტი სტიმულის გაჩენას. კანონმა განსაზღვრა როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები საქართველოში.

2002 წელს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომლის მიზანი სახელმწიფო საწარმო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირება იყო, თუმცა კანონი მრავალჯერ შეიცვალა.

2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ მიზნად ისახავდა ინვესტიციების ხელშეწყობას აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით, ასევე დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნას.

მოცემული კანონი ინვესტორს შესაძლებლობას აძლევს

მის კაპიტალდაბანდებას განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს, რაც მას მთავრობასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობისკენ უხსნის გზას.

2013 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედვით არსებობს: საპაიო საინვესტიციო ფონდი (ღია, ინტერვალური, დახურული); გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი; სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვ., რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა.

აღსანიშნავია ასევე, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სოციალური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020) პირდაპირ მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მინი-

მიზირებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ა.შ.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ხშირად ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ პროექტის ჩაფარდნასაც კი იწვევს.

საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია:

- შესწავლილ იქნეს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და მიმართულებები, განისაზღვროს მათი ზეგავლენა ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოში არსებულ შესაძლებლობებზე;
- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, სასამართლო პროცესის გამარტივება და გამჭვირვალობა;
- უცხოელი ინვესტორების დაინტერესება გადასახადებზე შედავათებით და ნაკლები შეზღუდვებით;
- საინვესტიციო საქმიანობის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საინვესტიციო პროექტების სრულყოფილი ბანკის შექმნა და მსოფლიო მასშტაბით საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ პოტენციური ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება.



### 3. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც თავისთავად ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, სტაბილური განვითარების გარანტიის „საშუალო ფენის“ წარმოქმნას. სამეწარმეო გარემოსა და პირობების შექმნას, მეწარმეთა ინტერესების დაცვას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად გულისხმობს სწორი სამეწარმეო პოლიტიკისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან საქართველოში იწყება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი. დაიწყო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება. მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ აქცენტი გააკეთა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე და 1996 წელს პარლამენტის მიერ მიღებული სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების კონცეფციაში მცირე და საშუალო მეწარმეობა აღიარებულ იქნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად. სწრაფი ტემპით განვითარდა კერძო სექტორი, თუმცა ამ პერიოდში შექმნილ კოოპერატივთა უმრავლესობა (75-80%) სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე ფორმირდებოდა. კოოპერატივების მიმართ ტარდებოდა შედარებით ლიბერალური ფასების პოლიტიკა, ხოლო სახელმწიფო საწარმოების მიერ წარმოე-

ბულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე, სამუშაოს შესრულებაზე) დაწესებული იყო ფიქსირებული ფასი. ხშირად შეკვეთები სრულდებოდა კოოპერატივის სახელით და შედეგად კოოპერატივის ფასსა და სახელმწიფო საწარმოს ფასს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საწყის ეტაპზე მეწარმეობა და კერძო სექტორი ყალიბდებოდა როგორც სახელმწიფო სექტორის დანამატი. ამავე პერიოდში დაიწყო საარენდო ურთიერთობების (განსაკუთრებით არენდა გამოსყიდვის უფლებით) დამკვიდრება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში ქონების ფაქტიურად უკონტროლო გადადინების პროცესს. გააქტიურდა სავაჭრო ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ეს პროცესიც სახელმწიფო სექტორთან მჭიდრო ურთიერთკავშირში წარიმართა. ბაზარზე არსებობდა საქონლის მწვავე დეფიციტი. დიდი შემოსავლების მისაღებად საკმარისი იყო უმარტივესი სავაჭრო ოპერაციების განხორციელება. ბაზარი ძირითადად იმპორტირებულ საქონელზე იყო დამოკიდებული. მომხმარებელი ალტერნატივის არარსებობის გამო ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა მიმწოდებელზე. ბაზარზე მოქმედი სუბიექტები წინააღმდეგობას უწევდნენ ახალი მოთამაშეების გამოჩენას, რომლებიც მომხმარებლის მოზიდვას ცდილობდნენ საქონლის დაბალი ფასით, ხარისხით და სხვა კონკურენტული ბრძოლისთვის დამახასიათებელი მეთოდებით.

ურთულესი პირობები შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სფეროში. საწარმოთა პრივატიზების შედეგად ვითარება თვისებრივად არ შეცვლილა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უმოქმედოდ იყო, ხოლო 40-45

პროცენტი უმნიშვნელო დატვირთვით მუშაობდა. ყოველი-ვე ეს განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- საწარმოების დიდი ნაწილის ასამოქმედებლად საჭირო იყო მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბან-დებები, რაც ფინანსური რესურსების სიმწირის გამო თითქმის შეუძლებელი იყო;
- მეწარმეთა უმრავლესობას არ შეეძლო მონაწი-ლეობის მიღება კონკურენციულ ბრძოლაში, ამი-ტომ ისინი ცდილობდნენ მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსები უმარტივეს სავაჭრო და სპეკულაციურ ოპერაციებში დაებანდებინათ;
- საბანკო სფერო ვერ უზრუნველყოფდა საწარმოო სფეროს დაკრედიტებას;
- ვერ ხერხდებოდა საწარმოებში უცხოური ინვეს-ტიციების მოზიდვა. მოქმედი კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ უკიდურესად ზღუდავდა ადგილობრივი ინვესტორების მიერ ინვესტიციე-ბის განხორციელების პროცესს. თუმცა ამავე დროს, უცხოელი ინვესტორებისთვის არსებობდა მაქსიმალურად ხელსაყრელი საგადასახადო შე-დავათები;
- უცხოური კრედიტები და დახმარებები ნაწილდე-ბოდა ცალკეული დარგობრივი უწყებების ღონე-ზე, მაშინ როდესაც არ ხდებოდა მათი ეკონომი-კურ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- მოქმედ საწარმოებს მძიმე ტვირთად აწვებოდა როგორც გადასახადების სიმრავლე, ისე საგადა-სახადო კანონმდებლობის ცალკეულ დებულება-თა ორაზროვნება, რაც უარყოფითად მოქმედებდა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაზე.

შეიქმნა მეწარმეობის ძირითადი რგოლი ფირმა.

საქართველოში საქმიანობის სახეებისა და შესრულებული ოპერაციების ხასიათის მიხედვით ამოქმედდა შემდეგი სახის ფირმები: ინდუსტრიული, სავაჭრო, სატრანსპორტო, სატრანსპორტო-საექსპედიტორო, სადაზღვევო, ინჟინირინგული, ტურისტული, ტუროპერატიული, საარენდო, სარეკლამო ფირმები და სააგენტოები და სხვ.

საკუთრების ფორმის მიხედვით ფირმა ეკუთვნის: ერთ პირს – ინდივიდუალური საწარმო; ორ ან მეტ პარტნიორს – პარტნიორული საწარმო; მრავალ პარტნიორს – კორპორაციული საწარმო; სახელმწიფოს.

სიდიდის მიხედვით არსებობს:

- მცირე ფირმები (დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვა 0,5 მლნ ლარს);
- საშუალო ფირმები (ასამდე დასაქმებული და წლიური ბრუნვა 1,5 მლნ ლარამდე);
- მსხვილი ფირმები

სამართლებრივი სტატუსის მიხედვით მოქმედებს:

- ინიდივიდუალური მეწარმე;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- კომანდიტური საზოგადოება (კს);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- სააქციო საზოგადოება (სს);
- კოოპერატივი.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციაში ეკონომიკის დარგების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი სექციები:

- სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა;
- თევზჭერა, მეთევზეობა;
- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- დამამუშავებელი მრეწველობა;
- ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება;
- მშენებლობა;
- ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
- სასტუმროები და რესტორნები;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; საფინანსო საქმიანობა;
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;
- სახელმწიფო მმართველობა;
- განათლება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება;
- კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა;
- შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის;
- ექსტერიტორიების ორგანიზაციების საქმიანობა [68].

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის ძირითადი სეგმენტია: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა; სოფლის მეურნეობა და სხვ. დასაქმების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში მცირე და საშუალო მეწარმეობა. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი. მცირე ზომის ფერმები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 82%-ს. აქედან მხოლოდ 8-10% არის ორიენტირებული ბაზარზე გასაყიდად, დანარჩენი შინამეურნეობების შიდა მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. დიდი ზომის ფერმები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 10%-ს, რომელიც რეალიზდება ბაზარზე [68]. ეს გარემოება ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მთლიანად დაფუძნებულია მცირე და საშუალო ზომის მეწარმეობაზე, რაც ხასიათდება დაბალეფექტიანობით და შესაბამისად, დაბალკონკურენტუნარიანობით.

ბიზნეს-რეგისტრის მონაცემების თანახმად, 1999 წლამდე შეიმჩნეოდა მეწარმეობრივი საქმიანობის მკვეთრი ზრდა. 1999 წელს საქართველოში რეგისტრირებული საწარმოებიდან (65 ათასი) 45,7% დაფუძნებული იყო ინდივიდუალური საწარმოს სახით, 32,5% – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 3%- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 18,8%-სააქციო, კომანდიტური საზოგადოებები, კოოპერატივები, საწარმოთა და ორგანიზაციათა სხვა ტიპები.

საწარმოთა 86% იმყოფებოდა კერძო პირთა საკუთრებაში, 6,6% მიეკუთვნებოდა სახელმწიფო სექტორს. საწარმოთა და ორგანიზაციათა დაახლოებით 0,8% იყო უც-

ხოელთა (სრულ ან ნაწილობრივ) საკუთრებაში. დანარჩენი (6,6%) იმყოფებოდა საზოგადოებრივ გაერთიანებათა და სხვათა საკუთრებაში [21, გვ.19].

საწარმოთა საერთო რაოდენობიდან თითქმის ყოველი მეორე მიეკუთვნებოდა ვაჭრობას, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტს (48,3%), რეგისტრირებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა უმცირესი რაოდენობა (0,4%) დაფუძნებული იყო სამთომომპოვებელ მრეწველობაში, 13,5% დამამუშავებელ მრეწველობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ რეგისტრირებული საწარმოებიდან მხოლოდ 37% მოქმედებდა, რომელთაგან 11,4% იყო მსხვილი და საშუალო, ხოლო 88,6% მცირე. ამათგან 9,1% მიეკუთვნებოდა სახელმწიფო სექტორს და 90,9% - არასახელმწიფო სექტორს.

2015 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით სუბიექტთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების წილი ასეთია: კომერციული იურიდიული პირები – 28,3%, არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები – 3,5%, ინდივიდუალური მეწარმე – 66,7%, სხვა – 0,5%, საჯარო სამართლის სუბიექტები – 1% [68].

კომერციულ იურიდიულ პირებს მიეკუთვნება: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (0,4%), კომანდიტური საზოგადოება (0,0%), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (26,9%), სააქციო საზოგადოება (0,4%), კოოპერატივი (0,6%).

2015 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოში რეგისტრირებულ სუბიექტების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რე-

მონტი (20,5%), შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (4,6%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (3,9%), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (3,1%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (2,8%), მშენებლობა (2,4%), სასტუმროები და რესტორნები (1,8%), განათლება (1%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება (0,9%) და ა.შ.

აღნიშნული სუბიექტებიდან კერძო პირებს\* ეკუთვნის 98,2% (საქართველოს მოქალაქე კერძო პირებს – 94,9%, უცხოელ კერძო პირებს – 2,6%, კერძო შერეული\*\* – 0,7%), სახელმწიფოს\*\*\* – 1%, მუნიციპალიტეტს – 0,3%, საკუთრების სხვა ტიპს – 0,5% [68].

აღსანიშნავია, რომ საქსტატის მონაცემებით, 2010 წლამდე მსხვილ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის წილი მეტი იყო, ვიდრე შემდგომ პერიოდებში. ასე მაგალითად, 2010 წლის მონაცემებით, მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა გამოშვებული პროდუქციის 86,8%, საშუალოზე – 9,1%, ხოლო მცირეზე – 4,1%. 2012 წელს გაიზარდა მცირე საწარმოებში გამოშვებული პროდუქცია და 10,4% შეადგინა, საშუალოზე მოდიოდა – 8,6%, ხოლო მსხვილ საწარმოებზე გამოშვებული პროდუქციის 81%.

2014 წელს 2010 წელთან შედარებით 6,4%-ით შემცირდა მსხვილ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის

---

\* კერძო პირი – ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია.

\*\* კერძო შერეული – ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობა;

\*\*\* სახელმწიფო – ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია.



წილი (80,2%), უმნიშვნელოდ გაიზარდა საშუალო საწარმოების წილი (9,5%), თითქმის 2-ჯერ გაიზარდა მცირე საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის წილი (10,3%). როგორც მონაცემებიდან ჩანს, დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდა ძირითადად მსხვილი საწარმოების წილად მოდის, თუმცა ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მცირე და საშუალო ბიზნესი კი მთლიანი შიგა პროდუქტის 20 %-ზე ნაკლებს შეადგენს (იხ. ცხრილი 3.1), რაც დაბალი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგალითად, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ეს მაჩვენებელი 60 %-ია, ხოლო მეზობელ სომხეთში – 42%.

სამეწარმეო სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია 2014 წელს 2004 წელთან შედარებით 5,5-ჯერ, ხოლო ბრუნვა 6,4-ჯერ გაიზარდა. სახელმწიფო სექტორის წილად მოდის წარმოებული პროდუქციის 6,3%, ხოლო დანარჩენი – 93,7%. დასაქმებულთა რაოდენობა 2014 წელს 2004 წელთან შედარებით 1,7 – ჯერ გაიზარდა (2004წ. – 322,8 ათასი, 2014 წ. – 534,9 ათასი კაცი). აქედან 62,9% დასაქმებულია მსხვილ, 16,7% – საშუალო, ხოლო 20,4% – მცირე საწარმოებში.

2014 წელს (20,4%) 2010 წელთან (13,8%) შედარებით მხოლოდ 6,6%-ით გაიზარდა მცირე საწარმოებში დასაქმებულთა წილი [68].

**მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან  
ბრუნვასა და გამოშვებაში (%)**

ცხრილი 3.1.

	2003	2008	2010	2011	2012	2013	2014
ბრუნვა	24	15,6	16,1	19,9	17,0	18,3	18,0
გამოშვება	20,6	17,3	18,4	19,8	19,0	19,2	19,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა: საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, ასევე კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა. ფინანსური დახმარების ძირითადი წილი მოდის საკრედიტო დაწესებულებებზე, საიდანაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სესხის აღების პირობები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება და ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, რასაც განაპირობებს ინოვაციური პროცესი, პროდუქტის ახალი სახეების შექმნა, რომელიც ხშირად მცირე საწარმოებში ხორციელდება.

მიუხედავად იმ უდიდესი მნიშვნელობისა, რომელიც მცირე მეწარმეობას ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისათვის

ენიჭება, საქართველოში სახელმწიფომ მეწარმეებს ჯერ-ჯერობით ვერ შეუქმნა ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. თუმცა უნდა აღინიშნოს, მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა მცირე მეწარმეობის სფეროში არსებული ურთიერთობები. კერძოდ, 1999 წლის 23 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა“ მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნა „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“. ამ ცენტრის არსებობა რეალურად ხელს ვერ შეუწყობდა მცირე მეწარმეობის განვითარებას იმდენად, რომ თვით ამ ცენტრის დაფინანსებისათვის ბიუჯეტში მიზერული თანხა იყო გამოყოფილი. 2000 წლის ოქტომბერში, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივით სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს განსახილველად წარედგინა „მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია“, სადაც ხაზგასმული იყო, რომ უნდა შექმნილიყო ხელსაყრელი გარემო მცირე სტრუქტურებისათვის. სამწუხაროდ, სამეწარმეო გარემოში ძირითადი უპირატესობა და განსხვავება მხოლოდ საგადასახადო რეჟიმში გამოიხატებოდა. ამ კონცეფციის მიხედვით, მცირე საწარმოს ექმნება ხელსაყრელი და საგრძნობლად განსხვავებული საგადასახადო პირობები. მცირე ბიზნესი უნდა იღებდეს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ დახმარებებს, შეღავათიან კრედიტებს, სუბსიდიებს, გარდა ამისა, მცირე მეწარმეს საშუალება უნდა ჰქონდეს ადვილად მიუწვდეს ხელი სხვადასხვა რესურსებზე. 2002 წელს მიღებული იქნა კანონი „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“, თუმ-

ცა ვერც ამ კანონმა შეასრულა არსებითი როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში. 2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომლითაც დადგინდა განმარტება მცირე ზომის საწარმოთათვის. კერძოდ, მცირე საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოა, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს, ხოლო წლიური ბრუნვა – 500 ათას ლარს. თუმცა აღნიშნულ განმარტებას არ მოყოლია რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე საწარმოების ხელშეწყობის მიზნით.

2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა დაიწყო. აღნიშნული რეფორმების შედეგად, აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშის (ოინგ უსინესს 2014) მიხედვით, საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად იქნა აღიარებული.

2005 წლიდან დაწყებული ხელისუფლებამ რადიკალურად გააუმჯობესა საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, ახალი სამეწარმეო კანონების შემოღებით კი გაამარტივა სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება. რეფორმები ძირითადად შეეხო საწარმოთა რეგისტრაციის გამარტივებას. აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეგულირების ზედმეტი ხარჯების შემცირებაზე. ბიზნესის დაწყებისათვის ხარჯები და რეგისტრაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 10-ჯერ შემცირდა მოთხოვნა მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე. ბიზნესის რეგისტრაციის დელეგირება სასამართლოები-

დან და ნოტარიუსიდან მოხდა საგადასახადო დეპარტამენტზე და შეიქმნა ვაჭრობის, გადასახადებისა და დასაქმების „ერთი სარკმლის“ პრინციპით რეგისტრაციის პირობები.

2005 წელს ამოქმედდა ლიცენზირების ახალი კანონი, რომელმაც 150 ლიცენზია და ნებართვა დატოვა, ნაცვლად ადრე არსებული 950-სა, რაც იყო ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებისაკენ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საგრძნობლად შემცირდა ლიცენზირების პროცედურა და მისი გაცემის ვადაც.

ამ და სხვა ინსტიტუციურმა რეფორმებმა შეზღუდა ბიზნესში ხელისუფლების ჩარევა, ბიუროკრატიზმი და კორუფცია. ამან შეამცირა ტრანზაქციული ხარჯები და საქართველო გახდა ბიზნესში ერთ-ერთი წარმატებული რეფორმატორი ქვეყანა. 2008 წლის „ბიზნესის კეთების“ მოხსენების თანახმად, საქართველომ 112 ადგილიდან მე-15 ადგილზე გადაინაცვლა. მეწარმეებს გაუმარტივდათ ბაზარზე შესვლის ინსტიტუციური პირობები. ყოველივე ამის შედეგად 2005-2008 წლებში მკვეთრად გაიზარდა მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა, რადგან გამარტივდა ბიზნესის დაწყება და შემცირდა დანახარჯები.

ბოლო პერიოდის ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმად ითვლება ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა და გაამარტივა გადასახადები. ამის შედეგად შემცირდა მეწარმეების ფისკალური ტვირთი. დღეს 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. დღე 20%-დან 18%-მდე შემცირდა. მოგების გადასახადი 2009 წლიდან 20%-დან 15%-მდე შემცირდა, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი

2009 წლიდან – 25%-დან 20%-მდე, ხოლო ქონების გადასახადი თვითშეფასებული ქონების 1%-ს შეადგენს.

გადასახადების შემცირება ხელს უწყობს როგორც ბიზნესის განვითარებას, ასევე ეკონომიკის ზრდას. გათვალისწინებულია საქართველოს ერთ-ერთი მაპროფიტიბელი დარგის – მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება ადგილობრივად წამოებულ ღვინოებზე აქციზის გაუქმებით.

ასევე წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2007 წელს ახალი საბაჟო კანონმდებლობის მიღება. ამან 16 სახის საბაჟო გადასახადი სამამდე შეამცირა. გაუქმდა ადრე არსებული საბაჟო განაკვეთები 1-დან 25%-მდე და შემოღებულ იქნა ახალი განაკვეთები 0,5 და 12%-ის ოდენობით. 2006 წელს ტარიფების შემცირების შედეგად საქართველოში ვაჭრობა სრულად გახდა ლიბერალიზებული არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (ზოგიერთი მცირე გამოწონაკლისის გარდა) და მნიშვნელოვნად – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. გაუქმდა საბაჟოზე არსებული ბიუროკრატია და ფიტოსანიტარული, სამედიცინო-სანიტარული და ვეტერინარული სამსახურები.

საექსპორტო პროცედურების შედარებით სიმარტივემ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობამ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო საქმიანობაში მონაწილეობის პირობები. ამის კარგი მაგალითია ღვინისა და თხილის წარმოება და მისი ევროკავშირის ბაზრებზე რეალიზაცია. ეს პროდუქტები ძირითადი საექსპორტი ნაწარმია, რომლის ნედლეულსაც დაახლოებით 20-მდე მცირე და საშუალო მეწარმე შეისყიდის ფერმერებისაგან, ევროკავშირთან პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი კი ხელს უწყობს მისი ღირებულების ზრდას. ამ პროდუქტების ძირითადი უპირა-

ტესობებია ევროკავშირის ბაზრებზე მათზე მოთხოვნის ზრდა, დაბალი ღირებულება და სხვ.

2012 წლიდან საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის საინვესტიციო ფონდი (შ ) „კავკასია“ დაფუძნდა. იგი საერთაშორისო ინსტიტუტებმა (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ნიდერლანდების განვითარების ბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი) დააარსეს. ეს არის კავკასიაში პირველი საინვესტიციო ფონდი, რომელიც სესხებს მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გასცემს. ფონდი ინვესტირებას სხვადასხვა სექტორში ახორციელებს, კერძოდ, აგრობიზნესში, სადისტრიბუციო ქსელში, ენერგოსექტორში და საცალო სექტორში. აღნიშნული ფონდის საქმიანობა ბანკის საქმიანობისაგან განსხვავებულია, რადგანაც ბანკი მხოლოდ სესხებს გასცემს, ხოლო ფონდი ორიენტირებულია კაპიტალდაბანდების გაზრდაზე. კაპიტალის ნაკლებობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ყველაზე რთული პრობლემაა. ფონდი მათ ამ მნიშვნელოვანი დაბრკოლების გადალახვაში დაეხმარება, ეს კი საწარმოების ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მთავარ ძალას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ფონდი მცირე და საშუალო ბიზნესში რადიკალურ ძვრებს ვერ განახორციელებს, მაგრამ უდავოდ მისასაღებელი ინიციატივაა. ფონდი ინვესტირებას არ განახორციელებს ისეთ საწარმოებში, რომელთა ბრუნვაც 15 მილიონ ლარზე ნაკლები იქნება ან 250-ზე ნაკლები პირი ეყოლება დასაქმებული. აქ მნიშვნელოვანია ასევე, რომ ფონდს შეუძლია კომპანიის კაპიტალში შევიდეს. თუ ფონდს რისკების შეფასების დაბალი კრიტერიუმები ექნე-

ბა, მაშინ შეუძლია დააფინანსოს ისეთი საწარმოები, რომელთაც ბანკი ვერ აფინანსებს.

მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის.

ბოლო წლებში საქართველოში მეწარმეების დიდი ნაწილი დაინტერესებულია კვალიფიკაციის ამაღლებით, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის, მოლაპარაკებათა წარმართვის, კონტრაქტების შედგენისა და დადების, საწარმოთა ეფექტიანობის შეფასების შესწავლით. ეს უნდა გაითვალისწინოს შესაბამისმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და ჩამოაყალიბონ მეწარმეთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრები.

2014 წელს სახელმწიფომ მეწარმეობის მხარდასაჭერი რამდენიმე ინიციატივა წამოიწყო, კერძოდ, „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ და სახელმწიფო ინიციატივა – „აწარმოე საქართველოში“ [71].

„მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დამწვეები ბიზნესის დაფინანსება და ასევე, მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ბიზნეს ინკუბატორების განვითარებას, სადაც მოხდება პოტენციური მეწარმეების უნა-



რების, მათ შორის, სამეწარმეო უნარების განვითარება, მათი საინვესტიციო რესურსების შესახებ გათვითცნობიერებულობის ამაღლება.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური დახმარების საშუალებით.

პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: ფინანსებზე ხელმისაწვდომობას; ინფრასტრუქტურაზე (უძრავი ქონება) ხელმისაწვდომობას; საკონსულტაციო მომსახურებას.

პროგრამის ფარგლებში კომპონენტები მეწარმე სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ერთდროულად, ისე ცალ-ცალკე. პროგრამის ფარგლებში მოხდება წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც შერჩეულია შემდეგი კრიტერიუმებით: იმპორტის მოცულობა და წარმოების ადგილობრივი პოტენციალი. ეს პროგრამა არის უნიკალური შანსი ყველა დამწყები ბიზნესმენისთვის, რათა მათ საკუთარი გეგმები განახორციელონ და ახალი საწარმოები ჩამოაყალიბონ, როგორც სასოფლო, ისე ინდუსტრიული მიმართულებით.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო 2014 წლის 1 ივნისიდან. ეს ინიციატივები ჯერჯერობით ახალია და შედეგებზე მსჯელობა ნაადრევია.

მეწარმეობის განვითარების პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მიზანს: რისკების შემცირება; საგადასახადო შედავათები; ახალი ფირმების ფინანსური დახ-

მარება; სამეწარმეო პოტენციალის ზრდა; კონკურენცია; ექსპორტის მხარდაჭერა და სხვ.

მსოფლიოში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორების ყურადღებას, უმთავრესად მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იპყრობს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სტაბილურობას, ღია და კონკურენტუნარიანი ბაზრების ჩამოყალიბებას. საერთო ეკონომიკური რეფორმების ფონზე პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყანაში ინვესტიციების ხელშეწყობა და ამისათვის საჭირო ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამ მხრივ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები: კერძოდ, საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპაში. მნიშვნელოვნად არის შემცირებული გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე (2004-2010), ასევე, საგადასახადო განაკვეთები.

დღევანდელი საგადასახადო სისტემის ძირითადი დანიშნულებაა სახელმწიფო უზრუნველყოს ფინანსური რესურსებით. საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 60-80% და ზოგ შემთხვევაში მეტიც ყოველწლიურად საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, ამიტომაც საგადასახადო პოლიტიკის სწორად განსაზღვრას და გადასახადების კარგ ადმინისტრირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო პროცესსა და ქვეყნის პოლიტიკაში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას საფუძველი 1991-1992 წლებში ჩაეყარა, როდესაც ქვეყანამ ჯერ მიიღო ბრუნვის და გაყიდვიდან გადასახადები, ხოლო შემდეგ დამატებული ღირებულების გადასახადი (დღვ) და აქციზი. აღნიშნული პერიოდის შემდეგ, საქარ-

თველოს საგადასახადო კანონმდებლობამ და სისტემამ არსებითი ცვლილება რამდენჯერმე განიცადა. კერძოდ, 1991-1997 წლები ხასიათდება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით. გადასახადები მინისტრთა კაბინეტის ცალკეული დადგენილებებით იყო დაწესებული, არ არსებობდა ერთიანი და მოწესრიგებული საგადასახადო კანონმდებლობა და დაბალი იყო საგადასახადო კულტურა. გადასახადების ამოღება რიგ შემთხვევებში ხდებოდა არა ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით.

1998-2004 წლები არის საქართველოს პირველი საგადასახადო კოდექსის მოქმედების პერიოდი. კოდექსით განისაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა და სხვა. აღნიშნული პერიოდის დასაწყისში არსებობდა 18 გადასახადი, ხოლო მოგვიანებით მათ რიცხვს კიდევ 3 გადასახადი დაემატა.

2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსი ახალმა საგადასახადო კოდექსმა შეცვალა. ადრე არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 7, 2007-2008 წლებში ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ 6 გადასახადი, შემცირდა ზოგიერთი გადასახადის განაკვეთები და დაბეგვრის ობიექტები, ასევე სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის თანხების განაწილების მექანიზმები და ოდენობები.

ახალი საგადასახადო კოდექსი (ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან) 2005 წლიდან ამ სფეროში მოქმედ წესებს ცვლის. უცვლელი დარჩა საერთო და ადგილობრივი გადასახადების ექვსივე სახე და განაკვეთები. ერთა-

დერთი გამონაკლისია აქციზური გადასახადი, რომელთა გაორმაგებული ოდენობაც გარკვეულ სასაქონლო კატეგორიებზე, მათ შორის ალკოჰოლურ სასმელებსა და ჯართზე, უკვე ამოქმედდა 2011 წლის 1 აგვისტოდან.

ახალი საგადასახადო კოდექსით, დამატებული ღირებულების 18%-იანი გადასახადის (დღგ) სავალდებულო გადამხდელები არიან 100 000 და მეტი ლარის ბრუნვის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები.

ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებისთანავე გაუქმდა საბაჟო კოდექსი. იმპორტის გადასახადი სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებზე 12 და 5 %-ს შეადგენს. 2006 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედებდა იმპორტის ცალკეულ ჯგუფებზე 0%-იანი დაბეგვრის რეჟიმი, რაც ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღარ არსებობს. იმპორტის გადასახადის გადახდა, იმპორტიორებს არა უშუალოდ საბაჟოზე, არამედ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისას მოუწევთ. არსებული ყოველთვიური გადახდის წესის ნაცვლად, გადასახადების დეკლარირება კვარტალურად მოხდება.

ახალი კოდექსით სიახლეა მიკრო ბიზნესის სტატუსის შემოღებაც. ასეთად შეიძლება დარეგისტრირდეს 2011 წლის 15 თებერვლამდე 30 ათას ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას. თუმცა 30 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე ყველა ფიზიკური პირი ვერ მიიღებს მიკრო ბიზნესის სტატუსს, რადგან კოდექსის თანახმად, გამონაკლის საქმიანობის სახეებს მთავრობა პარლამენტთან ერთად განსაზღვრავს. მას, ასევე, ექნება უფლება აკრძალოს ამ სტატუსის ქვეშ ცალკეული საქმიანობების განხორციელებაც. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ასე-

ვე არა აქვთ საკონტროლო საღარო აპარატის გამოყენების ვალდებულება.

აღსანიშნავია ის, რომ ახალი კოდექსით საკონტროლო-საღარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევისათვის ჯარიმების ოდენობა 400-დან 15 000 ლარამდე მერყეობს. ამასთან, 2011 წლის ივლისიდან საღარო აპარატების გამოყენება სავალდებულო ხდება ბაზრობების მოვაჭრეებისთვისაც.

დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში მოექცნენ ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები. ასეთად ითვლება ის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესის შემოსავალი 3%-დან 5%-მდე დაიბეგრება. შემოსავლის 3%-იანი დაბეგვრით სარგებლობს ის მცირე ბიზნესი, რომელიც შეძლებს წარმოადგინოს მთლიანი შემოსავლის 60%-ის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯებისა) დამადასტურებელი დოკუმენტები. 30%-იანი დაბეგვრით ასევე სარგებლობენ მცირე ბიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობენ. მაგალითად, ბაზრობა.

ახალი საგადასახადო კოდექსით გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადების ან/და სანქციების შემცირების მიზნით შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება გადასახადების გადამხდელის მიერ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის ფარგლებში, მათ შორის, დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების ფარგლებში გადასახადის გადამხდელის მიერ მითითებულ საგადასახადო პერიოდზე/პერიოდებზე და გადასახადების/სანქციების სახეებზე მითითებით.

2011 წლიდან საქართველოში მოქმედებს საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი. მისი მეშვეობით ხორციელდება ურთიერთობა მეწარმეებსა და სახელმწიფოს შორის. საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო ომბუდსმენი მიმართავს შესაბამის ორგანოს და აძლევს რეკომენდაციას ამ უფლებების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ მას გაუჭირდება იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელსაც ახალი კოდექსი წარმოშობს. კერძოდ, მიკრობიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებული უსამართლობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიკრობიზნესად დარეგისტრირებული პიროვნება გადასახადებისგან თავისუფლდება, ხოლო მასზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქე, რომელიც წვრილ ან მსხვილ კომპანიაში მუშაობს 20%-იან საშემოსავლო გადასახადს იხდის. ერთი და იმავე შემოსავლის ოდენობა ერთნაირად უნდა იბეგრებოდეს.

აღნიშნული კოდექსის პროექტს ბიზნესმენებმა პირველი მოსმენით „რევოლუციური“ უწოდეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიკრო და მცირე მეწარმეებისათვის გაწეული შეღავათებით ბიუჯეტს რაც დააკლდება, მსხვილმა ბიზნესმა გაზრდილი გადასახადებით უნდა აანაზღაუროს. ასეთებად ის ბიზნესები ითვლება, რომლებიც „ზემოგებაზე“ მუშაობენ. კერძოდ, მობილური კომპანიები, სპირტიანი სასმელების ბიზნესი, სამედიცინო აპარატურის იმპორტიორები და ასევე უმაღლესი სასწავლებლები. თუმცა

ბოლო ორი ამ ეტაპზე დღგ-თი არ დაიბეგრება. გაიზარდა აქციზის გადასახადი როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე, ისე შავი და ფერადი ლითონების ჯართზე. აქციზის გადასახადის გაორმაგება განსაკუთრებით სპირტიანი სასმელების ადგილობრივ მეწარმეთა მდგომარეობას გააუარესებს, რადგან აღნიშნული პროდუქციის იმპორტიორებს საბაჟო გადასახადს უმცირებენ. მეწარმეთა აზრით, აქციზის ზრდის გამო მათ დღგ-ს სახითაც მეტი თანხის გადახდა მოუწევთ, ამიტომ პროდუქციის თვითღირებულება თითქმის სამჯერ გაეზრდებათ. შესაბამისად, 50-70%-ით გაიზრდება სპირტიანი სასმელების საცალო ფასიც.

აქციზით 2011 წლის 1 აგვისტოდან დაიბეგრება, ასევე, კავშირგაბმულობის სატელეფონო ხმოვანი მომსახურება. მობილური კომუნიკაციების სფეროში დაწესდა 10%-იანი გადასახადი. საქართველო ერთადერთი ქვეყანა იქნება, სადაც მობილურით საუბარი აქციზით დაიბეგრება.

იზრდება ჯარიმა პროდუქციის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციის შემთხვევებზე. დანაკლისის გამოვლენისას დარიცხული ჯარიმა ამჟამად არსებული პროდუქტის საბაზრო ფასის 100%-იდან 110%-მდე გაიზრდება.

ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს პატიოსანი გადამხდელის წახალისების რიგ მექანიზმებს; საგადასახადო ლოიალური გახდება კარგი გადამხდელის მიმართ. მას უნებლიე შეცდომას აპატიებენ და აღარ დააჯარიმებენ. ასევე, ფინანსთა სამინისტროს დაგების განხილვის საბჭო, კანონის ორაზროვანი დებულების შემთხვევაში, უფლებამოსილია გადაწყვეტილება გადამხდელის სასარგებლოდ გამოიტანოს.

ახალი კოდექსით საგადასახადო ტვირთი საშუალო ბიზნესსაც ეზრდება. საშუალო ბიზნესი, რომლის წლიური ბრუნვა 200 ათას ლარზე მეტია, საქონლის მცირე მეწარმისაგან შესყიდვის დროს დღგ-ს ვეღარ ჩაითვლის.

მას ხარჯი გაეზრდება და 18-ის ნაცვლად დღგ-ს განაკვეთი, ფაქტობრივად, 36%-მდე გაეზრდება. ამით მცირე ბიზნესს მოესპობა მოტივაცია, გაიზარდოს და საშუალო ბიზნესად იქცეს.

2012 წლიდან მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსს დაემატა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის ცნება. ეს შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას. თუმცა რომელია ეს სახეები, ამას მთავრობა განსაზღვრავს. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები შეიძლება დასაბეგრ ობიექტზე განისაზღვროს 1-დან 2000 ლარამდე ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%-ით. ამ განაკვეთსაც საქმიანობის მიხედვით, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. პირს უფლება აქვს, ფიქსირებული გადასახადის დაბეგრის რეჟიმზე წლის ნებისმიერ თვეს გადავიდეს. მთავრობა ფიქრობს, რომ აღნიშნული გადასახადით დასხვა შეღავათებით 5%-იანი ეკონომიკური ზრდა მიიღწევა. გარდა ამ ცვლილებებისა „რეგოლაციურ კოდექსში“ კიდევ უამრავი ცვლილება განხორციელდა, ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობა მეწარმესა და ხელისუფლებას შორის მეტად ცვალებადია, ეკონომიკა პოლიტიზირებული გახდა.

თუ რა გავლენას ახდენს ახალი საგადასახადო პოლიტიკა მეწარმეობის განვითარებაზე გამოკითხულმა მეწარმეებმა შემდეგი პასუხი გასცეს.



საქართველოში მეწარმეობის განვითარების შემაფერ-  
სებელ ფაქტორებად მიიჩნევა:

- მმართველი და მაკონტროლებელი ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევა;
- ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა;
- მაღალი საგადასახადო განაკვეთები;
- ფალსიფიცირებული ან უხარისხო პროდუქციისა-  
გან ბაზრის დაუცველობა;
- კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში;
- საკრედიტო რესურსების ძნელად მისაწვდომობა;
- ქვეყნის არასტაბილურობა;
- მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
- ადგილობრივ ბაზარზე საჭირო საწარმოო ნედ-  
ლეულის არ არსებობა.

მეწარმეთა დიდი ნაწილის აზრით, რეფორმირე-  
ბულმა საგადასახადო სისტემამ მდგომარეობა არსებითად  
ვერ შეცვალა. ხელისშემშლელი ფაქტორებიდან მეწარმე-  
ბი პირველ რიგში ასახელებენ ხელისუფლების მხრიდან  
ბიზნესის ინტერესების დაუცველობას, ქვეყნის არასტაბი-  
ლურობას, მმართველი და მაკონტროლებელი ორგანო-  
ების მხრიდან ბიზნესში ზედმეტად ჩარევას, გადასახადე-  
ბის სიდიდეს და სხვ.

საგადასახადო სისტემის არსებით ნაკლოვანებად  
მეწარმეები თვლიან მის არასტაბილურობას და არარეგუ-  
ლირებადობას. კანონში ხშირად ხდება შესწორებები ფი-  
ნანსური წლის განმავლობაში. ერთ-ერთი გამოკითხული  
მეწარმის აზრით „ბოლო წლებში აშკარად ჩანს უკეთე-  
სობისკენ სვლა, მაგრამ იმდენად სწრაფად ცდილობენ  
საგადასახადო სისტემის დახვეწას, რომ რიგ შემთხვევებ-

ში ბევრი შეცდომა იპარება და წინ გვხვდება დიდი პრობლემის სახით“.

ბოლო პერიოდში საქართველოში უამრავი მაღაზია და მცირე საწარმო დაიხურა. მათი მფლობელების თქმით, მიზეზი აუტანელი საგადასახადო წნეხია, რომელსაც მხოლოდ ერთეულები უძლებენ.

გაუქმდა კანონი „მცირე მეწარმეთა მხარდაჭერის შესახებ“, რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მის განვითარებას. ქვეყანაში არ არსებობს მცირე მეწარმეთა დამცველი საკანონმდებლო აქტი, სახელმწიფო სტრუქტურა თუ რგოლი, რომელიც ფიქრობს მცირე მეწარმეთა პრობლემებზე.

მიკრომეწარმე, რომლის წლიური ბრუნვა 30 ათას ლარამდეა, არ იბეგრება, მაგრამ ის არ უნდა იყენებდეს დაქირავებულ შრომას, რაც აბსურდია. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წახალისებულია ის ბიზნესი, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებს და სამუშაო ადგილებს ქმნის, აქ კი ხელს უწყობენ ისეთ ბიზნესს, რომელიც სამუშაო ადგილებს არ ქმნის. ეს მიკრომეწარმეები ფაქტიურად თვითდასაქმებულები არიან, რომლებსაც არც ერთ ქვეყანაში არ ბეგრავენ. თუკი ადამიანი თვითონ ქმნის სამუშაო ადგილს და ამით ოჯახს არჩენს, ეს სახელმწიფოსთვის დიდი შევებაა.

მცირე მეწარმე, რომელსაც 100 ათას ლარიანი ბრუნვა აქვს 3-დან 5 %-მდე უნდა გადაიხადოს. ვერც ერთი მოვაჭრე ან მეწარმე ამხელა პროცენტს ვერ გადაიხდის. 1999 წელს მიღებული კანონით, მცირე მეწარმეებისათვის წლიური ბრუნვის ზღვარი 500 ათასი ლარი იყო, ახალი კოდექსით ის 100 ათასამდე დაიყვანეს.

ევროსაბჭოს რეკომენდაციით, მცირე მეწარმის წლიური ბრუნვა უნდა იყოს 10 მლნ ევრომდე, ჩვენთან კი ზღვარი 100 ათას ლარამდე ჩამოიყვანეს.

მეწარმეების აზრით, ფიქსირებულ გადასახადთან ერთად, რომელიც 2012 წლიდან მოქმედებს, კარგი იქნება საგადასახადო ლიცენზიების შემოღება. მეწარმე ყიდულობს საგადასახადო ლიცენზიას ერთი ან რამდენიმე თვის განმავლობაში და თავისუფლდება ყველა გადასახადისგან. როდესაც გადასახადი ხელმისაწვდომი იქნება, ყველა გადაიხდის და სახელმწიფოსაც უზარმაზარი შემოსავალი გაუჩნდება. აღნიშნული სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს უკრაინაში.

როგორც ჩანს, მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებისა, მოქმედ საგადასახადო სისტემაში ბევრი პრობლემატური საკითხია, რაც ხელს უშლის და ხშირ შემთხვევაში აფერხებს კიდევ მეწარმეობის განვითარებას.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნების წარმოდგენის საშუალებას:

კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში გატარებული რეფორმები საკმარისი არ არის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის.

მთავარ პრობლემებად მიიჩნევა:

- პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტური ზონების არსებობა;
- ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა;
- საგადასახადო სისტემის არასტაბილურობა და არარეგულირებადობა;
- საკრედიტო რესურსების ძნელად მისაწვდომობა;

- ინფლაცია;
- მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
- მაღალი საგადასახადო განაკვეთები;
- ბუნდოვანება საგადასახადო კოდექსში;
- საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიების ნაკლებობა.

ჩატარებული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე შევიძინეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის სისტემის შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა;
- ✓ მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა (საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, განაკვეთების ოპტიმალური ღონე);
- ✓ ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა (საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.);
- ✓ ინვესტორებისთვის სტაბილური სამართლებრივი გარემოს არსებობა, რაც შეუქმნის მათი საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს;
- ✓ მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და მისი რეალიზაცია.

## ნაწილი II. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მისი განხორციელების შესაძლებლობები მოკლევადიან პერიოდში

### 4. გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა

XXI საუკუნეში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს გარემოს დაცვის პრობლემა წარმოადგენს. უკვე დიდი ხანია მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გარემოს დაცვის პრობლემის გადაჭრას კაცობრიობის გადარჩენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. გარემოს დაცვასთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა არსებობს, მათ შორის მნიშვნელოვანია: ტყეების გაჩეხვა, კლიმატის ცვლილება, რადიაქტიური ნარჩენები, ნაგავსაყრელები, ხმაური და სხვ. XX საუკუნეში არსებული მიდგომა – დავიმორჩილოთ ბუნება და ჩავაყენოთ იგი საზოგადოების სამსახურში – წარსულს ჩაბარდა. ნაცვლად ამისა უნდა შევიცნოთ და შევეწყოთ ბუნებას [4, გვ.119].

დიდი ხნის მანძილზე ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწის გარდა, თავისუფალ საქონელს წარმოადგენდა [32, გვ.325]. მათი ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოების პროცესში გამოყენება ყოველგვარი ხარჯების გარეშე შესაძლებლად მიიჩნეოდა. გარემოს მზარდმა დაბინძურებამ, რომელიც სცილდება ეროვნულ ფარგლებს, გაამძაფრა იმის გაგება, რომ ბუნებრივი რესურსები ამოწურვადია. სიცოცხლისთვის აუცილებელი ბუნებრივი გარემოს დამზოგველ მოპყრობას დღეისათვის უამრავი სამეცნიერო კვლევა თუ პოლიტიკური პროგრამა ეძღვნება. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა არა

მხოლოდ ერთი თაობის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც აუცილებელია.

გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი ითვალისწინებს გარემოს დაცვასა და მისი ინტენსიური გამოყენების შემცირებას, გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტებით ცდილობენ როგორც დასახული მიზნის მიღწევას, ასევე მასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობების გამოვლენას. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების ეფექტიანი განხორციელება მხოლოდ წესრიგის სამართლებრივი და საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენებით არის შესაძლებელი.

ბუნებრივი გარემოს რესურსებს საზოგადოებრივი პროდუქტის ხასიათი აქვთ, რის გამოც ეკონომიკაში მარტო დეცენტრალიზებული ბაზრის არსებობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ გადავჭრით.

გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანთა განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ამ პროცესების რეგულირების ფუნქცია შეასრულოს.

ბოლო წლების განმავლობაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში გატარებულმა დაუგეგმავმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა, დიდი ზიანი მოუტანა როგორც გარემოს, ისე საქართველოს მოსახლეობას. წლების განმავლობაში არ განისაზღვრებოდა ქვეყნის პოლიტიკა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში; პრაქტიკულად მოისპო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მექანიზმები; ბუნებრივი რესურსების მართვა კი, გაიგივებული იყო ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებასთან და ეს ფუნქცია ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს გადაეცემოდა. შედეგად, საბოლოოდ დაირღვა წონასწორობა ბუნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რე-

სურსების მოხმარებას შორის. კანონმდებლობა სულ უფრო მეტად დაშორდა საყოველთაოდ აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს, ასევე, ევროკავშირის კანონმდებლობას.

გარემოს დაცვის რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია:

- წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ნარჩენების კანონმდებლობის გადამუშავება/შემუშავება და გარემოსდაცვითი მართვის არსებული ინსტრუმენტების გაძლიერება და ახლის (მათ შორის, ეკონომიკური ინსტრუმენტების) დანერგვა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადამუშავება/სრულყოფა: რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან (ორჰუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია), ასევე ევროკავშირის 85/337/ ჩ დირექტივასთან;
- საქართველოს ტყეების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აქცენტი გაკეთდეს მდგრად მეტყვეობაზე, ტყეების დაცვა-აღდგენასა და არამერქნული პოტენციალის გამოყენებაზე;
- ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებისთვის. ეს მოიცავს როგორც არსებული დაცული ტერიტორიების შესაძლებლობების გაძლიერებას, მოდერ-

ნიზება-გაფართოებას, აგრეთვე ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ რეგიონებში, როგორცაა: ზემო და ქვემო სვანეთი, სამეგრელოს მთიანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავესურეთი.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული და გლობალური ფასეულობის შენარჩუნების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ამ თავეში განვიხილავთ საქართველოში ცნობილი ბუნებრივი რესურსის მტკნარი და მინერალური წყლების სამომხმარებლო ბაზარს და მისი განვითარების ეკონომიკურ პოლიტიკას.

საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს (მტკნარი, მინერალური და თერმული), რომლებიც ხასიათდება დიდი რესურსებით, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და, მყარი წიაღისეულისგან განსხვავებით, დროში განახლებადობით [74]. მტკნარი მიწისქვეშა წყლები წარმოადგენს ყველაზე ძვირფას წიაღისეულს და სასმელად ვარგისი, უმაღლესი ხარისხის წყლების, ყველაზე საიმედოდ დაცულ წყაროს. იგი წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის უპირველეს მოთხოვნილებას ჰაერის შემდეგ და, სწორედ, ამიტომაც ითვლება უნიკალურ წიაღისეულად, რომელთა რაოდენობის მხრივ საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ წყლებისა ხასიათდება მარილების ძალზე დაბალი შემცველობით (200-300 მილიგრამამდე ლიტრზე). ასეთი



წყლები, გარდა სასმელად და ჩამოსასხმელად ვარგისიანობისა, მათი სიხისტიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა უალკოჰოლო, თუ ალკოჰოლიანი სასმელების ჩამოსასხმელად.

საქართველოში არსებული აღნიშნული ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა 2,5-ჯერ მეტია ქვეყნის შორეულ პერსპექტიულ მოთხოვნილებაზე, ე.ი. ჭარბი რესურსი შეადგენს 150 მ<sup>3</sup>/წმ. [74.]

არსებული მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე მინერალური წყლების გამოსავლების საერთო რაოდენობა 2 ათასს აჭარბებს. დღეისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე შესწავლილია მინერალური წყლების ორმოცზე მეტი საბადო [74]. სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის გამოსაყენებელი მინერალური წყლებიდან უნდა გამოიყოს ჯგუფი დაბადმინერალიზებული (1,0-2,5 გ/ლ) ე.წ. სუფრის წყლებისა. ამ ტიპის წყლებზე მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილება ძალზე დიდია.

თერმული წყალი არის დედამიწის სიღრმული სითბოს ამომტანი ზედაპირზე. გეოთერმული სითბო, რომელიც განახლებადი ენერჯის ერთ-ერთი უმრეტი წყაროა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა სითბური ენერჯის გამოყენების თვალსაზრისით.

გეოთერმული წყლების მოხმარების სპექტრი საკმაოდ ფართოა. მას იყენებენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ მეურნეობასა და ბალნეოლოგიაში. საქართველოს ტერიტორიაზე თერმული წყლები არათანაბრად არის განაწილებული. გამოვლენილი გეოთერმული რესურსების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია საქართველოს მთათუშეთში (რიონისა და მტკვრის დებრესია), გამოსავლების სიხშირით მეორე ადგილზეა აჭარა-

თრიალეთი, ხოლო კავკასიონის სამხრეთ ფერდზე დაფიქსირებულია თერმული წყლების ერთეული გამოსავლები. ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია წყლის 250-მდე ბუნებრივი (წყაროები) და ხელოვნური (ჭაბურღილები) ცალკეული და ჯგუფური გამოსავლები.

მინერალური წყლების წარმოება რიგ უპირატესობათა გამო უპირველეს პოზიციას იკავებს საქართველოს ეკონომიკაში. ეს უპირატესობებია: ნედლეულის ბუნებრიობა, სიუხვე, სიაფე, სტაბილურობა, განახლებადობა, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და, რაც მთავარია დაბანდებული კაპიტალის უკუგების მოკლე პერიოდი. ამ მხრივ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ საქართველო მდებარეობს იმ ქვეყნების შუაგულში, რომლებიც სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდიან.

აღსანიშნავია, რომ წყალზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. საქართველო კი როგორც აღვნიშნეთ, უმდიდრესი ქვეყანაა სასმელი წყლის რესურსებით. ამ მხრივ იგი 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპის და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე. ამასთანავე, საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელ წყალს წარმოადგენს.

მინერალური წყლების საბადოთა რაოდენობა საქართველოში 2-ჯერ აღემატება მსოფლიოში ცნობილ საფრანგეთისა და გერმანიის ქვეყნებში ერთად არსებულ მინერალურ წყალთა გამოსვლის რაოდენობას, ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ მინერალურ წყალს, როგორც არის „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „საირმე“, „ლუგელა“, „უწერა“ და სხვ., ისინი თავიანთი იონური შემადგენლო-

ბით და სამკურნალო თვისებებით წარმოადგენენ მსოფლიოში უნიკალურს.

ქართულ მინერალურ წყალზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოთხოვნა ყოველთვის მაღალი იყო.

1990 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად ჩამოისხმებოდა 18 სახის მინერალური წყალი 520-530 მლნ ნახევარი ლიტრი ბოთლის მოცულობით. შემდგომ პერიოდში აღინიშნებოდა წარმოების მკვეთრი დაცემა და 1995 წლისათვის 9,4 მლნ ბოთლამდე შემცირდა. შემცირდა გამომშვებელი პროდუქციის ასორტიმენტიც. 1995 წელს პრაქტიკულად მხოლოდ ერთი სახეობის მინერალური წყალი, კერძოდ, „ბორჯომი“ ჩამოისხმებოდა [68].

წარმოების დაცემა განპირობებული იყო რიგი მიზეზებით: ენერგომატარებლების დეფიციტით, ეკონომიკური კავშირებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების მოშლით, მწვავე კრიმინოგენული სიტუაციით, პრივატიზაციის პროცესის არასწორი განხორციელებით.

საქართველოს მინერალური წყლების წარმოების აღმასვლა იწყება 1996 წლიდან. 2002 წელს ჩამოისხა 134,5 მლნ პირობითი ბოთლი წყალი, რაც 16,7-ჯერ აღემატება 1995 წლის მაჩვენებელს. 2002 წელს საქართველოს კვების პროდუქტების საექსპორტო ბაზანსში მინერალურმა წყალმა 15,2% შეადგინა. თუმცა 2006 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა და ექსპორტის სტატისტიკამ კლება დაიწყო. რუსულმა ემბარგომ, ერთის მხრივ, ქართული მინერალური წყლის მწარმოებელ კომპანიებს ბევრი პრობლემა შეუქმნა, თუმცა, მეორეს მხრივ, მათ ახალ საექსპორტო ბაზრებზე მუშაობის მოტივაცია გაუჩინა.

მინერალური წყლების წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში სახელმწიფო რეგულირების განსახორციე-

ლებლად მიღებულ იქნა ორი კანონი („წიადის შესახებ“ 1996წ.[36]. და „წყლის შესახებ“-1997წ.[38]), რომლებიც მთლიანად მოიცავენ და არეგულირებენ წყლის მოპოვებიდან და მოვლა-პატრონობიდან დაწყებული, გადამუშავებით დამთავრებული მთელ ტექნოლოგიურ ციკლს. ორივე კანონი მიახლოებულია საერთაშორისო სტანდარტებთან. შემუშავებულია მინერალური წყლების წარმოების განვითარების კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც ადრე ათვისებული მინერალური წყლების სრული დებეტის საწარმოო ათვისება, ისე დაბალმინერალიზებული სასმელი წყლების ახალი სახეობების წარმოებაში დანერგვა.

საქართველოს კანონის „წყლის შესახებ“ (11.11.97წ.) მიხედვით საქართველოში წარმოებული (ჩამოსხმული) წყლის პროდუქცია მისი წარმოშობის, ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლებისა და დამუშავების ხარისხის მიხედვით კლასიფიცირებულია 4 კატეგორიად: ნატურალური მინერალური წყალი, სამკურნალო მინერალური წყალი, წყაროს წყალი და სუფრის წყალი.

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით (საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში დახმარებები და ა.შ.). ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.


2012-2014 წლებში საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა 24 პროცენტით, მათ შორის, 2012 წელთან შედარებით

რებით, ექსპორტი ევროკავშირთან 70-პროცენტით, ხოლო რუსეთთან – 534-პროცენტით. 2 წლის განმავლობაში, ბოსტნეულის ექსპორტი გაზრდილია 53%-ით, ხილი – 91%-ით, მინერალური წყლები – 159%-ით, ღვინო – 221%-ით; ხოლო ციტრუსი – 1040%-ით.

2013-2014 წლებში მინერალური წყლების ექსპორტი 56%-ით გაიზარდა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან უცხოეთის ბაზრებზე თითქმის 114 მლნ აშშ დოლარის ოდენობის მინერალური წყალი გავიდა. 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში კი უცხოეთის ბაზრებზე 73 მლნ აშშ დოლარის ქართული მინერალური წყლებია ექსპორტირებული. საქსპორტო პროდუქციაში მინერალურ წყლებს მეხუთე პოზიცია უკავია, მისი წილი მთლიან ექსპორტში 2013 წლის 3.7 %-დან 2014 წელს 4.8 %-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 4.1.) [68].

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები  
2014 წელს(%)

დიაგრამა 4.1.



მტკნარი და მინერალური წყლების ექსპორტი საქართველოდან 2012-2014 წლებში ნაჩვენებია ცხრილში № 4.1.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2014 წელს 2012 წელთან შედარებით მინერალური წყლების ექსპორტი 1,66-ჯერ გაიზარდა, ხოლო მტკნარი წყლების 1,68-ჯერ.

ქართული მინერალური წყლებიდან ყველაზე ცნობილი ბრენდი „ბორჯომია“. იგი არის ვულკანური წარმოშობის, ბუნებრივი ნახშირორჟანგით გაჯერებული წყალი, რომელიც ადამიანს ეხმარება ქრონიკულ და მეტაბოლიზმთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში, აქვს სამკურნალო თვისებები.

2006 წლისთვის კომპანია „ბორჯომი“ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ 235 მილიონი ბოთლის რეალიზაციას გეგმავდა. რუსეთი იყო ის ქვეყანა, სადაც ექსპორ-

ტის 65% მიდიოდა და წარმატებითაც იყიდებოდა. რუსეთის ფედერაცია გაყიდვების მიხედვით კომპანია „ბორჯომის“ პროდუქციისთვის პირველი ბაზარი იყო, შემდეგ მოდიოდა უკრაინა და საქართველო. 2006 წლის 6 მაისს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ქართული მინერალური წყლებისა და ღვინოების გაყიდვა აიკრძალა. მიუხედავად ამისა, 2006 წელს ქ. მოსკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „ჩქ თ ჩ 2006“ ექსპერტებმა ერთხმად აღიარეს „ბორჯომის“ უნიკალური თვისებები. ქართულმა მინერალურმა წყალმა კიდევ ერთი ოქროს მედალი და დიპლომი დაიმსახურა.

**მტკნარი და მინერალური წყლების ექსპორტი  
საქართველოდან (ათასი)**

**ცხრილი 4.1.**

დასახელება	2012	2013	2014
<b>სულ</b>			
ლიტრი	59340,8	106883,8	137123,6
აშშ დოლარი	88589,1	127760,7	147313,2
მათ შორის:			
<b>მინერალური წყლები</b>			
ლიტრი	59213,1	106768,8	136777,6
აშშ დოლარი	88200,3	127400,4	146658,1
<b>მტკნარი წყლები</b>			
ლიტრი	127,7	114,9	346,0
აშშ დოლარი	388,8	360,3	655,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

რუსეთის ემბარგოს შემდეგ „ბორჯომის“ მწარმოებელმა კომპანიამ მაქსიმუმი გააკეთა იმისათვის, რათა

ბაზრების დივერსიფიცირება მოეხდინა. ამ წლების განმავლობაში ჩატარდა უამრავი სამუშაო. განსაკუთრებულად ხაზგასასმელია „ბორჯომის“ სრული რებრენდინგი. ბრენდი განახლებული სახით წარსდგა მომხმარებლის წინაშე, დაიგემა აგრესიული მარკეტინგული კამპანიები სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებში. სწორედ ამ ქმედებებმა გამოიღო ის შედეგი, რომ „ბორჯომზე“ მოთხოვნა წლიდან წლამდე მზარდია. სწორი პოლიტიკის შედეგია ის, რომ ქართული მინერალური წყალი „ბორჯომი“ დღეს პირველ ადგილზეა გაყიდვების მიხედვით პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. თანაც, 2013 წლის ბოლოს რუსეთის ბაზარიც გაიხსნა და ბრენდმა სწრაფად აითვისა თავიდან ცენტრალური ქალაქები, შემდეგ კი რეგიონებიც. ექსპორტის პროცენტი ყოველწლიურად იზრდება იმ მარკეტინგული აქტივობების შედეგად რასაც კომპანია ახორციელებს სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორცაა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები, თუმცა, აღნიშნული მინერალური წყლის ბიზნესი სხვა ქვეყნებშიც სტაბილურად ვითარდება.

დღეისათვის „ბორჯომი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი. ამ ქვეყნებს შორის არიან დსთ-ს სივრცეში შემავალი ქვეყნები, ასევე ბელგია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, იაპონია, ჩინეთი, შვეიცარია, ლუქსემბურგი და ა.შ. თუმცა ამ ქვეყნებიდან კომპანია „ბორჯომის“ პროდუქციის ექსპორტი ყველაზე დიდი რაოდენობით მაინც დსთ-ს სივრცეში ხორციელდება. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში იმპორტირებული მინერალური წყლის სეგმენტზე „ბორჯომი“ ნომერ პირველი უცხოური ბრენდია გაყიდვების მიხედვით.

კომერციული ვებგვერდის თოპ-10-ლისტ.ორგ-მონაცემებით, „ბორჯომი“ მსოფლიოს საუკეთესო და სასარგებ-



ლო მინერალური წყლების ტოპ ათეულში მესამე პოზიციასზე მოხვდა – აღნიშნული ვებ-გვერდი რეიტინგებს უშუალოდ მომხმარებლისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს. მინერალური წყლების მსოფლიო ტოპ ათეულში „ბორჯომთან“ ერთად წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები: ვიან, ერრიერ, შან ელლეგრინო, აყა, Vოლნიც ჭატერ, გნა ასიფიც, ონტცლარ ჭატერ, ონა ევბ შეა ინერალ ჭატერ, ინ ედი ინერალ ჭატერ [64].

ქართული მინერალური წყლის ბაზარზე ასევე საკმაოდ მძლავრად არის წარმოდგენილი „ნაბელდავი“. იგი არის ბუნებრივი ნახშირორჟანგით გამდიდრებული, ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი სუფრის წყალი. მას აქვს უნიკალური სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები; ამასთან, მისი მოხმარება შეიძლება შეუხლუდავი რაოდენობით, ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის. „ნაბელდავის“ სისტემატური მოხმარება ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას მავნე ნივთიერებებისაგან და მის გამდიდრებას აუცილებელი მინერალებით.

ადგილობრივ ბაზარზე წარმატების გარდა, „ნაბელდავი“ მოწონება საზღვრებს გარეთაც დაიმსახურა და დღეისათვის იგი მსოფლიოს 18 ქვეყანაში გააქვთ, მათ შორის: ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში, ასევე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრ. ამერიკაშიც. (აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია ესტონეთი, ბელორუსია, თურქეთი, თურქმენეთი, ისრაელი, კვიპროსი, მოლდავეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ყაზახეთი).

ცნობილ ბრენდებთან ერთად („ბორჯომი“, „ნაბელდავი“, „საირმე“, „ლეუგელა“) ქართული მინერალური წყლის ბაზარს კიდევ ერთი მინერალური წყალი – „ფლა-

ტე“ შეემატა, რომელიც 2015 წლიდან ექსპორტზე გავა. „ფლატეს“ საქართველოში კარგად იცნობენ, ექსპორტზე კი ის ჯერ არ გასულა. ყველაზე დიდი მოთხოვნა „ფლატეზე“ რუსეთში, ყაზახეთში და ბელორუსშია. „ფლატე“ 30-40 წლის წინ გადიოდა შუა აზიაში და ყველაზე მოთხოვნადი, ძვირადღირებული წყალი იყო. მისი შემცველობა დღესაც არ შეცვლილა, ხარისხი – საუკეთესოა. „ფლატე“ ერთ-ერთი უნიკალური შემცველობის მინერალური წყალია, რასაც სხვადასხვა მეცნიერული კვლევა ადასტურებს. თანაც, ეს ყოველდღიური მოხმარების წყალია. „ფლატე“ თავისი შემადგენლობითა და ხარისხით ძალიან ახლოსაა იმ წყლებთან, რომლებსაც ევროპელები აქტიურად მოიხმარენ.

2013 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების შესახებ“, რომლის მიხედვით „ბორჯომისა“ და „ნაბეღლავის“ მწარმოებლები მინერალურ წყლებზე გაზრდილ მოსაკრებელს გადაიხდიან. „ბორჯომის“ მინერალური წყლისთვის დადგენილი მოსაკრებელი 1 კუბ.მ წყალზე 10 ლარს, ხოლო „ნაბეღლავზე“ – 6 ლარს შეადგენდა. ცვლილების თანახმად კი, ეს ოდენობა 3-ჯერ იზრდება და „ბორჯომის“ შემთხვევაში 1 კუბ.მ-ზე – 30 ლარი, ხოლო „ნაბეღლავის“ შემთხვევაში – 18 ლარი ხდება [37]. საქართველოს მთავრობის განმარტებით აღნიშნული მინერალური წყლები როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნით და კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა. ამასთან, მიწისქვეშა წყლები, როგორც ბუნებრივი რესურსი, ამოწურვად რესურსს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია, რომ მათი მოპოვებისთვის ისეთი მოსაკრებელი განისაზღვროს, რომელიც მის ღირებულებას და მოთხოვნასთან მიმართებაში

ადეკვატური იქნება. გასათვალისწინებელია, რომ მოსაკრებლის თანხა თითოეულ ჩამოსხმულ ბოთლ წყალზე მისი ღირებულების საკმაოდ მცირე პროცენტს შეადგენს და შესაბამისად, მოსაკრებლის ოდენობის გაზრდა მწარმოებელი კომპანიების ფინანსურ ხარჯებზე არსებით გავლენას არ მოახდებს.

მინერალური წყლის მწარმოებელი კომპანიების განცხადებით, მოსაკრებლის გაძვირება უარყოფითად აისახება მინერალური წყლის „ბორჯომის“ კონკურენტუნარიანობაზე, როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის, უკრაინისა და სხვა საექსპორტო ბაზრებზე. მათი ვარაუდით, პროდუქციის ფასი საგრძნობლად გაიზრდება.

დღევანდელ დღემდე „ბორჯომის“ მწარმოებელი კომპანიისთვის ბუნებრივ რესურსზე მოსაკრებელი ყველაზე მაღალი იყო ბაზარზე და შეადგენდა 5,9 ევროს 1მ<sup>3</sup>/კუბზე, როცა საქართველოში არსებული მინერალური წყლის სხვა კომპანიებისთვის მოსაკრებელი 1მ<sup>3</sup>/კუბზე 4,1 ევროს შეადგენდა. დსთ-სა და ევროპის ქვეყნებში მოსაკრებლის დონე 1მ<sup>3</sup>/კუბზე 0,1-დან 5,7 ევრომდე მერყეობს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს გადასახადი უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში – საფრანგეთია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში მინერალური წყლის მწარმოებლები შეღავათიან რეჟიმში იხდიან დამატებული ღირებულების გადასახადს. ანუ თუკი ქვეყანაში დამატებული ღირებულების გადასახადი 19% -ია, წყლის მწარმოებლებისთვის იგი 7% -ით განისაზღვრება. ამგვარად, მოსაკრებელი, რომელსაც „ბორჯომის“ მწარმოებელი კომპანია იხდის ყველაზე მაღალია როგორც დსთ-ს, ასევე ევროპის სივრცეში. აღნიშნული გადაწყვეტილება რისკის ქვეშ აყენებს „ბორჯომის“ დღევანდელ პოზიციებს საექსპორტო

ბაზრებზე და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის მომავალ განვითარების პერსპექტივებს.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა მინერალური წყლების ფალსიფიკაცია. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ 1991-1992 წლებიდან შეიმჩნეოდა, როცა ფაქტობრივად შეწყდა მინერალური წყლების ჩამოსხმა და მისი მიწოდება ტრადიციულ ბაზრებზე. გაჩნდა დისბალანსი „ბორჯომზე“ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის.

აღნიშნული პროცესი იწვევს ძნელად გამოსასწორებელ შედეგებს. კერძოდ: ირღვევა მომხმარებლის უფლებები, უსაფრთხო პროდუქციის მოთხოვნები (ანტისანიტარულ პირობებში ჩამოსხმა, ტექნოლოგიური რეჟიმების დაუცველობა და სხვა); სახელმწიფო ბეგარის გადაუხდელობის გამო ფალსიფიცირებული პროდუქციის თვითღირებულება 3-4-ჯერ ნაკლებია ქარხნული წესით წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით. ფალსიფიკატორს საშუალება ეძლევა ბაზრის გარკვეული სეგმენტი დაიკავოს დემპინგურ ფასებში და ადგილი აქვს არაჯანსაღ კონკურენციას. ამგვარად, ზარალდება მომხმარებელიც და სახელმწიფო ბიუჯეტიც. ბოლო პერიოდში ამ საკითხის მოსაგვარებლად შემუშავდა სპეციალური დამცავი ნიშნები, რამაც მკვეთრად შეამცირა ფალსიფიცირებული პროდუქცია, თუმცა ცალკეული შემთხვევები მაინც შეინიშნება.

ამჟამად ბევრ ქვეყანაში წარმატებით იყიდება მტკნარი წყლებიც, რომლითაც ასე მდიდარია საქართველო. სპეციალისტების ვარაუდით, უახლოეს მომავალში ბაზრის განაწილება შეიძლება მტკნარი წყლების სასარგებლოდ შეიცვალოს.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნების წარმოდგენის საშუალებას:

კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციური რეფორმები საკმარისი არ არის მინერალური წყლების კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

მთავარ პრობლემებად მიიჩნევა:

- საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიების ნაკლებობა;
- რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში სახელმწიფოს მხრიდან დახმარებების არქონა;
- ინფლაცია;
- პროდუქციის ფაქსიფიკაციის პრობლემა, განსაკუთრებით უცხოეთის ბაზრებზე.

მიუხედავად ამისა, ქართულ მინერალურ წყლებზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება.

ჩატარებული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის სისტემის შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.;
- ✓ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.;
- ✓ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია თანამედროვე დიზაინით გაფორმებული მაღალი ხარისხის

პროდუქციის უწყვეტი მიწოდება, ახალი ბაზრების ათვისებისათვის სადისტრიბუციო ქსელების გახსნა, სარეკლამო საქმიანობის ფართოდ გაშლა, ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია;

- ✓ მინერალური წყლების ბიზნესის აღმავლობის საწინდარი კარგად განვითარებული სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომუნიკაციებია, რადგან საწარმოთა უმრავლესობა უახლოეს რკინიგზის სადგურებსა და პორტებს ძალიან მოშორებულია;
- ✓ ინვესტორებისთვის აუცილებელია სტაბილური სამართლებრივი გარემოს არსებობა, რაც შეუქმნის მათი საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს;
- ✓ საინვესტიციო პროექტების სრულყოფილი ბანკის შექმნა და მსოფლიო მასშტაბით საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ პოტენციური ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- ✓ საქართველოს შეუძლია მთელი მსოფლიო დააკმაყოფილოს როგორც მინერალური, ისე მტკნარი წყლებით. დღეს მსოფლიოში განსაკუთრებით დგას წყლის პრობლემა. ყველაზე დიდი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს წყლის ბიზნესით. ეს არის უფასო მზა რესურსი. ბიზნესმენი ვინც ამ სფეროში ჩადებს ფულს, წაგებული არასოდეს დარჩება.

## 5. აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. აგრარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა წარმოადგენს [4, გვ.180]. ამისათვის მნიშვნელოვანია: საკვები პროდუქტების წარმოების უსაფრთხოების ხელშეწყობა; ფიტო და ზოო-ვეტერინარული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა; განსაკუთრებული შემთხვევებისთვის საკვები პროდუქტების სამთავრობო რეზერვების შექმნა; წყალდიდობის საწინააღმდეგო ქმედებათა ხელშეწყობა; სოფლისა და სასოფლო ადგილების გარემოს დაცვა; წყლისა და გარემოს დაბინძურების შემცირება; ზღვის დაცვა, მისი ფლორისა და ფაუნის ჩათვლით. უმნიშვნელოვანესი მიზანია სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეკონომიკის განვითარება.

საქართველოს აგრარულ სექტორს, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით, შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით. მსოფლიო ბაზარზე დღითი-დღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ამის განხორციელების სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს

დეს ეს სექტორი პერსპექტივაში. იგი მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება [17, გვ.52].

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის 54% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, თუმცა, ამ სფეროს წილი მშპ-ში მხოლოდ 9,3%-ს შეადგენს. შედარებისათვის: აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 1,6%, გერმანიაში – 2,9%, ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ – 5,0%. აშშ-ში ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126, გერმანიაში – 144, ევროკავშირის ქვეყნებში – 51 ადამიანს, ხოლო საქართველოში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი უჭირს. 2014 წლის მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე, კერძოდ, ყურძენზე – 130%, კარტოფილზე – 100%, სიმინდზე – 96%, რძე და რძის პროდუქტებზე – 91%, ცხვრისა და თხის ხორცზე – 85%, ბოსტნეულზე – 75% [68].

დინამიკაში მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში 2006-2013 წლებში შემცირებულია



მეცხოველეობის უმეტესი პროდუქციის წარმოება, მ.შ. ხორცეულის წარმოება, კერძოდ, პირუტყვის ხორციით უზრუნველყოფის მაჩვენებელია 39%, ხოლო ფრინველის ხორციით – 18%. მკვეთრადაა შემცირებული ხორბლის წარმოება, რომლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მხოლოდ 12%-ია [68]. საერთოდ აღარ იწარმოება მთელი რიგი პროდუქტები. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ამის გამო ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას.

მთლიან ფართობში სახნავ-სათესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში – 22,7%, თურქეთში -27,7%, უკრაინაში კი – 56,1% [72]. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მეურნეობათა 75% ფლობს 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს, ამ ზომის მიწაზე კი თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ფერმერულ მეურნეობათა ეს კატეგორია ორიენტირებულია მხოლოდ თვითუზრუნველყოფაზე და ისიც უჭირთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს საქართველოში უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, მას უამრავი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზი არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს ფინანსური დახმარება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე, დაზღვევის სისტემის განვითარება და სხვ.

2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობას ბიუჯეტიდან გამოეყო 40 მლნ ლარი, 2011 წელს – 86 მლნ, 2012 წელს -119,9 მლნ, 2013 წელს 182,2 მლნ, ხოლო 2014

წელს – 265 მლნ. აქედან უდიდესი ნაწილი – 217 მლნ ლარი უშუალოდ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე დაიხარჯება, 27 მლნ – სურსათის უვნებლობაზე და მცენარეთა დაცვაზე, 21 მლნ – მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ბიუჯეტიდან თანხების გაზრდა უდავოდ მისასაღმებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისა და დაზღვევის უზრუნველყოფა [74].

აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები, აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2%-ზე ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ, რაც უწინარესად უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ქართველ გლეხობასა და ფერმერებს ასეთი დახმარებები დღემდის არ ჰქონია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელსაც დააფინანსებს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ და განახორციელებს „სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო“. პროექტი ამოქმედდა 2013 წლის მარტიდან. პროექტის მიხედვით გაიცემა: უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისათვის 0%; შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის – არაუმეტეს 8%-ის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით); შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის არაუმეტეს 3%-

ის (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით). აღნიშნულ პროექტში 11 ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჩაერთო და 2013 წლის მარტიდან 2014 წლის სექტემბრამდე 318 მლნ ლარის მოცულობის 14 100 აგროკრედიტი გაიცა. როგორც ბანკები აცხადებენ (თ ჩ, კონსტანტა და სხვ.), პრობლემური სესხები ფაქტობრივად არ აქვთ. მსესხებლები უპრობლემოდ იხდიან თანხას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირების მიზნით ევროკავშირმა შეიმუშავა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის, რომელიც 2013 წლის მარტში დაიწყო და 2016 წლის მარტამდე გაგრძელდება. პროექტის მთავარი პარტნიორებია სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა დარგობრივ სამინისტროებთან/სახელმწიფო სექტორსა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრებთან ერთად. იგი ხელს შეუწყობს მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გადრმავებას, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას. პროგრამის მიზანია გააძლიეროს მცირე ფერმერები, რომლებიც შესაძლოა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ხერხემალი გახდნენ. სოფლის მეურნეობის განვითარება არის საფუძველი სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარებისათვის, რომელიც თავის მხრივ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ( ჩ თ ) შესახებ მოლაპარაკების მთავარი ელემენტია. ბიუჯეტის ოდენობაა 40 მლნ ევრო [18].

სოფლის მეურნეობის კულტურების და განსაკუთრებით ხორბლეულის მეტი წილი გადაშენების გზაზეა. სპეციალისტების აზრით, საქართველოს აქვს რესურსი ხორბლეულის ის რაოდენობა აწარმოოს, რომელიც ძირითადად ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ეს ეხება არა მარტო ხორბლეულს, არამედ თითქმის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტს.

სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირებას.

სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული ქვეყნის რესურსული პოტენციალის ადეკვატური ნაწილის გამოყენება და სხვადასხვა სახის ინვესტიციები. ძალზე მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში სოფლის მეურნეობის წილი 2007 წელს – 0,8%-ს, 2009 წელს – 1,2 %-ს, 2010 წელს – 1,1%-ს, 2011 წელს – 1,2%-ს, 2012 წელს – 1,8%-ს, 2013 წელს – 1,3%-ს შეადგენდა [39]. ეს გამოწვეულია იმით, რომ დარგი რისიკიანი და დაბალმომგებიანია, აგრარული წარმოების შედეგები კვლავაც არაპროგნოზირებადია: გვალვა, წყალდიდობა, მცენარეთა და ცხოველთა დაავა-

დებები და მავნებლები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები უკვე შეიმჩნევა.

ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013 წლიდან საკმაოდ სერიოზული თანხებია გამოყოფილი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რაც ფერმერებისათვის სტიმულია გრძელვადიანი საქმიანობის დაწყებისათვის, შესაბამისად, გაჩნდა რეალური მოთხოვნა აგროდაზღვევის სისტემის შექმნისა და განვითარებისათვის.

აგროდაზღვევა სოფლის მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც სტაბილურს გახდის მათ შემოსავლებს. აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს გაზრდის. ფერმერისათვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, რაც დარგის სტაბილურ განვითარებას ხელს შეუწყობს. 2014 წლის სექტემბრიდან, აგროდაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების და განვითარების მიმართულებით, სახელმწიფოსთან ერთად ჩართულია კერძო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ამ ეტაპზე განხორციელდება მთავრობის მიერ სუბსიდირება 70%-დან 95%-მდე. როცა ხელშეკრულება გაფორმდება, ფერმერი ერთჯერადად გადაიხდის დაზღვევის ერთწლიანი პაკეტის ღირებულების 5-30%-ს. ამ პაკეტის ღირებულების სუბსიდირებისას სახელმწიფო ანაზღაურებს მაქსიმუმ 30 ათას ლარს ფიზიკური პირის შემთხვევაში, ხოლო 50 ათას ლარს –

კოოპერატივის შემთხვევაში. პროგრამის თანახმად, დაზღვევას ექვემდებარება სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავალი შემდეგ სტიქიურ მოვლენებზე: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის).

აგროდაზღვევის საპილოტე პროექტი 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. მისი ბიუჯეტი ხუთი მლნ ლარია. პროექტში მონაწილეობს 4 სადაზღვევო კომპანია: ჯიპიაი ჰოლდინგი, ალდაგი, აი სი ჯგუფი და ირაო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან 6 ათასზე მეტი სადაზღვევო პოლისია გაცემული, რომლის თანხაც უკვე მლნ ლარზე მეტია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაზღვევა 2014 წელს აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც გვალვამ მოსავლის დიდი ნაწილი გაანადგურა.

ფერმერთა აზრით, თუ ხელისუფლებას რეალურად ფერმერთა დახმარება სურს, პირველ რიგში, მიწის დაუსაბუთებლად გაზრდილი გადასახადი უნდა შემცირდეს. მთავრობის 2010 წლის დადგენილებით, გაიზარდა სახნავსათეს მიწებზე გადასახადი, ხოლო საძოვრის გადასახადი 500%-ითაა გაზრდილი. ამან საბოლოოდ წელში გატეხა ფერმერიც, გლეხიც და ყველა ის ადამიანი, ვინც სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული, რამაც გამოიწვია ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვა.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. 2012 წლის 26 ივნისს მოიხსნა ყოველგვარი აკრძალვა, უცხოელისა და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირების სასარგებლოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესყიდვის თაობა-

ზე. მათ მიენიჭათ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრების უფლება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. 2013 წლის 28 ივნისის კანონმდებლობით, 2014 წლის 31 დეკემბრამდე, ზემოთაღნიშნულ პირებს შეუქრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვება. 2014 წლის 20 თებერვალს, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კვლავ განხორციელდა ცვლილება აღნიშნულ კანონში და შეზღუდვა მოეხსნათ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს დ იმ უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთა საინვესტიციო პროექტი მოწონებული იქნებოდა მთავრობის მიერ. კანონში მოკლე ინტერვალით ხშირი ცვლილებები გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს ერთიანი დასაბუთებული პოლიტიკა ჯერ კიდევ არ გააჩნია.

საქართველოში არ არსებობს მიწის ნორმატიული ფასი. ის დადგენილია მხოლოდ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. მიწის ადმინისტრირების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი მნიშვნელოვანია არა მარტო მიწაზე საკუთრების, არამედ შემდგომი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით.

პირველი და უმთავრესი ხელშეწყობა გლეხისათვის მიწის გაზრდილი გადასახადის მოხსნა იქნებოდა. ვაუჩერები, რომელიც სოფლად დარიგდა, სოფლის მეურნეობას ვერ ააღორძინებს. სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის აუცილებელია წვრილგლეხური მეურნეობების გაერთიანება, მათი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამქიმიკატებით უზრუნველყოფა, მოსავლის დაბინავების და რეალიზაციის უზრუნველყოფა, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

წარმოებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პროდუქციის რეალიზაცია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ თვითონ ფერმერი დაიწყებს პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნვას, იგი ვერც თავის მეურნეობას განავითარებს და ვერც რეალიზაცია გამოუვა მომგებიანი. ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა. წვრილი გლეხები ან წვრილი გადაყიდველები, ყოველგვარი აღრიცხვის, სურსათის უვნებლობის და სხვა ნორმების დარღვევით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს შუალედური კომპანიები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეგროვებას, მომხმარებლებისათვის სასურველი სასაქონლო სახის მიცემას, უვნებლობის კონტროლს და ნორმალურ დისტრიბუციას.

აგრარული სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია:

- ქვეყანაში აგროდაზღვევის სისტემის სწრაფი განვითარება;
- ფერმერებისათვის დაბალპროცენტოვანი და გრძელვადიანი კრედიტებზე ხელმისაწვდომობა;
- კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ხელშეწყობა;
- სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგება, მანქანატრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება;



- ახალი ჯიშების გამოყვანის საცდელი სადგურების აღდგენა და ახალი სტანდარტებით ამოქმედება;
- სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;
- საშუამავლო სტრუქტურების შექმნა, რომელიც ფერმერს რეალიზატორებთან დააკავშირებს;
- ფერმერების საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების გაფართოება და მომსახურების თანამედროვე ფორმათა დანერგვა, და რაც მთავარია, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს საფუძველს შექმნის ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებისთვის;
- აგრარული სექტორის სტრატეგიული დარგების განვითარებას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ დარგებმა უნდა შექმნას ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პოტენციალი. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციისა და შემოსავლების ზრდის საფუძველი გახდება.

## 6. ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია. ბოლო პერიოდში საგრძნობლად დიდი ცვლილებები შეინიშნება მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში. დღესდღეობით, ამ ინდუსტრიამ არა მხოლოდ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა, არამედ მსოფლიოს სხვა ადგილებიც „აღმოაჩენინა“ მოგზაურობისა და დასვენებების მოყვარულთ [63].

ტურიზმი კომპლექსური დარგია და არ არის საქმიანობის მხოლოდ ერთი სფერო. მასთან დაკავშირებულია ტრანსპორტი, სასტუმრო, კვება, გასართობი, სამედიცინო, საბანკო, სადაზღვევო, საინფორმაციო მომსახურება და სხვ. შესაბამისად, ტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ზრდის საექსპორტო შემოსავალს, ავითარებს ინფრასტრუქტურას, ამავე დროს იგი ვალუტის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი გენერატორია.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2014 წელს ტურიზმის წილმა მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტში 9% შეადგინა, რაც 6 ტრილიონ დოლარს აღემატება. აქ დასაქმებულია მსოფლიო მასშტაბით დასაქმებულთა 8,9% (266 მლნ ადამიანი).

ყოველწლიურად აღინიშნება ტურისტული შემოსავლების ზრდა. კერძოდ, საერთაშორისო ტურისტული შემოსავლები 1950 წლიდან 2014 წლამდე კოლოსალური რიცხვებით გაიზარდა. თუ 1950 წელს შემოსავალი 2 მილიარდი დოლარი იყო, იგი 1980 წლისთვის 104 მილიარდამდე გაიზარდა. 1995 წელს 415 მილიარდი შეადგინა, 2014 წლის მონაცემებით 1245 მილიარდი გახდა [73].

ევროპამ 2014 წელს 582 მილიონი საერთაშორისო ტურისტი მიიღო, 2015 წლისთვის ეს რიცხვი 11 მილიონით გაიზარდა. აშშ-ს 2014 წელს 181 მილიონი ტურისტი სტუმრობდა, 2015 წლისთვის იგი 13 მილიონით გაიზარდა. აზიაში ტურისტთა რაოდენობა 263 მილიონს, ხოლო შუა აღმოსავლეთში 51 მილიონს შეადგენდა. 2015 წელმა გვაჩვენა, რომ ყველაზე მზარდი პოტენციური ტურისტული ინდუსტრიაში აზიასა და წყნაროკეანეთს აქვს. რაც შეეხება აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთს, მოლოდინები აქაც დიდია [63].

საერთაშორისო ტურისტების მიერ მონახულებული ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება: საფრანგეთი (75 მლნ ტურისტი წელიწადში, ბაზრის წილი 9,8%), ესპანეთი (54 მლნ, ბაზრის წილი 7%), აშშ (46 მლნ, ბაზრის წილი 6%), ჩინეთი (42 მლნ, ბაზრის წილი 5,5%) და იტალია (37 მლნ, ბაზრის წილი 4,9%). ტურიზმის სექტორში შემოსავლების მიხედვით ლიდერობს აშშ (74 მლრდ დოლარი, ბაზრის წილი 12 %), ესპანეთი (45 მლრდ დოლარი, ბაზრის წილი 7,3%), საფრანგეთი (41 მლრდ დოლარი, ბაზრის წილი 6,6%), იტალია (36 მლრდ დოლარი, ბაზრის წილი 5,7%) და გერმანია (28 მლრდ დოლარი, ბაზრის წილი 4,4%) [79].

ყველაზე მონახულებადი ქალაქების ხუთეულში შედის: პარიზი – დაახლოებით 15 მილიონი ტურისტი ერთ წელში, ლონდონი – 14,6 მილიონი, ნიუ-იორკი – 9,7 მილიონი, ანტალია და სინგაპური 9,2 მილიონი ტურისტი.

ნებისმიერ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია: ტურიზმის პოლიტიკის შემუშავება; ტურისტული რესურსები; განვითარებული ინფრასტრუქტურა; კვალიფიციური რესურსები და შესაბამისი საკანონ-

მდებლო ბაზა. ერთ-ერთის მოშლა იწვევს დარგის განვითარების შეფერხებას.

ტურიზმის განვითარების სწორი პოლიტიკის შემუშავება ხელს შეუწყობს ტურიზმის, როგორც დარგის განვითარების სტიმულირებას, მასთან დაკავშირებული დარგების ერთობლივ ფუნქციონირებას, რაც განაპირობებს მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებას, რეზიდენტების შემოსავლების ზრდას, გადასახადების გენერირებას, საბოლოო ჯამში კი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

სახელმწიფო ტურისტული პოლიტიკა არის მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დარგის სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ, კულტურულ, საგარეო-პოლიტიკურ და სხვა ხასიათის ღონისძიებების რეგულირებას სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მხრიდან. ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმის შემუშავებაა, რომელიც მხარს დაუჭერს დარგის აღორძინება-განვითარებას. ამავე დროს ტურისტული პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიული პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, საქართველო ტურიზმის ტრადიციული ქვეყანაა. სხვადასხვა ექსპერტთა მონაცემებით, 1988 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტი შემოვიდა (4,5-5 მლნ). ამ დროს ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ტურისტული ბაზა და სანატორიუმი არსებობდა. საქართველოს დღესაც გააჩნია ბუნებრივ-გეოგრაფიული წანამძღვრები იმისათვის, რომ განვითარდეს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმი.

მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის შემოსავლების 2/3-ზე მეტი შიდა ტურიზმზე მოდის და მხოლოდ 1/3-ია საერთაშორისო ტურიზმიდან. საქართველოს შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სათანადო მენეჯმენტის პირობებში რამდენიმე მლნ ტურისტის მიღება შეეძლება.

დღეისთვის საქართველოში საერთაშორისო ტურიზმი უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება – გასვლითი ტურიზმი ჭარბობს შემოსვლითს. საერთაშორისო ტურიზმის განვითარება საქართველოს ბაზარზე ტურისტული სააგენტოების დანერგვით 1995 წლიდან დაიწყო.

2005-2007 წლებში ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად 70-80%-ით იზრდებოდა. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წელს საქართველოში 983 114 ტურისტი შემოვიდა, 2007 წელს – 1 051 769. 2007 წელს ტურისტული მომსახურების დადებითი ბალანსი 44%-ით გაიზარდა, რომელშიც საკმაოდ დიდი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის წილი, თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომმა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეამცირა. პრაქტიკულად ჩავარდა საზღვაო სეზონი, სადაც ტურისტების ძირითად ნაწილს ელოდნენ (450 ათასი). ტურისტების რაოდენობა აგვისტოს ომის შემდეგ თითქმის 86%-ით შემცირდა. ტურისტული კომპანიები მკვეთრად შემცირებული კლიენტურის რაოდენობის გაზრდას უპრეცედენტოდ დაბალი ფასებით (10-დან 40% ფასდაკლებით) ცდილობდნენ.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობისა 2008 წელს საქართველოში 1 290 107 ვიზიტორი დაფიქსირდა. ვიზიტორების ძირითადი ნაწილი შემოვიდა თურქეთიდან (27,2%), აზერბაიჯანიდან (26,7%), სომხეთიდან (21,8%), რუსეთიდან (8,9%), უკრაინიდან (2,6%), ისრაე-

ლიდან (1,3%), აშშ-დან (1,2%), გერმანიიდან (1,02%), საბერძნეთიდან (1%) და ა.შ. უცხოელი მოქალაქეების ჩამოსვლის ძირითადი მიზანი იყო: ბიზნესი და პროფესიული აქტივობა – 39%; მეგობრებისა და ნათესავების მონახულება – 26%; დასვენება და რეკრეაცია – 20%; ტრანზიტი – 4%; განათლება და ტრენინგები – 2%; მკურნალობა – 2%; და სხვა – 2% [68].

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებით 2010 წელს საქართველოში ყოველი მეოთხე უცხოელი დასასვენებლად ჩამოვიდა. დანარჩენები კი ქვეყანას ან საქმიანი ვიზიტით, ან ნათესავებისა და ახლობლების მოსანახულებლად სტუმრობენ. თებერვლის თვის კვლევებით ზამთარში საქართველოს მეზობელი ქვეყნების გარდა ამერიკელი, გერმანელი, ბრიტანელი და ფრანგი ტურისტები სტუმრობდნენ. მოგზაურობის მიზანი კი, გამოკითხულთა 30%-ისათვის საქმიანი და პროფესიული ვიზიტია, 25% – მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ხოლო 23% – დასვენებისა და რეკრეაციისათვის ჩამოვიდა. ტურისტების ყველაზე დიდი ნაწილი თბილისს, ნაწილი – ბათუმს, სიღნაღს, ბაკურიანს, გუდაურს და სხვ. სტუმრობდა.

2011 წელს კი საქართველოში ვიზიტის ყველაზე პოპულარული მიზეზი დასვენება და რეკრეაცია (40%) იყო. არ შეცვლილა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ჩამოსვლთა წილი (25%), მხოლოდ 8% სტუმრობდა საქართველოს ბიზნესისა და პროფესიული მიზეზებით. წინა წლებისაგან განსხვავებით მოგზაურები საქართველოში შოპინგისთვისაც ჩამოვიდნენ (8%), სხვა მიზნებისათვის ჩამოსულთა წილი კი 12% იყო.

2011 წელს უცხოელ მოგზაურთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 39%-ით გაიზარდა და 2 822 363 შე-

ადგინა, ხოლო 2012 წელს დაფიქსირდა 56%-იანი ზრდა 2011 წელთან შედარებით და შესაბამისად 4 389 256 შეადგინა [68]. უცხოელი ვიზიტორების ასეთი მკვეთრი ზრდა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები;
- საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების რეკლამირება საერთაშორისო ბაზრებზე;
- პირდაპირი ჩარტერული რეისების დანიშვნა;
- მრავალი კულტურული ღონისძიების (ფესტივალები, კონცერტები და ა.შ.) ორგანიზება;
- სულ უფრო აქტუალური გახდა დასვენება ველური ბუნების წიაღში, საქართველოში ასეთი ადგილები ჯერ კიდევ მრავლადაა. არსებობს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალგვარი სახეობა და რესურსების დიდი ბიომრავალფეროვნება.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიამ ზრდა განაგრძო. ამ წელს საერთაშორისო შემოსვლების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა 5,515,559, ისტორიაში მეორედ კი ეს მაჩვენებელი ხუთ მილიონიან ზღვარს გადასცილდა და 2013 წლის მაჩვენებელს 1,88%-ით აღემატება. შესაბამისად, საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები ზრდადი ტენდენციით გამოიჩინოდა, შედეგად 2014 წელს მისმა რაოდენობამ 1.79 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მშპ-ში ტურიზმის წილმა კი 6% შეადგინა [68].

2014 წელს საქართველო „ატიონალ ეოგრაპიკ თრაველერ“-ის 50 საუკეთესო ტურს შორის მოხვდა. აქ

ცენტი გამახვილდა ქართულ სამზარეულოზე, ღვინოსა და კულტურაზე. ამ სიაში ასევე დასახელდა ისეთი ქვეყნების ტურისტული მიმართულებები, როგორცაა: საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, შოტლანდია, შვეიცარია, შვედეთი და დანია. გარდა ამისა, საქართველო რამდენიმე საერთაშორისო რეიტინგის ათეულში მოხვდა, როგორც მოგზაურობისთვის ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა. წარმატებები იყო საერთაშორისო ურთიერთობებშიც და ქვეყანამ უმასპინძლა მტო-ს აბრეშუმის გზის სამუშაო ჯგუფის მე-4 შეხვედრას.

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში შემოსული საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით კვლავ მეზობელი ქვეყნები ღიდებენ. აღნიშნულ წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი თურქეთიდან შემოვიდა. თურქეთიდან შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა 1 435 822 იყო, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით ნაკლებია. სომხეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა კი 2%-ით არის გაზრდილი და 1 321 500-ს შეადგენს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, აზერბაიჯანიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 19%-ით არის გაზრდილი და 1 282 222-ს შეადგენს. ვიზიტორების წარმოშობის მიხედვით პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და უკრაინა.

დადებითი ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო მოგზაურების შემოდინების კუთხით. 2014 წლის მონაცემებით, კვლავ ტრადიციულად გამოირჩევენ: ლიტვა, პოლონეთი, ლატვია და დიდი ბრიტანეთი (შესაბამისად 93%, 25%, 25% და 11%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (34%), ხოლო აღმოსავლეთ ევ-



როპის ქვეყნებიდან კი – ბელორუსიის მოქალაქეები 48% მატებით.

2014 წელს ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი ივლის-სექტემბრის მონაკვეთში დაფიქსირდა, როდესაც თვეში საშუალოდ 650 ათასი უცხოელი ვიზიტორი შემოდიოდა.

საქართველოში ტურისტების 86% სახმელეთო გზით შემოვიდა, ხოლო საჰაერო ტრანსპორტით – 12%. სარკინიგზო ტრანსპორტით უცხოელ ვიზიტორთა მხოლოდ ერთი პროცენტია შემოსული.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, სარკინიგზო ტრანსპორტს საშუალება აქვს, წელიწადში 3,2 მილიონი ვიზიტორი გაატაროს, რისი მნიშვნელოვანი ნაწილიც დღეისათვის ათვისებული არ არის.

2015 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 6,9%-ით გაიზარდა, 2015 წელს საქართველოს საერთაშორისო მოგზაურთა რეკორდული რაოდენობა ესტუმრა, უფრო კონკრეტულად კი, ვიზიტორების რაოდენობამ 5 897 685 შეადგინა.

2015 წელსაც საქართველოს ყველაზე მეტად მეზობელი ქვეყნებიდან სტუმრობდნენ, თუმცა პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდანაც, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-დეკემბერში გამოირჩეოდნენ: იტალია, ლიტვა, ლატვია და გერმანია (შესაბამისად 15%, 13%, 13%, და 10%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (29%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელორუსია (51%), ახლო აღმოსავლეთიდან – ისრაელი (40%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან – არაბთა გაერთიანებული საემიროები – 675% და საუდის არაბეთი – 80%-იანი მატებით.

10 ქვეყანა, საიდანაც 2015 წლის განმავლობაში საქართველოს ყველაზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ესტუმრა, ასე გამოიყურება: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ისრაელი, პოლონეთი, გერმანია, ყაზახეთი, აშშ. აღნიშნულ წელს ზრდა არის შემოსავლების კუთხითაც. საერთაშორისო ტურიზმიდან 2015 წლის მესამე კვარტალში შემოსავალმა 742 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა 2014 წლის მესამე კვარტალში 650 მლნ აშშ დოლარი იყო. ზრდა წინა წლის მესამე კვარტალთან 14.2%-ს შეადგენს.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის გასაზრდელად აქტივობები გრძელდება, მათ შორის ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება, საქართველოს ცნობადობის ამაღლება, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზრებზე, ტურისტული პროდუქტების განვითარება და სერვისის ხარისხის გასაუმჯობესებლად ტრენინგების ორგანიზება. 2014 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 19 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, განახორციელა ცხრა მიზნობრივ ბაზარზე მარკეტინგული კამპანია და ჩაატარა 46 პრეს-ტური. 2015 წელს საქართველოში ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიება, მათ შორის: ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადა და უეფას სუპერთასის მატჩი. რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობას. ასევე აღსანიშნავია 2015 წელს მარკეტინგული აქტივობების გაზრდა, კერძოდ, საქართველოს შესახებ საიმპიჯო რგოლი ტრიალებდა 9 მიზნობრივ ბაზარზე (აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა, ყაზახეთი, რუ-

სეთი, ბელარუსი, უნგრეთი, ლატვია, ისრაელი), ასევე მსოფლიოში ყველაზე რეიტინგულ არხებზე (ჩ და ღ ჭშ), რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის გაზრდას მთელ მსოფლიოში, რაც პირდაპირ ნიშნავს უფრო მეტ ტურისტს და უფრო მეტ შემოსავალს საქართველოში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ ვიზიტორების რაოდენობით ტურიზმის განვითარების დონეს ვერ შევაფასებთ.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მოამზადა 2015-2025 წლების ტურიზმის განვითარების სტრატეგია. ეს არის 10-წლიანი ხედვა ტურიზმის განვითარების შესახებ. მასში აქცენტი ტურისტების რაოდენობის ზრდაზე აღარ კეთდება. ახალი სტრატეგია ითვალისწინებს არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ზრდას, რაც გულისხმობს ტურისტული პროდუქტების რაოდენობის ზრდას, ტურისტებისათვის საინტერესო გამოცდილების მიღების შეთავაზებას, მეტი მხარჯველი ტურისტის ჩამოყვანას და ა.შ.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ორჯერ უნდა გაიზარდოს ვიზიტორებისა და ტურისტების რაოდენობა დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შედარებით მდიდარი ბაზრებიდან, ხოლო თითოეული ვიზიტორის მიერ დახარჯული თანხა 320 აშშ დოლარიდან 365 აშშ დოლარამდე უნდა გაიზარდოს.

ახალი სტრატეგიით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2025 წლამდე საქართველოში ტურისტების რაოდენობის ზრდას 3,3 მილიონიდან 8,4 მილიონამდე პროგნოზირებს. თუ ქვეყანაში ამ რაოდენობის ტურისტი შემოვა, ადმინისტრაციის გათვლებით ტურიზმის სექტორში დასაქმების რაოდენობა 180 ათასიდან 270 ათასამდე, ხო-

ლო ინვესტიციების მოცულობა 183 მილიონი ლარიდან 874 მილიონამდე გაიზარდა.

საქართველოს ბიზნესასოციაციამ ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები შეისწავლა [49, გვ.26]. გამოიკვეთა ხუთი მთავარი გამოწვევა: მომსახურების ხარისხის განვითარება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტურისტული შესაძლებლობების განვითარება, ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება და დარგის სწორი ორგანიზება.

ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა. უხარისხო მომსახურება სტანდარტების დარღვევას, რიგ შემთხვევაში კი უცხო ენების არცოდნას უკავშირდება. ასევე ხშირია მომსახურე პერსონალის არასაკმარისი მოტივაცია და საქმისადმი ზერედე დამოკიდებულება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში, ტურიზმის დარგში განათლებისა და ტრენინგების მაჩვენებლით საქართველო 140 ქვეყანას შორის 77-ე ადგილზეა, კლიენტებზე ორიენტირებულობის ხარისხის მაჩვენებლით კი – მხოლოდ 118-ე ადგილზე.

კადრების კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია ტურიზმის დარგში აკადემიური განათლების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგების ხელშეწყობით. ხელისუფლებას შეუძლია წაახალისოს მსოფლიოში წარმატებული სასწავლო პროგრამების გაზიარება და დანერგვა. საჭიროა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების განხორციელება ტურისტული კომპანიებისა და ამ სფეროს სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, რომლებითაც მოხერხდება გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება. მნიშვნელოვანია უცხო ენების სპეციალური პროგრამების შემუშავება და სწავლება როგორც კერძო სექტორ-

რის, ასევე საჯარო სექტორის იმ წარმომადგენლებისთვის, ვისაც ტურიზმთან შეხება უწევს. მათ შორის, მესაზღვრეების, პატრულისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის თანამშრომლებისთვის.

ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ტურიზმის სფეროში შეინიშნება კონკურენტუნარიანი პერსონალის ნაკლებობა. ცოტაა პროფესიული სკოლები და შესაბამისი სახელმძღვანელოები. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ტურიზმის ინდუსტრია გამოირჩევა სწრაფი ცვლილებებით, რაც საჭიროებს გადამზადების ინსტრუმენტების გამოყენებას, კერძოდ, უნდა გამოვიყენოთ პროფესიული მომზადების და ტრენინგების სისტემა. 2007 წელს მიღებულ იქნა კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რომლის მიზანია პროფესიული განათლების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გრძელვადიან დინამიკაში უზრუნველყოფს სწრაფად ცვალებად გარემო პირობებში შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროფესიული განათლების კუთხით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია. 2013 წელს დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს ტურიზმის ინდუსტრიაში კადრების მომზადების პოლიტიკის მიმართულებით. კერძოდ, ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტებიდან გამომდინარე ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ეროვნულ დონეზე, რომელიც ადაპტირებული იქნება გრძელვადიან და მოკლევადიან დინამიკაში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ყველა ფენისათვის.

სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ეფექტიანი საგანმანათლებლო ქსელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის თანამედროვე შრომის ბაზართან ადაპტირებული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული ქსელი სამომავლოდ ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბებას, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას სხვადასხვა ტიპის ტურისტულ ობიექტებში.

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა ინფრასტრუქტურის განვითარება. ბოლო წლებში ამ მიმართულებით მასშტაბური პროექტები განხორციელდა, მაგრამ იგი მაინც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება. ამასთან, ინფრასტრუქტურული და მატერიალური ბაზის განვითარება დიდ დროსა და მნიშვნელოვან ინვესტიციებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ამ მიმართულებით განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო.

სასტუმროების მრავალფეროვანი არჩევანი ტურისტული ინფრასტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ქვეყანაში უკვე ფუნქციონირებს არაერთი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო, თუმცა არსებული საწოლი ადგილების რაოდენობა ტურისტთა მზარდი რაოდენობის მისაღებად არასაკმარისია. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ბაზაში დარეგისტრირდა 1332 განთავსების ობიექტი 47 012 საწოლით. შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის რეიტინგში სასტუმროს ნომრების რაოდენობის მაჩვენებლით საქართველო 78-ე ადგილზეა. გარდა ამისა, მსოფლიოში უკვე ბევრი ქვეყანა იყენებს ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალ კონცეფციას – საკონვენციო ცენტრებს – ტურისტული

ტა დიდი ნაკადების მთელი წლის განმავლობაში მოსაზიდად [49, გვ.26].

არანაკლებ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თითოეული ვიზიტორის მიერ დახარჯული საშუალო თანხა, რაც, 2013 წლის მონაცემებით, §334 იყო. შედარებისთვის, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა პოლონეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ხორვატია – ეს თანხა §600–ზე მეტია.

ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა. დღეისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს სამი საერთაშორისო (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) და ერთი შიდა (მესტია) აეროპორტი. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიხედვით ფრენების უდიდესი ნაწილი თბილისზე მოდის 78,43%, ქუთაისი -10,85%, ბათუმი – 10,65%, მესტია – 0,07%. ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ავიაინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება. ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანიების რაოდენობის გაზრდა შესაძლებელს გახდის როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ფრენების სიხშირის მატებას, ასევე საერთაშორისო პირდაპირი რეისების მიმართულებების (ე.წ. ჩარტერული რეისების) რაოდენობის გაზრდასა და, მეტი კონკურენციის შედეგად, ფასების კლებასაც. საჭიროა დაბალბიუჯეტო ავიაკომპანიების მოზიდვაც, რაც ბაზარზე შექმნის კონკურენტულ გარემოს და ხელს შეუწყობს უცხოელი ვიზიტორების ზრდას.

ტურისტული ნაკადების მოძრაობის მოსაწესრიგებლად საჭიროა განვითარებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა. უცხოელი ტურისტებისთვის რთულია ორიენტირება გზებსა და გზაჯვარედინებზე შესაბამისი მაჩვენებელი ნიშნების გარეშე. ამიტომ აუცილებელია ტურისტული საგზაო ნიშნების ქსელის განვითარება. ტურიზმის

ადმინისტრაციას შეუძლია მცირე ზომის სასტუმროების დახმარება საერთაშორისო ტურისტულ ვებგვერდებზე (ბოოკინგ.ცომ, ტრიპადვისორ.ცომ) დარეგისტრირებით და შესაბამისი კონსულტაციების გაწევით. გარდა ამისა, ტურისტული რუკებისა და გზამკვლევების, მათ შორის მობილური აპლიკაციების სახით არსებობა მნიშვნელოვნად გაამარტივებს ტურისტებისათვის არჩევანის შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ ქვეყანაში შემოსული თითოეული ტურისტი მეტ თანხას ხარჯავდეს, ტურისტული შესაძლებლობების განვითარებაა საჭირო. მიუხედავად მრავალფეროვანი ღანდშაფტისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა, დღეს საქართველო არ გამოირჩევა ტურისტული შესაძლებლობების მრავალფეროვნებით.

იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში 3 ქართული კულტურის ძეგლია შესული, აქედან ორი – საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული ძეგლის სტატუსით. მიზანმიმართული მუშაობა და ურთიერთთანამშრომლობა შესაბამის სტრუქტურებს შორის აუცილებელია სიაში კულტურული ძეგლების რაოდენობის გაზრდისთვის.

სპორტულ-სარეკრეაციო კომპლექსების, თემატური და გასართობი პარკების, საკურორტო კომპლექსების განვითარება ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შექმნას და დიდი რაოდენობით ტურისტების მომსახურებას. ამ ყველაფერთან ერთად, საერთაშორისო ოლიმპიადების, კონფერენციების, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიების სისტემატური ორგანიზება უზრუნველყოფს არასაკურორტო სეზონებზე ტურისტების პერმანენტულ მოზიდვას. კარგად განვითარებული დარგისთვის საჭიროა სანდო და ამოცდილი ტურისტული



კომპანიები, სააგენტოები და ტურ-ოპერატორები. ასევე აუცილებელია ტურისტული ავტოპარკებისა და სატრანსპორტო კომპანიების განვითარება.

ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოს ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნით ტურისტების დაინტერესებისთვის. თუმცა, დღევანდელი განვითარების დონით, ეს დარგის სუსტი მხარეა. მნიშვნელოვანია ახალი ტყის მასივების, პარკების, ბოტანიკური ბაღების დაგეგმვა და განვითარება.

ტურიზმის განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მისი ინსტიტუციური მოწყობა და ორგანიზება. უნდა არსებობდეს დარგის განვითარების სტრატეგიული ხედვა და მისი განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი. მათ შორის, როგორც ინსტიტუციური მოწყობა, ასევე შესაბამისი კანონმდებლობა და რეგულაციები. უნდა ხდებოდეს ქვეყნის ბრენდინგი და ტურიზმის მიზნებისთვის რეკლამირება.

ტურიზმის განვითარება საქართველოში დიდი ხანია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სექტორის წახალისების მიზნით ქვეყანა ინვესტორებს სხვადასხვა სტიმულებს სთავაზობს, მათ შორისაა სასტუმროებში ინვესტირების ინიციატივა და თავისუფალი ტურისტული ზონები.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს მისიაა:

- გაიზარდოს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე;

- უზრუნველყოს ქვეყანაში, როგორც შემოყვანის, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება;
- ხელი შეუწყოს ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- გაზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია და ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება.

დღეისათვის ქვეყანაში მოქმედებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, რომელთა მიზანია საქართველოში ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტის სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია.

საჯარო რეესტრის მონაცემებით საქართველოში რეესტრირებულია 2 ათასამდე ტურისტული სააგენტო. ისინი მუშაობენ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმზე. თუმცა სააგენტოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მომხმარებლებთან დამოკიდებულებით, სანდოობით, მომსახურებით, ფასებით, შეთავაზებული ტურებითა და სხვა მრავალი ნიშნით, რითაც ისინი ერთმანეთს კონკურენციას უწევენ.

ტურისტულმა კომპანიებმა დაასახელეს ის ტურები, რომლებიც ყველაზე მეტად იყიდება, ესენია: თურქეთი, ეგვიპტე, იტალია, ისრაელი, საფრანგეთი და ტაილანდი. მათგან ეგვიპტე და ისრაელი ხასიათდება სეზონურობით

– ეგვიპტე ზამთარში, ხოლო ისრაელი ადღგომის დღეებში.

ფასის გამო დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის მისაღები ადგილია თურქეთი და ეგვიპტე, რადგან ხარჯებიც მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე სხვა ქვეყნებისა. ხოლო მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომფორტსა და ინტერესის ობიექტს, ასევე ტურების ხანგრძლივობას და მის შინაარსს, ესენია: იტალია, საფრანგეთი, ტაილანდი.

ტურისტების მოზიდვაში ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობაა პიკურ სეზონზე ფასების კატასტროფული მატება, როგორც სასტუმროებში, ასევე კვების პროდუქტებზე. ამ შემთხვევაში ტურისტული პროდუქციის ღირებულების გაზრდა ხელოვნურად არის გამოწვეული. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საექსკურსიო-სანახაობრივი ობიექტების მოწესრიგებას, დამსვენებელთა უსაფრთხოების დაცვას. სერიოზული პრობლემებია სერვისშიც. ჩვენი მატერილურ-ტექნიკური რესურსი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს. ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა თურქეთის კურორტები, სადაც ბოლო პერიოდში მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებთან ერთად ქართველებიც მრავლად არიან. თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი გადახდისუნარიანობიდან გამომდინარე შიდა ტურიზმს ანიჭებს უპირატესობას. მაგრამ აქაც პრობლემებია, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის ოჯახით დასვენება საქართველოს კურორტებზეც გაძნელებულია (დღე-ღამეში მინიმუმ 100 დოლარი, კვების გარეშე). ტურიზმი ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წყაროა და იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ქართველი მომხმარებელი არჩევანის გაკეთებისას პირველ ადგილზე აყენებს ხარისხს, ფასს, შეთავაზებულ ტურს, სანდობასა და მომსახურებას. ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად, თუ რატომ ვერ სარგებლობს საქართველოში მოსახლეობის უმეტესი წილი ტურისტული მომსახურებით, დასახელდა ფინანსების სიმცირე. ამიტომაც არის განსხვავება სასურველ და ფინანსურად შესაძლებელ ტურებს შორის.

საქართველოს გააჩნია როგორც ზღვის, ისე მთის შესანიშნავი კურორტები. აუცილებელია მათი რეკლამა. იმ ქვეყნებიდან (აზერბაიჯანი, სომხეთი), სადაც სარეკლამო რგოლები სისტემატურად გადის, ტურისტებიც მრავლად ჩამოდიან.

უნდა მოიძებნოს გამოცდილი საზღვარგარეთელი პარტნიორები, რომლებიც საკუთარი ავტორიტეტით დაარწმუნებენ უცხოელ ტურისტს და საუკეთესო გართობისა და დასვენების ადგილად საქართველოს აარჩევენებენ.

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ზრდას ხელი შეუწყო ხელისუფლების მიერ გატარებულმა ვიზა ლიბერალიზაციის პოლიტიკამ. 67 ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ იმოგზაურონ ქვეყანაში უვიზოდ, მათ შორის ევროკავშირის, ისრაელის, იაპონიის, კანადის, აშშ-ს და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. ლიბერალიზაციის პოლიტიკა უკვე დადებითად აისახა საერთაშორისო ჩამოსვლებზე. 2010-2011წწ. – 39%, 2011-2012წწ. – 57%, 2012-2013წწ. – 22%-იანი ზრდა.

მიუხედავად ქვეყანაში გატარებული ღონისძიებებისა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015 რეიტინგის მიხედვით, რომელიც ქვეყნების ტურიზმის განვითარების დონეს განსაზღვრავს, საქართველო 141 ქვეყანას შორის 71-ე ადგილზეა, 84-ე აზერბაიჯანია, 89-ე სომხეთი. ჩვენი

მეზობელი ქვეყნებიდან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა თურქეთს უკავია (44-ე ადგილი), შემდეგ მოდის რუსეთი – 45-ე ადგილით.

ტურისტული მიმზიდველობის თვალსაზრისით საუკეთესო ქვეყნების ათეულში მოხვდნენ: ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ავსტრალია, იტალია, იაპონია, კანადა. წლების მანძილზე ლიდერთა ათეულში სწორედ ეს ქვეყნები ხვდება, ხანდახან ხდება მხოლოდ ადგილების მონაცვლეობა. საინტერესოა, რომ 2015 წელს სინგაპურმა მე-11-ე ადგილზე გადაინაცვლა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ქვეყანაში ტურიზმის კონკურენტუნარიანობას შემდეგი ფაქტორების მიხედვით განსაზღვრავს: პოლიტიკის განმსაზღვრელი კანონები და რეგულირება; გარემოს მარეგულირებელი წესები; დაცულობა და უსაფრთხოება; ჯანმრთელობა და ჰიგიენა; მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა; საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; სახმელეთო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; ტურისტული ინფრასტრუქტურა; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; ფასის კონკურენტუნარიანობა; ადამიანური რესურსები (კაპიტალი); ტურიზმისადმი ეროვნული დამოკიდებულება; ბუნებრივი და კულტურული რესურსები.

როგორც რეიტინგები გვიჩვენებს, რეგიონში საქართველოს მთავარი კონკურენტი თურქეთია. იგი მომხმარებელს, საქართველოსგან განსხვავებით სერვისის მაღალ ხარისხს და დაბალ ფასს სთავაზობს, რის გამოც ქართველი დამსვენებელიც არჩევანს თურქეთის სასარგებლოდ აკეთებს.

ექსპერტთა შეფასებით, დასვენების ტურიზმის სფეროში საქართველო კონკურენციას თურქეთს კარგა ხანს ვერ გაუწევს, რადგან ტურიზმი მაშინ არის მომგებიანი, როცა ქვეყანა თავს ადგილობრივი წარმოებით ირჩენს და ნაკლებადაა იმპორტზე დამოკიდებული. ტურისტების მიერ შემოტანილი ფულის ნაწილი სასტუმროებსა და მათ მომსახურებაზე დაიხარჯება, დანარჩენი ნაწილი კი წავა იმ ქვეყანაში, საიდანაც პროდუქტი იქნა იმპორტირებული. თუ ქვეყანაში არ განვითარდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ძვირადღირებული ტურისტული პროექტები მხოლოდ წამგებიანი გახდება.

თუ მსოფლიო მაგალითებით ვიმსჯელებთ, ესპანეთმა და საბერძნეთმა მთავარ პრიორიტეტად ტურისტული ინდუსტრიის განვითარება დაისახეს. დღეს ორივე ქვეყანა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშია. ტურისტები ყველაზე დიდი რაოდენობით საფრანგეთსა და აშშ-ში ჩადიან. ამ ქვეყნების ეკონომიკა ტურიზმის სფეროდან მიღებულ შემოსავლებს არ ეყრდნობა. ტურიზმი ამ ქვეყნებს მხოლოდ ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვაში ეხმარება, ასევე ქვეყნის იმიჯის შექმნის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო სათანადო კანონმდებლობითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით. უმნიშვნელოვანესია ასევე ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც მამოძრავებელი ძალაა ტურიზმის განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარება პრიორიტეტული დარგი გახდა, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პოლიტიკა საკანონმდებლო ბაზის გარეშე იგეგმება. 1997 წელს შექმნილი კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ (ცვლილებები და და-

მატებები 1999-2000 წწ.) ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. ბოლო ათწლეულის მანძილზე აქტუალური გახდა ტურიზმის ახალი მიმართულებები, ახალი ტექნოლოგიები, ახალი მოთხოვნები, ამიტომ საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია არსებულ კანონში ცვლილებების შეტანა, მისი შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან. შეიძლება ითქვას დარგი კანონის გარეშე ვითარდება.

2014 წელს გაფორმდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან. ხელშეკრულების მიხედვით ევროკავშირი საქართველოსთან ითანამშრომლებს 28 ძირითადი მიმართულებით პოლიტიკის შემუშავების კუთხით. მათ შორის ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის გაღრმავებასა და თანამშრომლობაზე ტურიზმის მიმართულებით. კერძოდ, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაზე, კონკურენტული და მდგრადი ინდუსტრიის, როგორც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი აქტივობების გაძლიერებაზე. ცალკე გამოყოფილია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ტურიზმისა და გარემოს დაცვას შორის დადებითი ინტერაქციის აუცილებლობა.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დაიწყო საგზაო-ტურისტული ნიშნების პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავს საქართველოს ძირითად ტურისტულ ღირსშესანიშნაობებამდე (ეკლესიამონასტრები, კურორტები და ა.შ.) საინფორმაციო მანიშნებლების დამონტაჟებას, ახლო მომავალში საქართველოს ცენტრალურ მაგისტრალებზე მოეწყობა დასვენები-

სა და გართობის ცენტრები, ეტაპობრივად მოხდება საქართველოს სხვადასხვა ტურისტულ ღისშესანიშნაობამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. რაც შეეხება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას: 1. საქართველოს კურორტებზე და სხვადასხვა ტურისტულ ადგილებში ჩატარდება მოკლევადიანი ტრენინგები; 2. რეგიონებში ჩამოყალიბდება პროფესიული სასწავლებლები, სადაც მოხდება მომსახურების ქვედა და საშუალო საფეხურის პერსონალის მომზადება-გადამზადება (მიმტანი, მზარეული, ბარმენი და სხვ.).

ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო საქართველოს პოპულარიზება მსოფლიო ტურისტულ ბაზრებზე. 2012-2015წწ. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუწია საქართველოს წარდგენას სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებზე შვეიცარიაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ფინეთში, ესპანეთში, ლატვიაში, ისრაელში, იტალიაში, ესტონეთში, უკრაინაში, იაპონიაში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში და სხვა.

მომავალში გასათვალისწინებელია ტურიზმის სფეროში ფრანჩაიზინგის სისტემის კიდევ უფრო გავრცელება, რამდენადაც დღევანდელ პირობებში მეტად რთულია ახალი სასაქონლო ნიშნის შექმნა, რომელიც კონკურენციას გაუწევს მომსახურების ბაზარზე უკვე კარგად ცნობილ ფირმებს. ამჟამად, ტურისტულ ქსელში ჩართულია თბილისის სასტუმროები „შერატონ მეტეხი პალასი“ (ქსელი „შერატონი“), „თბილისი მარიოტი“ და „ქორთიარდ მარიოტი“ (ქსელი „მარიოტი“), „რედისონი“ და სხვ. უფრო მეტი ცნობილი ფირმების შემოსვლა ქვეყანაში ტურისტების სავიზიტო ბარათი იქნება.



ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა და განვითარება, რადგან ეს სფერო პირდაპირ უკავშირდება ტურიზმის განვითარებას. იმპორტულ პროდუქტზე დამოკიდებულმა ქვეყანამ, ნაკლებსავარაუდლო ტურიზმის სათანადო განვითარებას მიაღწიოს.

ასევე აუცილებელია შეღავათიანი კრედიტების გაცემა გრძელვადიანი პერიოდით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ობიექტების მშენებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ტურიზმის დარგის განვითარებისათვის ლიბერალურ პოლიტიკას წარმართავს, ტურიზმის ინდუსტრია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ქვეყანაში ამ დარგის განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს: კერძოდ, კონფლიქტური ზონების არსებობა; მაღალი საბანკო განაკვეთები კრედიტებზე, საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები; მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა მაინც არ არის ქვეყანაში სათანადო ინფრასტრუქტურა; დაბალია სერვისის ხარისხი; შეუსაბამოდ მაღალია ფასები, რაც ხელს უშლის დასვენებითი ტურიზმის განვითარებას; არ არსებობს მოწესრიგებული სტატისტიკური აღრიცხვა; ჯერჯერობით არ არის შემუშავებული ტურიზმის განვითარების პოლიტიკა და პროგრამა.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველო 1993 წლიდან ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ( ჭთ ) წევრია. ევროპის ტურიზმის კომისიის შეხვედრებზე აქტიურად განიხილება ევროპის რეგიონში ტურიზმის პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული საკითხები; საქართველო მონაწილეობს პროგრამაში „ჩაპაციტე უილდინგ როგრამ ონ თოურისმ შტატისტიცს“, რომე-

ლიც მიზნად ისახავს ტურიზმის სტატისტიკის სისტემის გაუმჯობესების საკითხში დახმარებას; ეს მართლაც არსებითი საკითხია საქართველოში, რადგან სტატისტიკური მონაცემები ტურიზმის შესახებ ექსპერტების გათვლებით, სინამდვილეს ნაკლებად ასახავს.

ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო მარეგულირებელი კანონმდებლობა, რაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. სახელმწიფოს პრეროგატივაა მატერიალური ინფრასტრუქტურის შექმნა.

სახელმწიფოს დახმარება საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაში და სწორი პოლიტიკის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს. ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. სახელმწიფო თუ შესაბამის გარემოს შეუქმნის ინვესტორებს, ტურიზმში ფულს დააბანდებენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორები.

ცივილიზებულ მსოფლიოში ცხოვრების მხარდი ტემპი, ყოველდღიურ საქმიანობაში სტრესისა და დადლილობის არსებობა, ყოველწლიურად მზარდი ეკოლოგიური დაბინძურება, საჭიროებს ადამიანის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნებას. ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება მოიყვანოს თავისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა ჰარმონიაში. მას სურს გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა, შეაჩეროს დაბერება და ჰქონდეს ცხოვრების ხალისი. შესაბამისი მომსახურების კომპლექსის ერთ ადგილზე არსებობა სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. დღეს მსოფლიოში უამრავი ადამიანი ცდილობს ველნეს (ჰელენეს) ინდუსტრიის პროდუქტებისა და მომსახურების გამოყენებას. ველნესის კონცეფციაა – კარგი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის

შენარჩუნება სასიამოვნო მეთოდებით და არა საკუთარ თავზე ძალდატანებით.

ტერმინი – **ველნესი** (ინგლ. ჰელენესს) პირველად გამოიყენა ამერიკელმა ექიმმა ჰელბერტ დანმა 1959 წელს. წიგნში – „უმაღლესი დონე ველნესი“, მან ჩამოაყალიბა ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი პრინციპები. მისი აზრით, ადამიანის ჯანმრთელობას განსაზღვრავს არა მარტო კარგი ფიზიკური მდგომარეობა, არამედ მისი სხეულის, სულისა და გონების ჰარმონია. დანმა ამ მდგომარეობას უწოდა ჰელენესს, ანუ უმაღლესი დონის კმაყოფილება [60, გვ.2].

ველნესი პოპულარული გახდა ჯერ პროფესიონალურ წრეებში, ხოლო შემდეგ, მთელ ამერიკულ საზოგადოებაში. ამას ხელი შეუწყო როგორც ჰელბერტ დანის, ასევე ჯონ ტრევისის, დონალდ არდელის, გერხარდა ჰეტლერის მრავალრიცხოვანმა პუბლიკაციებმა ველნესის შესახებ. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ველნესი არის ჯანსაღი ცხოვრების წესის თანამედროვე კონცეფცია, გაჯანსაღების კომპლექსური მეთოდების გამოყენება, რომელიც მოიცავს ოპტიმალურ ფიზიკურ დატვირთვას, სარეაბილიტაციო პროგრამებს, ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას, ფუნქციონალურ ტრეინინგს, სპა პროცედურებს, კვების ახალ პრინციპებს და ა.შ. [59, გვ.5].

ველნესი ხელს უწყობს:

- ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რელაქსაციას;
- ნებისმიერ სიტუაციაში შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნებას;
- სწორ კვებას და საკუთარ თავზე ზრუნვას;
- ნებისმიერ ასაკში გარეგნული მომხიბვლელობის შენარჩუნებას;

- აქტიურ დღეგრძელობას.

ველნესი სამედიცინო ტურიზმის ნაწილია, მაგრამ იგი არ გულისხმობს სანატორიუმებსა და საავადმყოფოებში მკურნალობას, არამედ არის დაავადებების პრევენცია. ველნეს მომსახურების მიღება ადამიანს აძლიერებს როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, უხანგრძლივებს ახალგაზრდობას. დღესდღეობით, იმის მიხედვით, თუ რამდენად მოვლილია ადამიანი ხდება მისი სოციალური იდენტიფიცირება და პოზიცირება, შესაბამისად, პროფესიული და პირადი წარმატებაც. ველნესი შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ან მაქსიმალურად შემცირდეს „ცივილიზაციის საუკუნის“ მრავალი დაავადება: გულ-სისხლძარღვთა სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, დიაბეტის და სხვ. იგი ხელს უწყობს ასევე წონის რეგულირებას.

ამგვარად, ველნესი არის სამედიცინო, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ღონისძიებების ურთიერთკავშირის მოქნილი სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის არა მხოლოდ ავადმყოფობისგან პროფილაქტიკაზე, არამედ ასევე სასიცოცხლო ძალების აღდგენასა და მკურნალობაზე. ველნეს მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთ კომპლექსში და მისი მიზანია ადამიანს შესთავაზოს და განუვითაროს ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, რაც გულისხმობს სპა მომსახურებას, ფიზიკურ ვარჯიშებს, ველნეს განათლებას, ჯანსაღ სამზარეულოს და ა.შ.

1990 წლიდან, ცნება – „ველნესი“ პოპულარული გახდა ევროპაში, ევროპამ აიტაცა დევიზი – „გინდა იყო ჯანმრთელი? ჩადე ინვესტიცია შენს ჯანმრთელობაში“. 2000 წლიდან აღნიშნული ტერმინი შემოვიდა საქართველოში, მაგრამ ძირითადად შვეიცარიიდან შემოტანილ

კოსმეტიკურ საშუალებებთან ასოცირდებოდა, ხოლო რაც შეეხება ტერმინს – „ველნეს ინდუსტრია“, იგი ჯერჯერობით ქართულ ლექსიკონებში დაფიქსირებული არ არის.

ბოლო პერიოდში ველნესი, როგორც დარგი (აღამიანის არსებობის ახალი ფორმა), სწრაფად ვითარდება. რამდენადაც საზოგადოებაში ჩნდება დაბერების პროცესის შენელების მისწრაფება, შესაბამისად, საჭირო ხდება ჯანსაღი კვების ობიექტების, ფიტნესის, სპა-ცენტრების, სპორტ დარბაზების, კოსმეტოლოგიის, ველნეს სასტუმროების, მთელი რიგი სერვისის ობიექტების არსებობა.

ამდენად, ველნეს ინდუსტრია მოიცავს სხვადასხვა სახეობის ნატურალური კვების პროდუქტების, კოსმეტიკის, პირადი ჰიგიენის საშუალებების, სხვადასხვა ტიპის ველნეს დანადგარების წარმოებას, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის გამოყენებას, ველნეს სასტუმროების განვითარებას და საერთოდ მომსახურების ფართო სპექტრს.

ამგვარად, ველნეს ინდუსტრია სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, რომელიც მრავალი სხვადასხვა სახეობის პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვების დონის ამაღლების ინსტრუმენტია.

ტერმინი – ველნეს ინდუსტრია პირველად გამოიყენა ამერიკელმა პროფესორმა, ამჟამად აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა პოლ ზეინ პილზერმა. იგი 25 წლის ასაკში მილიონერი, ხოლო 30 წლისა – მულტიმილიონერი გახდა. მან პირველმა იწინასწარმეტყველა პერსონალური კომპიუტერების, ხოლო შემდგომ ინტერნეტის ბუმი. პილზერი არის 10 წიგნის, მათ შორის სამი ბესტსელერის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წიგნი „ველნესის რევოლუცია – შემდგომი ტრილიონი დოლარი“, სადაც აღნიშნულია, რომ მთელ მსოფლიოში იზრდება ინტერესი ველნესის მიმართ. აქტუალური

გახდა მომსახურების სრული კომპლექსის ერთ ადგილას მიღება, იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სურთ ამ მომსახურების მიღება, რათა გაიხანგრძლივონ ახალგაზრდობა, შეინარჩუნონ გონებრივი სრულფასოვნება, ჰქონდეთ სიცოცხლის ხალისი და შეაჩერონ სიბერე. ველნესი ჯანმრთელობის ინდუსტრიაა, XXI საუკუნე ველნესის ეპოქაა. აშშ-ში 2010 წლისთვის ველნეს ინდუსტრიაში ბრუნვამ 1 ტრლნ დოლარს მიაღწია. არც ერთ სხვა ინდუსტრიას ასეთი ტემპები არა აქვს. ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრია – მომავალი მრავალმილიარდიანი ინდუსტრიაა.

ყოველ ათწლეულში იბადება ახალი ეკონომიკური ტენდენცია. XX საუკუნის 70-იან წლებში ეს იყო მიკროტალღოვანი ღუმელები, 80-იან წლებში – ვიდეომაგნიტოფონები, 90-იან წლებში – კომპიუტერი და ინტერნეტი. ისინი, ვინც გამოიყენა 80-იანი წლების ტენდენცია, მილიონერები გახდნენ, ხოლო ისინი ვინც 90-იანი წლების ტენდენცია გამოიყენეს – მილიარდელები. პოლ ზეინ პილზერის აზრით, აშშ-ს ეკონომიკაში ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი ჩაიდება ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრიაში და ეს თანხა გამოიყენება იმ პროდუქტების შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის გაჯანსაღებას, შეაჩერებს დაბერების პროცესს და დაძლევს ავადმყოფობას. ადამიანისათვის ყველაზე ფასეულია არა ბინა და სხვა მატერიალური ღირებულებები, არამედ ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება. მისი აზრით, ინდუსტრიის სათავეში იქნება ქსელური მარკეტინგის ინდუსტრია, სწორედ ქსელური მარკეტინგი წარმოადგენს იდეალურ სოციალურ-ეკონომიკურ ინსტრუმენტს ახალი დარგის ცხოვრებაში დასამკვიდრებლად [61, გვ. 7].

ველნეს ინდუსტრია მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის მრავალ სექტორს, კერძოდ ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებას, კოსმეტოლოგიას, ახალგაზრდობის შენარჩუნების მედიცინას, ტურიზმს და ა.შ. ამ ინდუსტრიის დინამიკურად მზარდი დარგია ვიტამინების წარმოება, დაბალანსებული კვებისათვის საჭირო პროდუქტები, საკვები დანამატები, პერსონალური მოვლის საშუალებები, პრეპარატები წონის დასაკლებად. ველნესი თანდათან დომინირებს სხვა სექტორებზე.

ველნეს ინდუსტრიის განვითარების მხრივ ფავორიტი ქვეყნებია იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და უნგრეთი. ეს ქვეყნები ტურისტებს ველნეს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობენ. განსაკუთრებით პოპულარულია ცხელი წყაროები და საზღვაო კურორტები.

ჩვენ საუკუნეში ერები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. გლობალიზაცია და ინტერნეტ-ტექნოლოგიები არა მხოლოდ ტერიტორიულ, არამედ კულტურულ საზღვრებსაც შლის. დადგა მცირე ერების მრავალსაუკუნოვანი კულტურებისა და ტრადიციების გაქრობის საფრთხე, მაგრამ ისინი ვინც მოახერხებენ თანამედროვე ცივილიზაციას რაღაც განსაკუთრებული საიდენტიფიკაციო ბრენდ-კოდი შესთავაზონ, ბუნებრივად აღმოჩნდებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ეს ტენდენციები უკვე შეიმჩნევა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები – მსოფლიოს სამეცნიერო და ფინანსური ცენტრი, იაპონია – მაღალი ტექნოლოგიების მაღალხარისხიანი მწარმოებელი, საფრანგეთი – მაღალხარისხიანი ღვინოების მწარმოებელი და ა.შ.

რა საიდენტიფიკაციო ბრენდ-კოდით შეიძლება წარდგეს საქართველო მსოფლიოს წინაშე?

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არის უნიკალური ბუნება, ამ მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი კლიმატური ზონები, ზღვა, მთები, მდინარეები, ტყეები, სხვადასხვა სახეობის მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მცენარეები, ღვინოთერაპიის, მაგნიტური ქვისების და კიდევ მრავალი სხვა უნიკალური შესაძლებლობები, ეს ტერიტორია, ისე როგორც არცერთი სხვა, მიესადაგება იმას, რომ თანამედროვე მსოფლიო მიღწევების გამოყენებით გახდეს მსოფლიოს ველნეს ინდუსტრიის ცენტრი. ამ კოდის გაძლიერებას ასევე ხელს უწყობს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა და ტრადიცია – მრავალხმიანი სიმღერები, მრავალფეროვანი ცეკვები. ქართული სუფრა ფსიქოთერაპიის უნიკალური ინსტრუმენტია [28].

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს ველნეს ინდუსტრიის რომელი მიმართულება შეიძლება განვითარდეს საქართველოში, აქვს თუ არა მას ისტორიული საფუძველი.

საქართველო კურორტებისა და საკურორტო ადგილების ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი ჰავა წარმოადგენს. საქართველო თავისი ბიომრავალფეროვნებით უნიკალური ქვეყანაა, 69 ათას კვადრატულ კილომეტრზე 15 ნიადაგობრივი და 25-ზე მეტი კლიმატურ-ნიადაგობრივი ზონა არსებობს. კლიმატის მრავალფეროვნება განპირობებულია ჩრდილოეთის მხრიდან დიდი კავკასიონის, სამხრეთიდან მცირე კავკასიონის მაღალი ქედების არსებობით და დასავლეთიდან შავი ზღვის ფაქტორით. კლიმატური პირობები გამოირჩევა გამოსატყუი თერაპიული თვისებებით და მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ გამოიყენება [62, გვ. 262].

საქართველო მდიდარია მტკნარი და მინერალური წყლებით. აქ აგრეთვე, ოდითგანვე მოიპოვებოდა და გა-



მოიყენებოდა სამკურნალო ტაღახები – პელოიდები, რაც ამჟამადაც წარმატებით გამოიყენება ბალნეოლოგიურ ცენტრებში. ასევე აღსანიშნავია ქვიშით თერაპია, მაგნიტური ქვიშების გამოყენება. მსოფლიოს 2-3 ქვეყანაში არის სამკურნალო ქვიშები, მაგრამ მაგნიტის კონცენტრაციით უნიკალურია ურეკის ქვიშები, რომელიც საქართველოში დიდი ხანია სამკურნალოდ გამოიყენება. ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე მდიდარი იყო და არის სამკურნალო მცენარეებით, რომლითაც შესაძლებელია ნატურალური სამკურნალო საშუალებების წარმოება.

საქართველოში (მედვინეობის სამშობლო) ღვინოთერაპიის უნიკალური შესაძლებლობებია. ჯერ კიდევ 1935 წელს ქართველმა ექიმმა ილია ქოჩიაშვილმა თერჯოლის რაიონის სოფელ სიკთავრაში დააარსა ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის კლინიკა ღვინოთერაპიის დახმარებით. ეს შენობა დღესაც არსებობს. მისი ტრაგიკული დაღუპვის გამო ეს შესანიშნავი პროექტი შეჩერდა. საქართველომ საფრანგეთზე (ამჟამად ლიდერი ღვინოთერაპიაში) ნახევარი საუკუნით ადრე განახორციელა ყურძნისა და ღვინის უნიკალური თვისებების გამოყენების კონცეფცია ჯანმრთელობის მედიცინაში. ბ-ნი ილიას შვილიშვილი მიხეილ ქოჩიაშვილი ამჟამად რუსეთის ველნეს ინდუსტრიის ეროვნული ასოციაციის დირექტორი და შპა&ჭეღლნესს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი. ის არის ადამიანის ორგანიზმის გაჯანსაღების და გაახალგაზრდავების შესახებ უამრავი პუბლიკაციის, მეთოდისა და მონოგრაფიის ავტორი. ბ-ნი მიხეილის აზრით, საქართველოში ველნესის განვითარების უნიკალური პოტენციალია.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, საქართველოში ცალ-ცალკე არსებობს ღვინოთერაპიის, ტაღა-

ხით თერაპიის, მინერალური წყლებით თერაპიის, მაგნიტური ქვიშებით თერაპიის, სპა თუ ფიტნესს ცენტრები და თანამედროვე დასვენების პრინციპზე აგებული სასტუმროები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყოველგვარი პირობები არსებობს ველნეს ინდუსტრიის განვითარების. მაგრამ ველნეს ინდუსტრიაში, როგორც საქართველოში სამედიცინო ველნეს კურორტის ავტორი და დამფუძნებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თამაზ მჭედლიძე ამბობს, არის კიდევ ერთი უახლესი ნიშა – ველნეს კურორტების ახალი სამედიცინო იდეოლოგიით ამუშავება. საქართველოს შესაძლებლობა გაუჩნდა ამ მიმართულებით მოიპოვოს ლიდერობა, რაც გახდება მისი ბრენდ კოდი მსოფლიო ბაზარზე, ანუ საქართველო მსოფლიოში ასოცირდება, როგორც სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყანა.

მსოფლიოში რამდენიმე განსაკუთრებულად ცნობილი ველნეს კურორტია: „ჩ შამბალა“ (ბალი, ინდონეზია), „4 სეზონი“, (მაუი, ჰავაის კუნძულები), „ჩივა-სომი“, (ჰუა ჰინი, ტაილანდი), „ჯივა გრანდ სპა“ (მადიკერი, ინდოეთი), სასტუმრო ვერნისაჟი, (ცერმატი, შვეიცარია), „მერანო პალასი“ (იტალია). მათ შორისაა სამედიცინო ველნეს კურორტი „ბიოლი“ (საქართველო).

სამედიცინო ველნეს კურორტი ბიოლი გაშენებულია თბილისთან ახლოს კოჯრის სარეკრეაციო ზონაში, ზღვის დონიდან 1200 მეტრზე. ყველა ზემოთჩამოთვლილი კურორტებისგან ის მხოლოდ ტერმინით „სამედიცინო“ არ განსხვავდება. იდეოლოგია და კონცეფცია დაფუძნებულია ადამიანის არა ფსიქოლოგიურ კომფორტზე და სიამოვნებაზე, არამედ სამედიცინო მეცნიერულ თეორიებზე აგებულ, კონტროლირებად და გაზომვად გაჯანსაღების პროცესზე [65].

ბიოლში სიცოცხლის ერთეულის, ანუ უჯრედის დონეზე ხდება ორგანიზმის ფუნქციონირების ეფექტურობის დიაგნოსტიკა და მიღებული შედეგების საფუძველზე ინიშნება ინდივიდზე მორგებული კონკრეტული ველნეს პროგრამა, რაც მოიცავს როგორც ფუნქციონალურ კვებას სამკურნალო მცენარეების დანამატებით, ასევე ანტიბიოტულ ფიზიკურ აქტივობებს, სათანადო სპა თერაპიებს და ინდივიდუალურად ორგანიზმზე მორგებულ სხვადასხვა პროცედურებს.

გარდა ამისა, ბიოლის უნიკალურობას გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც უწყობს ხელს. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილია სამკურნალო რესურსების მრავალფეროვნებით, იგულისხმება ბიოაქტიური ენდემური სახეობები, სამკურნალო მინერალები და ტალახები. მეცნიერთა აზრით, ეს მრავალფეროვნება და ენერგეტიკა კავკასიონის ქედის შედარებით ახალგაზრდა ასაკით აიხსნება. ეს ენერგეტიკა უფრო ძლიერია მის სამხრეთ მზიან ფერდობზე. ამ რეგიონის მცენარეულ კულტურებში მაგალითად ყურძენში, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (მაგალითად ტანინი – ბუნებრივი ანტიოქსიდანტი) გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნების იდენტურ სახეობებში.

ზოგადად ცნობილ ველნეს კურორტებს აერთიანებს ის, რომ თავდაპირველად ისინი იქმნებოდა როგორც დასასვენებელი ბიზნესი, ხოლო ორგანიზმის გაჯანსაღების იდეოლოგია, კონცეფცია და სათანადო პროცედურები წარმოიქმნა დამატებითი სერვისად.

ბიოლი კი პირიქით, შექმნილია გაჯანსაღების და დაავადებების ადრეული პრევენციის თანამედროვე სამედიცინო თეორიაზე, შესაბამისად, 30 ჰექტარი ტერიტორია

და მთელი ინფრასტრუქტურა ამ ფილოსოფიაზეა მორგებული.

ორგანიზმის უჯრედებში მიმდინარე პროცესების მეცნიერული შესწავლა, მათი მუშაობის ოპტიმიზაციისთვის სპეციალურად შედგენილი ინდივიდუალური ველნეს პროგრამები, ქვეყნის ბუნებრივი ენერგეტიკის და მრავალფეროვანი ბიოაქტიური რესურსის გამოყენება და გაზომვადი შედეგები, ბიოლს მსოფლიოში უნიკალურს და ინოვაციურს ხდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში პირველად დარეგისტრირდა ახალი საერთაშორისო სპეციალობა – ველნეს თერაპევტი, ხოლო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა შესაბამისი მაგისტრატურა.

2015 წელს საქართველოში ასევე დაიწყო ახალი ველნეს კურორტის „ჭკელნესს ჩლინცი I“-ის მშენებლობა, ოზურგეთის დაბა ურეკში. ურეკის გამაჯანსაღებელი კომპლექსის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ არის მაგნიტური სამკურნალო ქვიშა. ურეკის მიდამოებში აღინიშნება მომატებული მაგნიტური ველი, რაც ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორად არის აღიარებული.

ზემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო ველნეს კურორტები მომავალში უზრუნველყოფენ:

- აქტიური, სრულყოფილი ცხოვრების წესს;
- სასიცოცხლო ძალების სწრაფ და ხარისხიან აღდგენას;
- კვებას ინდივიდუალური რაციონით;
- ყველა ადამიანის ფიზიოლოგიაზე მოქმედი ფაქტორის გამოყენებას: კლიმატოთერაპიას, მინერალურ წყლებს, სამკურნალო ბალახებს და აბაზანებს, ღვინოთერაპიას, ტალახით მკურნალობას,

მაგნიტურ ქვიშას, ზღვის აბაზანებს, მცენარეულ ფლავონოიდებს (ანტიოქსიდანტებს) და წყალმცენარეებს;

- ორგანიზმის დეტოქსიკაციას უახლესი ტექნოლოგიებით;
- ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას (მეხსიერების, შრომისუნარიანობის აღდგენას და ა.შ.);
- ინდივიდუალურად შერჩეულ ფიზიკურ დატვირთვას: ცურვას, სამთოსათხილამურო სპორტს, სამკურნალო ფიზიკულტურას, მასაჟს, სეირნობას და ა. შ.
- კანის სწორ მოვლას;
- ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიას.

სამედიცინო ველნეს კურორტების ძირითადი მომხმარებლები იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უმეტესწილად უცხოეთის მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ველნეს პროდუქტების მოხმარებით. მომხმარებლები უნიკალურ ველნეს კურორტებზე დასვენებასთან ერთად უნიკალურ მომსახურებასაც მიიღებენ.

ეკონომიკური ეფექტი, რასაც მოუტანს საქართველოს სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყნად ჩამოყალიბება, შემდეგია:

- სამედიცინო ველნეს კურორტების ამოქმედებით საქართველო შევა მსოფლიოს ელიტარულ ველნეს ინდუსტრიის ქვეყნების შემადგენლობაში;
- მოხდება ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით;
- გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის და-

ბანდებსას საქართველოში, რაც გამოიწვევს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას;

- მოხდება მსოფლიოს მაღალშემოსავლიანი ადამიანების მოზიდვა;
- პროპაგანდა გაეწევა ჯანმრთელობის ახალ კულტურას, რაც იქნება ინტელექტუალური დისტრიბუცია;
- ველნეს ინდუსტრია მოითხოვს ადამიანის მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც გავლენას მოახდენს მთლიანად ერის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდაზე;
- გაიზრდება შემოსავლები და შემონატანები;
- განვითარდება ინფრასტრუქტურა;
- შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები;
- პოზიტიური მიმართულებით შეიცვლება ეკოლოგია;
- გაიზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ჩაის წარმოება);
- გაიზრდება მოთხოვნა სუვენირებსა და ხალხური რეწვის პროდუქციაზე;
- გაიზრდება მომსახურების ისეთი დარგების გამოყენება, როგორცაა: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა და საბანკო საქმიანობა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საინფორმაციო-სარეკლამო, ტურისტული და ტუროპერატიული და სხვა;
- განვითარდება კურორტოლოგია.

როგორც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თავაზ მჭედლიძე ამბობს – ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი მიზნისა, რასაც საქართველოში „ველნეს ინდუსტრიის“ ერთ-ერთი მიმართულების სამედიცინო ველნეს კურორტების დანერგვა მოჰყვება. შემდეგ ეტაპზე კი შეიქმნება, მსოფლიო სტანდარტის ქართული ბრენდი – „ეორგიან ჭელენესს“, რომელიც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი გახდება.

სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამედიცინო ველნეს კურორტები არის მსოფლიოში უახლესი მიმართულება, რომელშიც საქართველოს უდაოდ დიდი პრიორიტეტი გააჩნია თავისი ბუნებრივი მრავალფეროვნებით, რესურსული თუ ადამიანური პოტენციალით, თავისი კულტურით, განსაკუთრებული ფოლკლორით და ა.შ. ველნეს ინდუსტრიის ამ ახალმა მიმართულებამ სწრაფად რომ მოიკიდოს ფეხი საქართველოში, აუცილებელია, რომ იმ კურორტებს, რომლებიც ველნეს ტექნოლოგიებს გამოიყენებს და საერთოდ, სამედიცინო ველნესის მიმართულებით იმუშავენ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოეხსნას მოგების გადასახადი, მიწის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სანამ ისინი არ იქცევიან ქვეყნის ბრენდ კოდად და შექმნებენ ეკონომიკაში ღირსეული წვლილის შეტანას.

იმედია, რომ სულ მოკლე ხანში „ეორგიან ჭელენესს“, საქართველოს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, საქართველოს, როგორც ქვეყნის, მსოფლიო არენაზე დადებითი იმიჯის შექმნისა და სიამაყის საგანი გახდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე კ., სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები. თბილისი, 2008.
2. ბარკალაია ბ., ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა. თბილისი, 2010.
3. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I. თბილისი, „უნივერსალი“, 2012.
4. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II. თბილისი, „უნივერსალი“, 2012.
5. გველესიანი რ., მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბილისი, „სამშობლო“, 1999.
6. გველესიანი რ., საერთაშორისო მეწარმეობის რისკები და სადაზღვევო ბიზნესის პრინციპები. თბილისი, „უნივერსალი“, 2003.
7. გოგინაიშვილი ფ., ხელოსნობა საქართველოში. თბილისი, თსუ, 1976.
8. გუგუშვილი პ., კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბილისი, 1941.
9. ეთერია ე., გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბილისი, 2009
10. ერქომაიშვილი გ., მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბილისი, თსუ, 2004.
11. ერქომაიშვილი გ., მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №5, 2011.
12. ერქომაიშვილი გ., მცირე მეწარმეობა და მისი განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.



- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2012.
13. ერქომაიშვილი გ., ველნეს (ჭ შშ) ინდუსტრია და მისი განვითარების სტრატეგია საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2013.
  14. ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი, „უნივერსალი“, 2013.
  15. ერქომაიშვილი გ., მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია საქართველოში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“. 27-28 ივნისი, 2014.
  16. ერქომაიშვილი გ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკად. პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები.“ 10-11 ივლისი, 2015.
  17. ერქომაიშვილი გ., აგრარული სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, №1, 2015.
  18. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD – GEORGI ), 2013;

19. თვალჭრელიძე ა., კერვალიშვილი პ., ესაკია ს., სანაძე ს., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები: ანალიზი და უახლოესი პერსპექტივა. თბილისი, „სანი“, 2002.
20. კოლუაშვილი პ. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის. შრომების კრებულში „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“. თბილისი, თსუ, 2012
21. მეწარმეობის მდგომარეობა საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2001.
22. მეწარმეობა საქართველოში 2012. თბილისი, 2012
23. მეწარმეობა საქართველოში, 2014. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2015.
24. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, ნაწილი I-II. თსუ გამომცემლობა, 2009.
25. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი, ირინა ფაფალიოუ, მარია პსილაკი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, ნაწილი III. თსუ გამომცემლობა, 2011.
26. მეტრეველი მ., საქართველოში ტურიზმი პროფესიონალი კადრების დეფიციტს განიცდის. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №11, 2008.
27. მესხია ი., საქართველოში ტურიზმის განვითარების ინსტიტუციონალური და მაკროეკონომიკური გარემო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“. ბათუმი-ტრაპიზონი, 2010. თბილისი, 2010.

28. მჭედლიძე თ., ქართული ველნეს ინდუსტრია, როგორც დიდი ეროვნული იდეა. [www. Mg.ge](http://www.Mg.ge)
29. ნაცვალაძე მ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი. თბილისი, 2009.
30. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002.
31. პაპავა ვ., საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, 2015.
32. რაინერ კლუმი, ეკონომიკური პოლიტიკა, მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები (ქართულ ენაზე), თბილისი, 2015
33. როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სამართალი და საგადასახადო ურთიერთობები. თბილისი, 2002.
34. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2011.
35. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, №4528, თბილისი, 2007.
36. საქართველოს კანონი „წიადის შესახებ“, თბილისი, 1996 წ. 17 მაისი.
37. საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების შესახებ“, თბილისი, 2004 წ. 29 დეკემბერი, ცვლილებები და დამატებები 2013 წლის 29 ივლისი.
38. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, თბილისი, 1997წ. 16 ოქტომბერი.
39. საქართველოს სოფლის მეურნეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2013.

40. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, №300, თბილისი, 2013.
41. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბილისი, 2014.
42. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.
43. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012-2022 წწ. თბილისი, 2011.
44. ტურიზმის სტატისტიკა. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. თბილისი, 2008.
45. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. თბილისი, 2010.
46. ხარაიშვილი ე., საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმი და მისი სრულყოფის მიმართულებანი. თბილისი, თსუ, 2004.
47. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი, „უნივერსალი“, 2011.
48. ჩხეიძე თ., ქველადე ქ.მიწის რესურსის და მიწათხარგებლობის აქტუალური საკითხები საქართველოში. თბილისი, 2015.
49. ცერცვაძე ნ., ტურიზმის წარმატების ფაქტორები. Forbes Georgia, 2015.
50. Association Agreement EU-Georgia, European Commission, 2014.

51. G. Erkomaishvili, Consumer Market for Mineral Water and Development Policy in Georgia. World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 101, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, (2015), 9(5), p.1327 – 1330.
52. G. Erkomaishvili, The strategy for Increasing the Competitiveness of Georgia. International Conference on Economics, Industrial and Business Management. World Academy of Science, Engineering and Technology, Barselona, Spain, 27-28 October, 2014. [www. waset.org](http://www.waset.org)
53. G. Erkomaishvili, R. Gvelesiani, E. Kharashvili, M. Chavleishvili, Policy of Tourism and Opportunities of Development of Wellness Industry in Georgia. International Conference on Economics, Management of Business and Technology. World Academy of Science, Engineering and Technology, Dubai, UAE. 30-31 January, 2014. [www. waset.org](http://www.waset.org)
54. E.Kharashvili, G. Erkomaishvili, M. Chavleishvili, Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia. World Academy of Science, Engineering and Technology, International Scholarly and Scientific Research & Innovation International Science Index 107. Vol: 9. No:11, 2015. p. 422-426
55. E.Kharashvili, G. Erkomaishvili, M.Chavleishvili, Agribusiness Development Strategy in Georgia. International Conference on Economics, Marketing Management. World Academy of Science, Engineering and Technology, Madrid, Spain, 12-13 november, 2015. [www. waset.org](http://www.waset.org)
56. G. Erkomaishvili, B.Gechbaia. Foreign Trade Economic Policy of Georgia In Conditions of Globalization, Uman, 2013.

57. G. Erkomaishvili, The economic policy, defining national competitiveness in Georgia. Збірник наукових праць `Соціально-економічний розвиток України: Європейський вибір. Мелітополь, 2013.
58. M. Chavleishvili, G. Erkomaishvili, R.Seturidze, Strategic Tendencies of Food Safety in Georgia in Globalization Context. World Academy of Science, Engineering and Technology. Paris, 2013.
59. Donald B. Ardell. What is Wellness. [www. Seekwellness.com](http://www.Seekwellness.com)
60. Halbert Dunn. High level Wellness. 1961, [www. Icaa.cc](http://www.Icaa.cc)
61. Paul Zane Pilzer, The new Wellness Revolution, New York, 2011.
62. Kvesitadze, G., Khatisashvili, G., Sadunishvili, T, Ramsden, J.J. Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants. Basis of Phytoremediation. 262 pages. Springer, 2006.
63. <http://core.kmi.open.ac.uk/download/pdf/15537167.pdf>
64. <http://top-10-list.org/2011/10/26/top-10-mineral-water-brands/>.
65. [www.bioli.ge](http://www.bioli.ge)
66. [www. imd.ch](http://www.imd.ch)
67. [www. Icaa.cc](http://www.Icaa.cc); [www.seniorfitness.net](http://www.seniorfitness.net)
68. [www. geostat.ge](http://www.geostat.ge)
69. [www.dotr.gov.ge](http://www.dotr.gov.ge)
70. [www. Doingbusiness.org](http://www.Doingbusiness.org).
71. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
72. [www.Eurostat.com](http://www.Eurostat.com)
73. [www.commersant.ge](http://www.commersant.ge)
74. [www. moe.gov. ge](http://www.moe.gov.ge)
75. [www. mof. ge](http://www.mof.ge)
76. [www. rs. ge](http://www.rs.ge)
77. [www.ttimes.ge](http://www.ttimes.ge)

78. [www. Parliament. ge](http://www.Parliament.ge)
79. [www.visiteurope.com](http://www.visiteurope.com)
80. [www.weforum.org](http://www.weforum.org)

# **ECONOMIC POLICY PRIORITIES FOR DEVELOPMENT OF GEORGIA**

## **SUMMARY**

The monograph reflects Economic Policy priorities for development of Georgia. It discusses the economic policy objectives and their long and short term implementation opportunities.

The Book discusses economic policy of increasing national competitiveness, the tools and means which help country to improve the competitiveness.

The sectors of the economy, in which the country can achieve the competitive advantage, are studied. It is noted that the country's economic policy plays an important role in obtaining and maintaining the competitive advantage – authority should take measures to ensure high level of education; scientific and research activities should be funded by the state; foreign direct investments should be attracted mainly in science-intensive industries; adaptation with the latest scientific achievements of the modern world and deepening of scientific and technical cooperation. Stable business environment and export oriented strategy is the basis for the country's economic growth.

In order to increase domestic manufacture in Georgia, it is important to develop traditional fields, where country has a competitive advantage. development of qualitative, technological and productive manufacture is also critical. For example, manufactures of pharmaceutical production, the equipment for a communication and also manufactures of machine tools and the equipment. It will give the country opportunity instead of export production to receive more import production. Only in this way is possible to increase incomes and wages of the population and consequently improve their leaving conditions.

The studies have shown that institutional reforms in Georgia are not enough to significantly improve the country's competitiveness.



The following problems are considered to be the major ones: Political instability and conflict zones in the country; High interest rates for loans; Gaps in tax legislation; Lack of appropriate infrastructure; Irrelevance of qualification; Inflation.

Nevertheless, the World Economic Forum recognizes that Georgia has made progress in several sectors and directions, such as institutions, macroeconomic indicators, higher education, labor market efficiency and others.

Based on the above analysis and conclusions, we have developed the following recommendations: The state should support by taking the following measures: creating an attractive investment environment; access to preferential loans; developing an effective insurance system and infrastructure; etc. Local production should be encouraged to have more local products on the food market. In order to implement this task, goods should be produced not only by households, but also relatively large (small and medium) farms and agro food processing enterprises should be established and developed; There should be more advisory service centers for the employed and trainings should be organized for them; It's of great importance to develop international market penetration strategy, extensive marketing network, etc.; In order to prepare qualified and highly skilled workforce, it's recommended to develop a modern system of science and education, consulting and extension; It's indispensable for the investors to have a stable legal environment to ensure protection of their property; To create a database on investment projects and provide relevant information about Georgia to potential investors all around the world; Stable development and improvement of the competitiveness of the country would be impossible unless the share of export in total trade turnover increases.

Attracting foreign direct investment and placing them in optimal fields is particularly necessary for developing countries.

There are not enough corporations or companies, in Georgia, whose income will allow reinvesting in economy. Therefore

dependence of Georgia on foreign capital is great. The main thing that foreign investors are worried about is that their rights to the property in the country is jeopardized.

One of the most important aims of the state is the development of economic policy which is the base of economic's stable growth. Creation of enterprising environment and conditions, protection of entrepreneurs interests must be supported by the state economic policy which along with organizational and financial promotion implies pursue of activities for competition ability of national production and the enterprising policy.

The developed states have increased the joint enterprising activities by raising the enterprising mentality. Therefore this trend of the policy is significant for economic growth.

The current economic reforms implemented during recent years in Georgia are directed towards liberalization and development of the private sector based on provision of economic growth. In this regard there have been made significant steps, in particular: as a result of reforms implemented in tax system the Georgian tax legislation is considered to be the most liberal in Europe.. In conditions of market economy the entrepreneur should be managed by only the market and the active legislation of the state.

The main problems are considered to be: Political instability and conflict zones; Failure of the government to protect interests of small and average business; Instability and irregularity of the tax system; Difficulties in accessing credit resources; Inflation; High interest rates; High tax rates; Lack of clarity in the tax code; Lack of investment and export subsidies.

Based on the analysis and the conclusions, we have developed the following recommendations: The state should assist development of entrepreneurship though implementing the following measures: creating attractive environment for investors, making preferential loans accessible, establishing the system of insurance, developing of infrastructure, etc.; It's very important to increase effectiveness of the tax policy (simplicity and clarity of the tax system, optimal level of

tax rates);Encourage growth of export (develop a strategy for `penetration~ into the international markets, creation of a wide marketing network, etc.);Existence of a stable legal environment is necessary for investors, that will guarantee a due protection of their property;Development and implementation of small entrepreneurship development programs;Every business in Georgia must develop according to the two main directions: first, creative adoption of foreign experience in the fields of Management and Organization; and the second–national traditions maintenance and search for new ways of production sale.

The paper discusses mineral water consumer market and its development policy in Georgia, the tools and measures, which will contribute production of mineral waters and increase its export.

The paper studies and analyses current situation in mineral water production sector as well as the factors affecting increase and reduction of its export. It's noted that in order to gain and maintain competitive advantage, it's necessary to provide continuous supply of high quality goods with modern design, open new distribution channels to enter new markets, carry out broad promotional activities, organize e-commerce. Economic policy plays an important role in protecting markets from counterfeit goods. The state also plays an important role in attracting foreign direct investments. Stable business environment and export oriented strategy is the basis for the country's economic growth. Due to some advantages, production of mineral water takes the leading position in Georgia's economy. Such advantages are: abundance, cheapness, stability, renewability, not seasonal character, high quality and competitiveness of raw materials and most importantly, quick return on investments. In this regard, it's noteworthy as well that Georgia is situated between the countries facing the shortage of drinking water.

Based on the above analysis and conclusions, we have developed the following recommendations:

The state should encourage mineral water production through the following measures: creatinganattractive investment

environment; access to preferential loans; developing an effective insurance system and infrastructure; etc.; It's important to develop an international market entry strategy; form a wide marketing network, etc.; In order to gain and maintain competitive advantage, it's necessary to provide continuous supply of high quality goods with modern design, open new distribution channels to enter new markets, carry out broad promotional activities, organize e-commerce; A precondition for mineral water business development is well-developed land, air and sea infrastructure as most of the water producing enterprises are located rather far from ports and railway stations; Stable legal environment is essential for the investors to assure them that their property is protected; To create a database on investment projects and provide relevant information about Georgia to potential investors all around the world; Georgia can satisfy global demand for both mineral and spring water. Water problem is becoming especially pressing nowadays. Water business is the most profitable one as there is natural resource practically for free. A businessman who invests in this business will never lose.

Supply of agricultural products to the population and provision of healthy nutrition is the main aim of agrarian policy. The ultimate object and foundation of the agrarian policy appeared to be agricultural lands. The article presents experience of various states and existed conditions in Georgia.

Agrarian sector of Georgia may succeed with supporting of the state and entering the world market with competitive agricultural products. In Georgia such products are vegetables, fruits wine.

In 2011-2014 the government of Georgia referred agriculture as a field of priority importance. Despite large potential of this field it has a lot of problems, one of them may be considered not-sufficient support. It is necessary to provide the ample finances from the side of the state, developed infrastructure, high profile mechanization and insurance system.

In any state it is important to elaborate tourism policy for tourism development; tourism recourses; developed infrastructure,

qualified recourses and corresponding legislative base. Any retardation in one of them causes delay in development of the whole field. The ultimate task of tourism policy implies organization and elaboration of the mechanism which will support facilitation and development of this field.

The topic reviews the situation existing currently in Georgia in the field of tourism in conditions of globalization: Touristic resources, the paces of development of the tourism infrastructure, tourism policy, possibilities of development of the Wellness industry in Georgia, that is the newest direction of the medical tourism.

The Factors Impeding the Development of the Industry of Tourism Are the following Political instability and existence of the conflict zones; High interest rates on the bank credits; Deficiencies related to the tax laws; Inexistence of a relevant infrastructure; Low quality of services; High prices for services; Irregular statistical registration; Both the policy and the program of development of tourism need improvement; normative-legal base of tourism is incomplete; Training of staff for improvement their qualification is necessary.

Economic Effects of Formation of Georgia as the Center of Wellness Industry:

This will improve the investment-making environment for making investments and, increase considerably accumulation of the foreign capital in Georgia. As a result, the policy of economic order will come closer to the European standards; Number of visitors to the country will be increased; The process will contribute to the development of infrastructure; New job places will be created, while employees will have high salaries; Ecology will be changed to positive manner; A demand on the agricultural products (in the fields of beekeeping, wine-making, grain, fruit, vegetables, livestock, tea production) will be increased; A demand on souvenirs and craft items will be increased; It will become necessary to use the services of the branches of transport, communications, insurance, baking, construction-installation works, informational-and-advertising

activity, tour-operators, etc. Balneology will be developed; Georgia will become an attractive site for high-income individuals from many countries; Wellness industry requires a high intellectual potential, that will have a positive impact on a general increase of the intellectual potential of the nation; A new culture of the healthcare will be advertised, that will be an intellectual distribution; This will create opportunities for increasing incomes and revenues; The country will be advertised on a worldwide level.

We have developed the following recommendations based upon the above analysis and conclusions: The State must support the sector of tourism through implementing the following measures: Creation of attractive conditions for investing in the sector; Availability of concessional loans; Development of the insurance system; Development of Infrastructure, etc.; Filling the food market by the products of local origin should be supported. However, this process must be relied not only on the goods manufactured by households, but mainly on creation of comparably larger processing industries and farms (small and medium-size businesses); A net of the consulting service centers for those employees involved in the tourism industry, must be expanded, while a relevant training courses must be organized for such personnel. It is important to develop a strategy for "penetration" into the international markets, creation of a wide marketing networks, etc. For training the qualified personnel, it is recommended to create an advanced system of education, science consulting, and extension; Existence of a stable legal environment is necessary for investors, that will guarantee a due protection of their property; For the development of Wellness industry in Georgia, a priority should be given to an effective use of the industrial potential of production of the ecologically friendly bio-products of local origin.



**gamomcemloba `universal`**

---

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)



## გულნაზ ერკომაიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (აშშ-ს ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს პარტნიორი ორგანიზაცია საქართველოში) ექ-

სპერტი, მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო კომიტეტის წევრი საქართველოდან.

მას გამოქვეყნებული აქვს 110-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია და სახელმძღვანელოები. ერთმა მათგანმა („ბიზნესი – ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები“) დაამსახურა საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატისა და ყურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ პრემია.

იგი მონაწილეობდა ბრუნელის (ლონდონი) უნივერსიტეტის, დუბლინის (ირლანდია) უნივერსიტეტის ტრინიტი კოლეჯის, პარიზის, რომის, მადრიდის, ბარსელონას, დუბაის (მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემია), კიევო - მოვილიანის აკადემიის (უკრაინა), მელიტოპოლის უნივერსიტეტის (უკრაინა), ტრაპიზონის (თურქეთი) შავი ზღვის უნივერსიტეტის და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და პროექტებში.

ამჟამად კითხულობს ლექციებს შემდეგ სასწავლო კურსებში: ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, მენარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა (ბაკალავრიატი), რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, ფირმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა (მაგისტრატურა).

